ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 აპრილი **სამშაბათი** 2011

№ 090 (13 387) ფასი 60 თეთრი

12

ტორინ გრინი გამოგვაკლდა?

ექიმები იმედს იქლევიან

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თასის ნახევარფინალებია

მფლობელი ვიტ ჯორჯია სათასო მარაძაში გარეულ პირველლიგელ გაგრას ეთამაშება, იმერეთში კი დერბია: ტორპედო-ზესტაფონი

3

4

ჭანტურია VS ზესტაფონი

გაგრძელება, რა თქმა უნდა, არის და, რა თქმა უნდა, კიდევ იქნება

2

ზესტაფონი: არბიტრაჟის გადაწყვეტილება უკანონოა

ყველაზე ქვირადღირებული

მურთაზ დაუშვილმა ეს დაიმსახურა: მონდომებით და თავდაუზოგავობით

ქართული ფეხბურთი

● სიტუაცია

ზესტაფონი: არბიტრაჟის გადაწყვეტილება უკანონოა

გია ჭანტურია: ეს ამბავი ყველას სწორ გზაზე დაგვაყენებს

რატომ უნდა შერჩეთ კლუბებს მოთამაშეების დაჩაგვრა?

რა რეაქცია აქვს "ზესტაფონს" საფეხბურთო არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე? კომენტარისთვის კლუბის პრესსამსახურის უფროსს სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით:

- თუ გახსოვთ, საფეხბურთო არბიტრაჟი **ლევან ყიფიანმაც** ჩამოაყალიბა. ჭანტურიამ იქაც შეიტანა სარჩელი და მაშინაც 29 ათასი ლარის გადახდა დაგვაკისრეს. ფეხბურთის ფედერაციის სტატუსისა და ტრანსფერების კომისიამაც მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში გავასაჩივრეთ.

მაშინ არბიტრაჟმა გადაწყვეტილების აღსრულებისთვის თბილისის საოლქო სასამართლოს მიმართა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენსა და ფეხბურთელს შორის არ არსებობდა შეთანხმება დავების არბიტრაჟში განხილვის თაობაზე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს საქმე არბიტრაჟის ქვემდებარე არ იყო.

- კარგი, ახლანდელ გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ: საფეხბურთო არბიტრაჟის დაფუძნების მემორანდუმს პირველმა სწორედ "ზესტაფონმა" მოაწერა ხელი?

- დიახ, 2010 წლის 4 ნოემბერს ჩვენ ხელი მოვანერეთ მემორანდუმს, რომელიც დამოუკიდებელი საფეხბურთო არბიტრაჟის დაფუძნებას ითვალისწინებდა.

- მერე რა შეიცვალა?

- 2010 წლის 15 დეკემბერს საფეხბურთო არბიტრაჟი ფეხბურთის ფედერაციამ დააფუძნა.

- ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას თქმით, ფიფა არბიტრაჟის ჩამოყალიბებას სწორედ ფედერაციისგან ითხოვს.

- ამ და სხვა დანარჩენ საკითხებზე "ზესტაფონის" წარმომადგენელი ილაპარაკებს იქ, სადაც სალაპარაკოდ დაგვიბარეს. მერწმუნეთ, შესაბამის პასუხსაც გავცემთ.

- ანუ არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ ცნობთ?

- ჩვენ მას უკანონოდ მივიჩნევთ.

მერაბ მამულაშვილი

საფეხბურთო არბიტრაჟის პირველ გადაწყვეტილებებზე "ლელო" უკვე წერდა: "სამტრედია" **ვალტერ გუჩუას** დავალიანების გასტუმრებაზე შეუთანხმდა, "ზესტაფონთან" დავაში ვეტერანი, 37 წლის მეკარე **გია ჭანტურიაც** გაამართლეს და კონტრაქტის გაწყვეტის გამო მის ყოფილ კლუბს 29 ათასი ლარის გადახდა დაავალეს.

"ამ დღეს 2008 წლის 17 ოქტომბრიდან ველოდი. მიხარია, რომ სიმართლემ და კანონიერებამ გაიმარჯვა. მადლობა თემურ მახარაძეს. რომ არა ეს კაცი, სიმართლეს ვერავის დავუმტკიცებდი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ "ზესტაფონის" დირექტორატის წევრი იყო, მახარაძემ დაადასტურა, რომ ჩემი ნებით კი არ ვაცდენდი ვარჯიშებს, არამედ ეს "ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ბორჯომში მომხდარი უსიამოვნების შედეგი იყო. სიმართლის თქმის გამო მახარაძეც გაგდეს და კონტრაქტი მასაც უსაფუძვლოდ შეუწყვიტეს.

უსიამოვნება კი 2008 წლის 17 ოქტომბერს ბორჯომში მოხდა, როდესაც "ზესტაფონმა" "ბორჯომი" ვერ დაამარცხა და 1:1 ითამაშა. გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოდა და, ცხადია, აუტსაიდერთან ფრემ ყველა გაგვაწბილა. კოკაია გამწარდა და გასახდელში ისეთი შეურაცხმყოფელი ტონით გველაპარაკა, თითქოს ბავშვები ვიყავით. ეს ვერ მოვითმინე და ვუთხარი, ყველა თამაშს ჩვენ კი არა, "ჩელსიც" ვერ იგებს-მეთქი. ნათქვამი იუკადრისა და დატუქსვა მომინდომა, მაგრამ კუთხეში არ დავმდგარვარ, კაცი ვარ და ღირსება გამაჩნია.

კონტრაქტი სწორედ ამის გამო გამიწყვიტა. თუმცა ვერ წარმომედგინა, საქმე აქამდე თუ მივიდოდა, ვიფიქრე, გული მოულბება და ყველაფერი დალაგდება-მეთქი, მაგრამ ზესტაფონში ვარჯიშზე მისულს გამომიცხადეს, რომ პრეზიდენტმა კლუბიდან დამითხოვა. ჩემპიონატის მოპმდევნო ტურამდე ზესტაფონის სტადიონზე მასთან დალაპარაკება ვცადე, მაგრამ დაცვამ ახლოს არ მიმიშვა, გაშვებული ხარ და აღარ მოხვიდეო.

რაც შემდეგ მოხდა, ლოგიკურიც იყო, ანგარიშზე ხელფასი არ დამერიცხა და მივხვდი, თავს თუ არ დავიცავდი, ამ უკანონობის გამო არავინ შეწუხდებოდა. მაშინ ფედერაციას კოკაიას მეგობარი ნოდარ ახალკაცი ხელმძღვანელობდა. როდესაც ფედერაციის სატრანსფერო განყოფილებამ საკითხი განიხილა და გამამართლა, "ზესტაფონს" თანხის გადახდა დაევალა, მაგრამ ახალკაცმა მეგობრის კლუბს გადაწყვეტილების აღსრულება არ მოსთხოვა" - გვითხრა ჭანტურიამ.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე ამბობს, რომ ბრძოლა სხვა ფეხბურთელების ინტერესებისთვისაც დაიწყო: "ვფიქრობდი, კარიერას მაინც ვამთავრებ, დასაკარგი არაფერი მაქვს და ჩემს დღეში სხვა ფეხბურთელები რომ არ ჩავარდნენ, ეს საქმე ასე არ უნდა დავტოვო-მეთქი. მსგავსი ამბავი მანამდეც ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ ბიჭებს პრობლემების შექმნის ეშინოდათ და კლუბებს მათი დაჩაგვრა შერჩათ. მე კი ვცადე და ხანგრძლივი პროცესის შედეგად სიმართლემ გაიმარჯვა. იმედია, ეს პროცესი ყველას ჭკუას ასწავლის და დღეიდან საქართველოში ფეხბურთელთა უფლებების დაცვა სავალდებულო გახდება.

სხვათა შორის, ჩემმა პროცესმა უამრავი პრობლემა გამოაჩინა, რაც დროთა განმავლობაში მოგვარდა კიდეც. მაგალითად, არ არსებობდა საფეხბურთო არბიტრაჟი, რასაც ფიფა მოითხოვდა. საკითხის განხილვისას ფეხბურთის ფედერაცია ამ პრობლემას წაწყდა და საბოლოოდ არბიტრაჟი ჩამოაყალიბა".

ცხადია, არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ გაახარა, მაგრამ ამბობს, რომ ჯერ საქმე არ დასრულებულა: "ახლა მთავარია, არბიტრაჟის გადაწყვეტილება სწრაფად აღსრულდეს. სიმართლე ადრეც დადგინდა, მაგრამ "ზესტაფონს" თანხა არ გადაუხდია. კოკაია კი არბიტრაჟის სხდომამდე ამბობდა, რომ მის გადაწყვეტილებას არ სცნობდა. არადა, არბიტრაჟის დაფუძნებაში "ზესტაფონიც" მონაწილეობდა. ასე რომ, უნდა თუ არა, გადაწყვეტილების აღსრულება მოუწევს. საფეხბურთო არბიტრაჟმა და ახალკაცის დროინდელმა ფედერაციამაც დაადასტურეს, რომ მართალი ვარ, დროა სიმართლე "ზესტაფონმაც" აღიაროს. ეს სამარცხვინო საქციელი არ იქნება".

მიუხედავად ხანგრძლივი დაპირისპირებისა, ჭანტურია ამბობს, რომ "ზესტაფონის" პრეზიდენტის მიმართ პიროვნული სიძულვილი არასოდეს ჰქონია: "ბატონი ილიასგან ბევრი სიკეთე მახსოვს, ზესტაფონში დიდი საქმეები აკეთა და პირადად მეც ვგრძნობდი მის მხარდაჭერას. ასე რომ, ხაზს ვერასოდეს გადავუსვამ, მასთან დაპირისპირება არც მსურდა. პირიქით, თავიდან პრობლემის უკონფლიქტოდ, უხმაუროდ მოგვარებაზე ვზრუნავდი. მაგრამ ეს თავად არ ისურვა და სხვა გზა არ დამიტოვა. მაგრამ ვფიქრობ, ეს საქმე ისევ მას, "ზესტაფონს" და მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება, რადგან ფეხბურთელის უფლების დაცვის გარეშე კლუბში და მთლიანად ქართულ ფეხბურთში სასურველი გარემო ვერ ჩამოყალიბდება" - გვითხრა ჭანტურიამ.

მერაბ მამულაშვილი

● დინამო

პაპრიარქმა დინამოელები დალოცა

ბზობის დღესასწაულზე საპატრიარქოში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დინამოელები მიიღო. მიღებას „დინამოს" ხელმძღვანელობა, ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბის თანამშრომლები დაესწრნენ. პატრიარქმა დალოცა დინამოელები და სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

www.fcdinamo.ge

დინამომ ფანცხავა დაიმაგრა

ბუშინ შევიტყვეთ, რომ **ვახტანგ ფანცხავა** თბილისის "დინამომ" აიყვანა. 21 წლის თავდამსხმელს ბევრი ხასიათს უწუნებდა, ბევრი წონის სიჭარბეს, მაგრამ "დინამოში" იმიტომ აიყვანეს, რომ გოლეადორის ნიჭი აქვს, ფეხბურთელის შეფასებისას კი მთავარი ნიჭია.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლამდე ფანცხავა ფრანგული "ლე მანის" დუბლებში ირიცხებოდა, შემდეგ ხარკოვის "მეტალისტში" გადავიდა, მაგრამ მალევე დატოვა და უნგრულ "დიორი ეტოში" აღმოჩნდა, საიდანაც შარშან "ვაშაშში" გაანათხოვრეს, მაგრამ 2011 წლის ზამთარში უგუნდოდ დარჩა.

თბილისის "დინამო" ფანცხავას მედიას დღეს, დილით 11 საათზე დიღმის ბაზაზე წარუდგენს.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საევროპე შანსი

19.04. ჭუთაისი. ტორპედო.
18:00. Live პირველ არხზე

ტორპედო

ზესტაფონი

გზა ნახევარფინალამდე

ტორპედო

1/16 ფინალი

მერცხალი -ტორპედო	0:4

1/8 ფინალი

ტორპედო-გაია	1:0 (დ.დ.)

1/4 ფინალი

სიონი-ტორპედო	0:1, 0:0

ზესტაფონი

1/8 ფინალი

გათუმი-ზესტაფონი	1:2
ზესტაფონი-ოლიმპი	3:0, 0:0

დღე არ გავა, საქართველოს ჩემპიონატში არსებულ ინტრიგაზე რომ არ ვისაუბროთ; თანაც, ეს ინტრიგა მხოლოდ ჟურნალისტების მოგონილი არ არის — წინა წლებისგან განსხვავებით ჩემპიონატი მართლაც საინტერესოდ მიმდინარეობს. და აი, დღეიდან არანაკლებ საინტერესო დაპირისპირებები იწყება: სათასო სპეციფიკა მუდამ გამორჩეულია ხოლმე და გამონაკლისი, არც წლევანდელი ნახევარფინალები იქნება. მით უფრო, რომ ოთხი ნახევარფინალისტიდან მხოლოდ ერთ გუნდს („ზესტაფონს") აქვს განაღდებული ამ ზაფხულს ევროტურნირებზე ასპარეზობა; აი, დანარჩენი სამი ნახევარფინალისტისათვის კი ეს ორრაუნდიანი მატჩები ორმაგ დატვირთვას იძენს: ფინალში გასვლა ხომ ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი პატივია და ამას გარდა, 50 პროცენტით ევროპის ლიგის საგზურიც მოპოვებულია. თუმცა, მოვლენების ისეთი განვითარებაც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ „ვიტ ჯორჯია"-„გაგრას" წყვილში გამარჯვებულს... ფინალისტობაც ეყოს ევროტურნირებზე სასასპარეზოდ; ოღონდ, ამ შემთხვევაში, მეორე წყვილში „ზესტაფონმა" უნდა გაიმარჯვოს და ამას გარდა, ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვოს. თუმცა, როგორ ფიქრობთ, ქუთაისის „ტორპედოს" ამბიციური ხელმძღვანელები, მწვრთნელ-ფეხბურთელები თუ გუნდის მართლაც მრავალათასიანი ქომაგები ასეთ „გადანაწილებას" შეეგუებიან? მოკლედ, საინტერესო ნახევარფინალები გველოდება და, ალბათ, იმის მტკიცებაც ზედმეტი იქნება, რომ ფინალისტების ვინაობას განმეორებითი მატჩები გაარკვევს; მაგრამ, მანამდე ხომ პირველი ნახევარფინალური შეხვედრებია...

2010 წლის 17 ოქტომბერი. ტორპედო-ზესტაფონი 1:0

2010 წლის 15 დეკემბერი. დინამო-გაგრა 1:2. პენალტების სერიის წინ

19.04. თბილისი. მერანი (ხელმ.).
19:00

გაგრა

ვიტ ჯორჯია

გზა ნახევარფინალამდე

გაგრა

1/16 ფინალი

ნ/დინამო-გაგრა	1:3

1/8 ფინალი

გაგრა-კოლხეთი (ფ)	1:0

1/4 ფინალი

დინამო-გაგრა	2:1, 1:2 (პენ. 2:4)

ვიტ ჯორჯია

1/8 ფინალი

სძური-ვიტ ჯორჯია	1:2 (დ.დ.)

1/4 ფინალი

სპარტაკი-ვიტ ჯორჯია	1:2, 0:1

ამერულმა დერბიმ ეს ჩემპიონატი ხომ დაამშვენა და ახლა არანაკლებ საინტერესო დაპირისპირება გველოდება თასის ნახევარფინალშიც. დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს უკვე ოთხჯერ შეხვდნენ: ორი მატჩი „ზესტაფონმა" მოიგო, ერთი — „ტორპედომ", ერთი შეხვედრაც ნულოვანი ფრით დამთავრდა. ოთხივე დაპირისპირება საინტერესო გამოდგა და, რაც მთავარია, ფაქტობრივად სავსე ტრიბუნების წინ ჩატარდა! პირველი წრის მატჩს, 15 სექტემბერს რომ გაიმართა, დრამატული ფინალი ჰქონდა: **თენგიზ ჩიკვილაძის** გოლის წყალობით „ტორპედო" ძალიან ახლოს იყო პრინციპულ მეტოქესთან გამარჯვებასთან, მაგრამ შეხვედრის ბოლო ორ წუთში „ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა, 21 წლის **ბუბა დაუშვილმა** მეტოქის კარში „დუბლი" შეასრულა! არანაკლებ საინტერესო გამოდგა II წრის მატჩიც: 8000-მდე (!) ქომაგის თვალწინ, „ტორპედომ" შეძლო რევანშის აღება და გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლი ქუთაისელთა 17 წლის ნახევარმცველმა **მერაბ გიგაურმა** გაიტანა. მეორე ეტაპზე „ზესტაფონმა" შინ ასევე მინიმალური სხვაობით მოიგო (1:0), სტუმრად კი ფრედ ითამაშა. თუმცა, საჩემპიონატო დაპირისპირებები დღეს უკვე „წარსულია" და ორივე გუნდს საკმარისზე მეტი მოტივაცია აქვს, სანუკვარი ფინალის საგზური რომ მოიპოვოს. „ზესტაფონი" ამ სეზონში სულაც „დუბლს" უმიზნებს — **გია გეგუჩაძის** გუნდი ჩემპიონატშიც დამაჯერებლად ლიდერობს და ისიც ვაღიაროთ, რომ თასის გათამაშების ერთ-ერთი რეალური ფავორიტიცაა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელს ნამდვილად აქვს იმის საშუალება, ფეხბურთელების გონივრული როტაცია მოახდინოს და გუნდში არსებული რესურსის გათვალისწინებით, ჩემპიონატშიც და თასზეც წარმატებას რომ მიაღწიოს. თანაც, „ზესტაფონის" ქომაგებს მონატრებულიც ექნებათ თავიანთი საყვარელი გუნდის თასის ფინალში ხილვა; შეგახსენებთ, რომ 2005-2008 წლებში „ზესტაფონი" ზედიზედ ოთხჯერ გავიდა თასის ფინალში, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლო (**თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით) ამ საპატიო პრიზის მოპოვება.

... „მონატრება" ვახსენეთ და ქუთაისელებმა რაღა უნდა თქვან? ბოლო სამი სეზონის განმავლობაში „ტორპედო" უძლიერესთა შორის არ ასპარეზობდა და დაბრუნებისთანავე გუნდს ევროპაში „გასვლის" ამბიცია გაუჩნდა. თუმცა, „ტორპედოს" უდიდეს ტრადიციებს თუ გავითვალისწინებთ, ეს ამბიცია არავის უნდა გაჰკვირვებოდა, მით უფრო, სათასო წარმატებების: დრო იყო, ქუთაისელებისათვის ნახევარფინალში გასვლა მართლაც ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნეოდა; ეგ კი არა, 1999-2004 წლებში „ტორპედო" ხუთჯერ გავიდა თასის ფინალში და ორჯერ შეძლო პრიზის მოპოვება.

...ქუთაისში დღეს სავსე ტრიბუნებს უნდა ველოდოთ; და ეს იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით 18 საათიდან ამ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ვიხილავთ. რა თქმა უნდა, მეტად საინტერესო პაექრობა გველოდება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაინც გვგონია, ყველაფერი განმეორებით მატჩში გადაწყდება.

საქართველოს თასის 21-ლიან ისტორიაში პირველად შარშან მოხდა, როცა პირველი ლიგის წარმომადგენელმა (მარტვილის „მერანი") ნახევარფინალამდე მიაღწია. და აი, წელსაც იგივე განმეორდა და სწორედ „გაგრა" არის ის გუნდი, თასის ამ გათამაშებაში ყველაზე ხმაურიანი სენსაცია რომ მოახდინა. მერვედფინალში, უმაღლესი ლიგის წარმომადგენლის, ფოთის „კოლხეთის" ძლევა მეტნაკლებად მოსალოდნელ შედეგად მივიჩნიეთ, აი, მეოთხედფინალში თბილისის „დინამოსთან" წარმატების მიღწევა, ალბათ, ხმაურიან სენსაციაზეც მეტი იყო! მით უფრო, რომ „გაგრამ" პირველი მატჩი საშინაო მოედანზე წააგო, მაგრამ **ანატოლი პისკოვეცის** შეგირდებმა განმეორებითი შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი მეტოქე თავიანთთვის სასურველი ანგარიშით დაამარცხეს და მერე უკვე პენალტების სერიაშიც დაჯაბნეს! სხვათა შორის, პირველი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ ცოტას თუ სჯეროდა მოვლენების ასეთი განვითარებისა; მაგრამ „გაგრას" გამოცდილმა უკრაინელმა მწვრთნელმა თავის ფეხბურთელებთან ერთად მართლაც შეუძლებელი შეძლო და ფავორიტი მეტოქე სტუმრად დაამარცხა. ისე, როგორც არ უნდა დასრულდეს ამ წყვილის ორრაუნდიანი დაპირისპირება, „გაგრასთვის" სეზონი უაღრესად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს: გუნდმა უმთავრესი მიზანი, ფაქტობრივად, უკვე შეასრულა (პირველი ლიგის გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს და სულ მალე ოფიციალურად გაიფორმებს უმაღლესის საგზურს), ამას გარდა თასის ნახევარფინალშიც არის გასული და, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ევროტურნირებსაც უმიზნებს! სხვათა შორის, „გაგრამ" თუ „ვიტ ჯორჯიას" ბარიერი გადალახა, ამ წარმატებით ისტორიულ შედეგსაც მიაღწევს: აქამდე ხომ თასის ფინალში პირველი ლიგის არც ერთ გუნდს არ უასპარეზია!

...ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და სტაბილური კლუბი „ვიტ ჯორჯია" დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდა საქართველოს თასის გათამაშებაში წარმატების მიღწევას. ძალიან ხშირად, სულ მცირედი აკლდებოდა: „ვიტ ჯორჯია" ხუთჯერ იყო გასული ნახევარფინალში და მხოლოდ შარშან, მეექვსე ცდაზე შეძლო ფინალის საგზურის მოპოვება და აი, პირველივე ფინალი წარმატებით დასრულდა: „დინამოს" დამარცხებით „ვეტერინარები" საქართველოს თასის მფლობელები გახდნენ! თუმცა, ერთი წლის წინანდელი შემადგენლობიდან გუნდში, ფაქტობრივად, ერთი-ორი ფეხბურთელიღა თუ შემორჩა, მაგრამ ერთიანად გაახალგაზრდავებულმა „ვიტ ჯორჯიამ" მაინც მოახერხა კლუბის ისტორიაში მეშვიდედ გასულიყო თასის ნახევარფინალში. ისე, დღევანდელი მეტოქისაგან განსხვავებით, ამ ბოლო დროს „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონატში ნარუმატებლად ასპარეზობს (ზედიზედ სამი მატჩი წააგო); თუმცა, ვინ იცის, — **მერაბ კოჭლაშვილის** ახალგაზრდული გუნდი, იქნებ, სწორედ სათასო პაექრობებისათვის ზოგავდა ძალებს?..

გია ტუხაშვილი

ტორპედო-ზესტაფონი

მატჩისწინა კომენტარები

გაგრა-ვიტ ჯორჯია

ვახტანგ კვარაცხელია



1. ჩვენთვის ეს სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა და სათანადოდ ვემზადებით. ვფიქრობ, "ტორპედოს" შესწევს იმის ძალა, რომ ამ მატჩში თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. მეტოქე კი ძლიერი გვყავს. შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რომ "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს.

2. ჩემი აზრით, "ტორპედოსა" და "ზესტაფონს" ფინალში გასვლის თანაბარი შანსები აქვთ, თასის მოპოვება კი ნახევარფინალში გასული ნებისმიერი გუნდისგანაა მოსალოდნელი.

3. ყველაფერი, ალბათ, ზესტაფონში გადაწყდება, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ, რათა განმეორებით მატჩს კომფორტული უპირატესობით შევხვდეთ.

4. ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოლებს და მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშებს, მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის უშელავათო ბრძოლა წარიმართება. მცირე მოდუნებაც კი "ტორპედოსაც" და "ზესტაფონსაც" შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

5. ჩემპიონატში წარმატების იმედი სეზონის პირველ ნახევარშივე გადაგვეწურა, ასე რომ, ევროთასებზე გასვლის ყველაზე რეალური გზა ჩვენთვის თასის გათამაშებაა.

სათასო დაპირისპირებების წინ "ლელოს" რესპონდენტები არიან "ტორპედოს" 22 წლის თავდამსხმელი ვახტანგ კვარაცხელია, "ზესტაფონის" 22 წლის მცველი გიორგი ხიდეშელი და "გაგრასა" და "ვიტ ჯორჯიას" კაპიტნები, 25 წლის გიორგი ტყეშელაშვილი და 24 წლის გიგა ბეჭვაია.

1. როგორ ფორმაში ხვდება თქვენი გუნდი თასის ნახევარფინალს?

2. ვინ მიგაჩნიათ წყვილისა და ტურნირის ფავორიტად?

3. ელით თუ არა, რომ ფინალისტს პირველივე მატჩი გაარკვევს?

4. რა ფაქტორებმა შეიძლება გადაწყვიტოს გამარჯვებულის ბედი?

5. არის თუ არა თქვენი გუნდისთვის თასის გათამაშება პრიორიტეტული ტურნირი?

გიორგი ტყეშელაშვილი

1. დიდი ხანია, ამ შეხვედრას ველით, საგანგებოდ ვემზადებით და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. უნდა შევძლოთ და "ვიტ ჯორჯიასთან" ის ფეხბურთი ვაჩვენოთ, რომელიც წარმატებას მოგვიტანს.

2. "ვიტ ჯორჯია" სტაბილური გუნდია, მაგრამ ჩვენც გვაქვს ტიტულის მოპოვების ამბიცია. ჩვენს წყვილში შანსები, ალბათ, თანაბარია, თასის გათამაშების ფავორიტი კი "ზესტაფონია". კარგია, მას ნახევარფინალში რომ არ შევხვდით.

3. ყველა შეკითხვას პასუხს მეორე მატჩი გასცემს. "დინამოსთან" ჩატარებულ მეოთხედფინალურ შეხვედრებს გავიხსენებ, სადაც საშინაო მარცხის შემდეგ განმეორებითი მატჩი მოვიგეთ და მეტოქეს თერთმეტმეტრიანების სერიით ვძლიეთ.

4. დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ მომზადებასა და საკუთარი ძალების რწმენას.

5. სეზონის დასაწყისში ჩვენი უმთავრესი მიზანი, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იყო. ახლა, როცა ეს ამოცანა უკვე 90 პროცენტით გვაქვს შესრულებული, გვაქვს იმის უფლება, რომ თასისთვის ბრძოლაშიც ბოლომდე დავიხარჯოთ.

გიორგი ხიდეშელი

1. ცუდია, რომ დისკვალიფიკაციის გამო ნიკა გელაშვილი დაგვაკლდება, მაგრამ მაღალი დონის თავდამსხმელები კიდევ გვყავს, რომლებიც მას ღირსეულად შეცვლიან. მიხარია, რომ ტრავმა მოვიშუშე. ორი დღეა, ვარჯიში განვაახლე და ალბათ, "ტორპედოსთან" მატჩის განაცხადშიც ვიქნები.

2. შანსებს 50/50-ზე გავანაწილებდი. საკმაოდ სოლიდური მეტოქე გვყავს, რომლისგანაც სერიოზულ წინააღმდეგობას ველით. ორი იმერული კლუბის დაპირისპირება სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული ამბავი იქნება.

3. არა მგონია, ფინალში თამაშის უფლება პირველივე შეხვედრამ დაგვიბევოს, მაგრამ იმისთვის კი ვიბრძოლებთ, რომ ქუთაისში ფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგათ.

4. მთავარია, უკეთესად რომელი გუნდის მწვრთნელის დავალებები შესრულდება – ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტს ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედს. დარწმუნებული ვარ, მაყურებელი მაღალი დონის ფეხბურთს ნახავს და ფინალში უფრო ღირსეული გავა.

5. "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონი ჯერ არ ყოფილა და ეს მიზანი ჩვენთვის განსაკუთრებულია, მაგრამ ნამდვილად გვაქვს იმის რესურსი, რომ სეზონი ორი ტიტულით დავასრულოთ.

გიგა ბეჭვაია

1. ჩემპიონატში ზედიზედ წაგებული მატჩების მიუხედავად, ოპტიმისტურ განწყობას ვინარჩუნებთ. თასის გათამაშება სულ სხვა სპეციფიკის ტურნირია და ვფიქრობ, "გაგრასთან" მაღალი დონის მატჩებს ჩავატარებთ. ეს შეხვედრები ამ სეზონში ჩვენთვის გამორჩეულად პრინციპულია.

2. თასის მოპოვების შანსი ოთხივე ნახევარფინალისტს აქვს, ჩვენი წყვილის ფავორიტად კი "ვიტ ჯორჯია" მიმაჩნია. თუმცა "გაგრასგან" დიდ წინააღმდეგობას ველით. ეს გუნდი სეზონს მაღალ დონეზე ატარებს და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასაც მალე გაინაღდებს.

3. დიდი იმედი მაქვს, რომ პირველივე მატჩში სოლიდურ ჰანდიკაპს დავიბევებთ.

4. ორი კარგად მომზადებული გუნდის დაპირისპირებაში ყველაფერი შეიძლება ნვრილმანმაც კი გადაწყვიტოს. ასე რომ, ჩვენც და "გაგრასაც" მაქსიმალური მობილიზება მოგვეთხოვება.

5. ეს სეზონი ისე წარიმართა, რომ ტიტულის მოპოვება მხოლოდ სათასო ტურნირზე შეგვიძლია. შარშან მოგებული თასით დავამტკიცეთ, რომ მხოლოდ ჩემპიონატში როდი შეგვიძლია წარმატების მიღწევა. ტიტულის შენარჩუნებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი
გამოტოვებული მატჩი

დინამოს ინგლისური გრაფიკი

დინამო-ბაია
Bwin: 1.40 3.90 7.55
19.04. თბილისი.
გ. პაიჭაძე
18:00

არბიტრი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ბ. ჭიჭინაძე, დ. ჩიგოგიძე;
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

აპრილში „დინამოს“ რომ გადატვირთული გრაფიკი აქვს, მსგავსი, ალბათ, ინგლისში შეიძლება იყოს! თავად განსაჯეთ: **კახა კაჭარავას** გუნდს ამ თვეში (უფრო ზუსტად, 28 დღის განმავლობაში) რვა მატჩის ჩატარება უწევს; აქედან, ოთხი შეხვედრა „დინამომ“ უკვე ითამაშა და ახლაც, არანაკლები სიმჭიდროვის გრაფიკით მოუწევს ჩემპიონატის მატჩების ჩატარება: თერთმეტ დღეში ოთხი ოფიციალური პაექრობის (თანაც, ყველა ქულას რომ ოქროს ფასი აქვს) გამართვა ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის. თუმცა, საჩემპიონო რბოლაში გუნდს „გარეშე ფაქტორებზე“ ფიქრის დრო აღარ უნდა ჰქონდეს და როგორც „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელები აცხადებენ, სეზონის ბოლომდე ყველა მატჩის მოგებასაც შეეცდებიან. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საჩემპიონო ტრიუმფისათვის ეს საკმარისი არ იქნება და წარმატებული ასპარეზობის პარალელურად, უშუალო კონკურენტ(ებ)ის წაფორხილების იმედზეც უნდა იყვნენ.

... ამ სეზონში „დინამო“ და „ბაია“ უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე ეს დაპირისპირება ერთნაირი ანგარიშით (0:0) დამთავრდა. პირველი წრის შეხვედრაში (ზუგდიდში რომ ჩატარდა) დაფიქსირებული საყაიმო ანგარიში მთლად მოულოდნელობა არ იყო, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მეორე წრის მატჩზე. ჰო, აი ამას კი მართლაც არავინ მოელოდა: ფინანსური პრობლემებით შეჭირვებულმა და ერთიანად გაახალგაზრდავებულმა „ბაიამ“... თბილისამდე ძლივს ჩამოაღწია, მაგრამ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა მაინც შეძლო და ასეთ ძლიერ მეტოქესთან სტუმრად ქულა მოიპოვა! არადა, არახალი ფაქტია, რომ „ბაია“ გასვლით შეხვედრებს ერთობ წარუმატებლად ატარებს (ამ მხრივ, მხოლოდ „სამტრედიაზე“ უკეთესი შედეგი აქვს). თავად განსაჯეთ: ამ სეზონში ზუგდიდურმა გუნდმა სტუმრად ერთადერთხელ მოიგო (17 ოქტომბერს, „სიონთან“) და იმის მერე მხოლოდ ორჯერ ითამაშა ფრედ (თანაც, სტუმრად პირველ ფრეს სწორედ „დინამოსთან“ მიაღწია).

...შარშან, 5 ნოემბერს ჩატარებული „დინამო“-„ბაიას“ შეხვედრაში მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული სტუმართა მეკარე, 20 წლის **თორნიკე ზარქუა** გახლდათ, ვინც ამჯერად... „დინამოს“ ღირსებას იცავს. ზარქუას მსგავსად მეორე ეტაპის დასაწყისიდან „დინამოში“ აგრძელებს კარიერას „ბაიას“ კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი, 18 წლის **ნიკა კვეკვესკირი,** ვინც წინა ტურში ძირითადში ვიხილეთ. წინა ტური ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ „ოლიმპთან“ მოგებულ შეხვედრაში „დინამოს“ ერთდროულად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. თუმცა, **ზურაბ არზიანსა** და **გიორგი კახელიშვილს** დღეს უკვე შეეძლებათ თამაში, სამაგიეროდ დისკვალიფიკაციის გამო „ბაიასთან“ შეხვედრას **დონალდ ჯუისი** გამოტოვებს, — არადა, 21 წლის კამერუნელს „ოლიმპთან“ ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია. დანაკლისი აქვთ სტუმრებსაც: 28 წლის გარემარბი **ლევან წურწუმია** და გუნდის ახალწვეული, 20 წლის მარცხენა მცველი **ირაკლი გამრეკლიძე** დისკვალიფიცირებულნი არიან. დაბოლოს, საინტერესო ნიუანსზეც: „დინამო“ და „ბაია“ დღეს გამოტოვებულ შეხვედრას ჩაატარებენ, შაბათს კი მომდევნო ტურის მატჩში (ოღონდ, ზუგდიდში) გაარკვევენ ურთიერთობას.

გია ტუხაშვილი

ნიკა კვეკვესკირი

● ათასად კაცი დაფასდა

ყველაზე ძვირადღირებული

მურთაზ დაუშვილმა ეს დაიმსახურა: მონდომეგით და თავდაუზოგავობით

ხარკოვის “მეტალისტის” ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჟაჟა კოელიო** 2010 წელს თურქულმა “ტრაბზონმა” 5 მილიონ ევროდ შეიძინა. ეს იყო ბოლო ხმაურიანი ტრანსფერი, რომელიც სამენეჯერო სააგენტო Prosport Managment International-მა განახორციელა. ჩვენთვის კი საინტერესო ისაა, რომ ამ სააგენტოს პარტნიორული ურთიერთობა აქვს “ზესტაფონისა” და “გაგრას” პრეზიდენტებთან, **ილია კოკაიასთან** და **ბესიკ ჩიხრაძესთან.**

სააგენტოსთან ბევრი ქართველი ფეხბურთელი თანამშრომლობს: **თორნიკე ოქრიაშვილი** (“ილიჩივეცი”, უკრაინა), **უჩა ლობჟანიძე** (“დნიპრო”), **მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი, ნიკოლოზ გელაშვილი** (ყველა - “ზესტაფონი”), **გიორგი გაბედავა, ლევან შარიქაძე, აბაიომი ოვონიკოკო სეუნი, შალვა კვანტალიანი, ლაშა კალანდაძე** (ყველა - “გაგრა”).

“ლელოსთვის” ცნობილია, რომ ბოლო დროს უცხოელი სელექციონერები განსაკუთრებით “ზესტაფონისა” და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველით, **მურთაზ დაუშვილით** დაინტერესდნენ. რამდენად რეალურია 21 წლის ფეხბურთელის უცხოეთში წასვლა? ამის თაობაზე სააგენტოს წარმომადგენელ **მამუკა ამიროვს** დავეკითხეთ.

“ჩვენი მიზანი მხოლოდ ფეხბურთელების გაყიდვა არ არის, მათთან ხანგრძლივი თანამშრომლობა გვსურს. უცხოეთში ბევრი მიდის, მაგრამ ან გარემოს ვერ ეგუება, ან გუნდს, ან ენის ბარიერს აწყდება და ვერ იხსნება. მენეჯერის ვალი ამ პრობლემების მოგვარებაც უნდა იყოს.

რაც შეეხება დაუშვილს, საქართველოს ნაკრებსა და „ზესტაფონში“ ჩატარებული შეხვედრებით დაამტკიცა, რომ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში. რადგან ჩვენი სააგენტო „ზესტაფონთან“ თანამშრომლობს, ცხადია, დაუშვილის ტრანსფერზეც ვფიქრობთ. ახლა მისი ასაკიდან, მომზადების დონიდან გამომდინარე, უცხოეთში წასასვლელად სასურველი დრო დაუდგა. საქართველოს ნაკრებში თამაშობს და თუ კლუბი წინააღმდეგი არ იქნება, კარიერა უკეთეს ლიგაში უნდა გააგრძელოს.

დაუშვილით რამდენიმე კლუბი დაინტერესდა. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რა მიზნები აქვს „ზესტაფონს“. დარწმუნეული ვარ, ეს იქნება პირველი ქართული კლუბი, რომელიც უახლოეს პერიოდში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს და შესაძლოა, ასეთ კლუბში დროებით დარჩენა უკეთესიც იყოს – ჩემპიონთა ლიგაში ნათამაშები ფეხბურთელი ძლიერ ლიგაში ადვილად მოხვდება“ – ამბობს ამიროვი.

მურთაზ დაუშვილი (№8) ხორვატიასთან მატჩში, ლუკა მოდრიჩის წინააღმდეგ

1. მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი“)	550.000 ევრო
2-4. გიორგი ლორია („დინამო“)	450.000
გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი“)	450.000
ედნილსონი („დინამო“)	450.000
5-7. ნიკოლოზ გელაშვილი („ზესტაფონი“)	400.000
პეტარ ელიჩი („დინამო“)	400.000
როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“)	400.000

აღსანიშნავია, რომ გერმანული სააგენტო „ტრანსფერმარკეტის“ ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაუშვილის სატრანსფერო ფასი 450 ათასი ევროდან 550 ათასამდე გაიზარდა. ცხადია, ეს ახალგაზრდა ფეხბურთელის ნაკრებში თამამი და დამაჯერებელი თამაშის შედეგია. ამგვარად, დაუშვილი საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. აღსანიშნავია, რომ ასევე 100 ათასი ევროთი გაიზარდა თბილისის „დინამოს“ მეკარის, **გიორგი ლორიას** ფასი და ამის მიზეზიც ნაკრებში ღირსეული თამაში იყო.

საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელთა სია კი იხილეთ ცხრილში.

მერაბ მამულაშვილი

● ინტერვიუ

ჯაბა ლიპარტია შევჩენკოს მაისურა, ხაჭაპური და ღვინო

უკრაინულმა “სპორტ-ექსპრესმა” ლუგანსკის “ზარიას” 23 წლის ქართველ შემტევ ჯაბა ლიპარტიასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომლის მთავარი თემაც გუშინ კიევის “დინამოსა” და “ზარიას” შორის გამართული მატჩია (კიეველებმა 2:0 მოიგეს). ინტერვიუ თამაშამდეა ჩაწერილი და სხვა საინტერესო თემებსაც ეხება.

- როგორ განწყობაზე ხართ “დინამოსთან” შეხვედრის წინ?

- ასეთი მეტოქის წინააღმდეგ თამაშისას განწყობის პრობლემა არასდროს მაქვს. ძლიერ გუნდებთან ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებით ვიბრძვი.

- შეუძლია “ზარიას”, ამ მატჩში ქულა მაინც მოიპოვოს?

- თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

- “დინამოს” შემადგენლობიდან ვის გამოარჩევთ?

- რაღა თქმა უნდა, ანდრეი შევჩენკოს. ბავშვობიდან მისი და “მილანის” დიდი ქომაგი ვარ.

- ესე იგი, ანდრეის მაისურის გაცვლას სთხოვთ.

- აუცილებლად! ასეთ სუვენირზე უარს არავინ იტყვის.

- დღეს შევჩენკო ძველებურად ვეღარ ბრნყინავს.

- მერე რა, იმის მიუხედავად, რომ ასაკმა კვალი დაატყო, შეგვას კლასი მაინც ეტყობა.

- “ზარიას” სეზონის დარჩენილ ნაწილში დიდი მოტივაცია აღარ აქვს, თქვენმა გუნდმა მიზანი უკვე შეასრულა. ამის გამო ნაკლები ჟინით ხომ არ ითამაშებთ?

- არა, თითოეული ქულისთვის დიდი შემართებით ვიბრძოლებთ და შევეცდებით, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ.

- როგორ აღმოჩნდით უკრაინაში?

- “ზარიაში” გადასვლა ჯერ კიდევ ორნლინახევრის წინ შემეძლო, მაგრამ მიზეზთა გამო მაშინ ტრანსფერი არ შედგა. გასულ ზამთარს კი “ზარიასთან” ერთად თურქულ შეკრებაზე წავედი და მწვრთნელებმა ჩემი დატოვება გადაწყვიტეს.

- რომელ ქართულ გუნდს შეადარებდით “ზარიას”?

- “ზესტაფონს”. ორივე ტექნიკურ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს.

- უკრაინაში მოთამაშე ქართველებთან კავშირი გაქვთ?

ჯაბა ლიპარტია (მარჯვნივ) და თორნიკე ოქრიაშვილი

- ხშირად ვეკონტაქტები “დნიპროს” მცველ უჩა ლობჟანიძეს. მასთან ერთად საფეხბურთო სკოლაში შვიდი წელინადი გავატარე და დიდი მეგობრები ვართ.

- “ზარიაში” გადასვლამდე რომელ პოზიციაზე თამაშობდით?

- “ვიტ ჯორჯიაში” პლეიმეიქერი ვიყავი, “ზარიაში” კი საყრდენ ნახევარმცველად გამამწესეს, რასაც ალლო მალე ავუღე.

- საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?

- გიორგი ქინქლაძეს, რომელიც “მანჩესტერ სიტის” ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად მიიჩნევა.

- საქართველოს ნაკრებში ბოლოს როდის მიგიწვიეს?

- ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩი ჩავატარე – ჩერნოგორიასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ვიმედოვნებ, ნაკრებში კიდევ გამომიძახებენ.

- ლუგანსკში როგორ მოეწყვეთ?

- შესანიშნავად. ცოტა ხნის წინ აქ ჩემი ოჯახი ჩამოვიდა და ქართულ რესტორნებს აღარ ვეძებ.

- “დინამოს” დამარცხების შემთხვევაში თანაგუნდელებს რომელი კერძით გაუმასპინძლდებით?

- მეგრული ხაჭაპურით, მაგრამ თითო ჭიქა ქართული ღვინოც აუცილებელი იქნება.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილი

● მეორე ლიგა

ალმოსავლეთი ზონა

XXII ტური

სტუ-თიანეთი-გოლიადორი	2:1
მერანი-გაგრა-2	1:5
ზოოვეტი-35-ე სკოლა	3:0
ივერია-ავაზა	3:1
იმედი-ერთობა	3:0
სასკო-სამგხე	13:0
აგული-ალგეთი	გადაიდო

გადაღებული მატჩები

სამგხე-მერანი	0:2
ალგეთი-სასკო	2:3

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სასკო	21	12	6	3	67-32	42
2. ივერია	21	13	2	6	40-19	41
3. გაგრა-2	20	12	3	5	42-12	39
4. სტუ-თიანეთი	20	12	2	6	46-27	38
5. ავაზა	20	12	1	7	53-30	37
6. ზოოვეტი	19	10	6	3	39-20	36
8. გოლიადორი	21	9	4	8	37-29	31
9. ალგეთი	20	8	3	9	32-29	27
10. დუშეთი	20	6	9	5	36-28	27
11. მერანი	21	8	2	11	31-34	26
12. აგული	18	8	1	9	20-27	25
13. 35-ე სკოლა	21	3	6	12	23-43	15
14. სამგხე	21	3	0	18	11-106	9
15. ერთობა	20	2	0	18	10-67	6

შენიშვნა: 35-ე სკოლა და „ერთობა“ მოხსნილია გათამაშებიდან. ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3:0.

დასავლეთი. A ზონა

XVIII ტური

გახმარო-რაჭა	3:0
სირმე-ქუთაისი	3:1
გურია-2-სულორი	0:2
გეთლემი-დინამო-2	0:1
მართვე-ჩიხურა-2	0:3
მარგვეთი-მერანი-2	2:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა-2	16	13	3	0	59-11	42
2. სულორი	17	12	1	4	33-19	37
3. დინამო-2	17	9	6	2	33-17	33
4. გეთლემი	17	9	2	6	33-22	29
5. მარგვეთი	17	9	2	6	36-27	29
6. გახმარო	16	7	4	5	25-29	25
7. გურია-2	17	7	3	7	29-35	24
8. მერანი-2	16	5	4	7	17-18	19
9. ქუთაისი	17	5	2	10	25-42	17
10. რაჭა	17	5	1	11	25-38	16
11. სირმე	16	4	4	8	14-23	16
12. მართვე	17	2	3	12	15-39	9
13. მერცხალი-2	16	1	5	10	21-45	8

დასავლეთი. B ზონა

გერმუხა(მარტვილი)-მგლეგი-2 (ზუგდიდი)	3:0
ზუგდიდი-აისპერგი (აგაშა)	3:0
კოლხეთი-2 (ხობი)-სამეგრელო (ჩხოროწყუ)	3:0
ეგრისი (სენაკი)-სძური-2 (წალენჯიხა)	4:2
ზუგდიდი-გერმუხა	3:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ეგრისი	16	12	2	2	42-15	38
2. კოლხეთი-2	16	9	3	4	37-22	30
3. მგლეგი-2	16	9	2	5	39-18	29
4. სძური-2	16	7	5	4	33-19	26
5. ზუგდიდი	16	7	3	6	31-27	24
6. სამეგრელო	16	5	5	6	23-31	20
7. აისპერგი	15	2	2	11	20-53	8
8. გერმუხა	15	1	0	14	9-50	3

ლეგიონი

უტევს გიორგი ადამია

დაგვიანებული სირაკძე და ოდიკაძის მესამე გასროლა

რუსული პრემირლიგის მე-5 ტური ნალჩიკში დასრულდა, სადაც „სპარტაკი" 1:2 დამარცხდა „ტომთან". ნალჩიკელთა 29 წლის ფორვარდი **დავით სირაძე** მოედანზე 58-ე წუთზე შეიყვანეს, როცა მასპინძლები ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ და უკვე 10 წუთში ჩვენებურმა ძალზე სახიფათოდ გაისროლა ციმბირელთა კარისკენ. მე-80 წუთზე კი მას სტუმართა მეკარემ ფეხით აუღო. 87-ე წუთზე სირაძე კუთხურის შემდეგ კარში ურტყამდა, თუმცა ბურთი სასწაულებრივად არ გავიდა „ტომის" კარში, გამოვარდნილს კი ქართველის თანაგუნდელმა დაამატა.

მოლდოვის ნაციონალ დივიზიონში 6 ტური დარჩა, თუმცა 33-ეში ქართული ტრიოს „დაჩიამ" უკვე 4 ქულით გაუსწრო **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფს". შეიძლება ეს გადამწყვეტი აღმოჩნდეს და მარადმწვანე ჩემპიონს ბოლოს და ბოლოს ჩამოართვან ტიტული. არადა, ამაში „დაჩიას" თანაქალაქელი და დაუძინებელი მტერი „ზიმბრუ" დაეხმარა, როცა ჩემპიონს 1:0 მოუგო. ამ თამაშში „შერიფის" კარს 75-ე წუთამდე **ვასილ ლუჭაშვილი** უტევდა, ხოლო სტუმართა ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. სხვათა შორის, ლიდერებს თანაქალაქელთა საჩუქრის უკეთ გამოყენებაც შეეძლოთ - „დაჩია" „რაპიდს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. „დაჩიას" ქართველთაგან ამ შეხვედრაში მხოლოდ **დავით გამეზადაშვილმა** ითამაშა. სანდრო შუბლაძის (90 წუთი) „ისკრა" შინ 2:2 დაზავდა „მისლამისთან". **ვასილ ტუღუშის** „გაგაუზია" სტუმრად 0:1 დამარცხდა „აკადემიასთან", მოლდოვის მოქალაქე ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. ნისტრუელ **გიორგი ტუხაშვილს** ბოლო 5 წუთი აკმარეს სტუმრად „ტირასპოლთან" - 0:1.

ლატვიურ ვირსლიგაში მე-4 ტური გაიმართა. **თამაზ პერტიას** „დაუგავა" 10 ქულით მე-2 ადგილზეა. ქართველი მნვრთნელის გუნდი შინ „იელგავას" 1:1 დაუზავდა. „დაუგავას" სასტარტოში იყვნენ **მამუკა ღონღაძე** (შესვენებაზე შეცვალეს) და **გიორგი ჩიხრაძე** (56-ე წუთზე შეცვალეს), 83-ე წუთზე კი თამაშში **ჯემალ ჯალიაშვილი** ჩაერთო. ქართველთა კიდევ ერთი გუნდი, რიგის „ოლიმპსი" კი ერთობ სუსტია. ამ ტურში „ოლიმპსი" სტუმრად „ვენტსპილსთან" 0:4 განადგურდა. „ოლიმპსის" 4 ჩვენებური სასტარტოში იყო: **თომა ტაბატაძე, კოტე ზარნაძე, პაატა ბალაძე** და **გიორგი ჩხიკვიშვილი**.

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში 27-ე ტურის მატჩები გაიმართა. **კახა ცხადაძის** „ინტერი" ღენქორახს ესტუმრა და 11 ათასი გულშემატკივრის თვალწინ „ხაზარს" 1:1 ეთამაშა. ცხადაძემ სასტარტოში **გიორგი ლომაია, კახაბერ მჟავანაძე** (რომელსაც უსამართლოდ მიცემული წითელი ბარათი მოუხსნეს), **ვალერი აბრამიძე** და **დავით ოდიკაძე** დააყენა. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა, ჯერ ლომაია გამოსვლაზე შეცდა და მასპინძლები დაწინაურდნენ, შემდეგ პირისპირ გასულმა 30 წლის ოდიკაძემ სეზონში მესამე გოლი შეაგდო, ხოლო მჟავანაძე პირველივე ტაიმში გამოცვალეს.

ნუგზარ კვირტიას აზალ-ი კი გაუძალიანდა „ნეფთჩის", მაგრამ საბოლოოდ მაინც 1:2 დაამარცხა. კვირტიამ შეუცვლელად ითამაშა. **გიორგი ადამიას** „ყარაბახი" სტუმრად „ბაქის" დაუზავდა. გიორგიმ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ 68-ე წუთამდე ითამაშა. ქვედა ექვსეულში ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ.

ესტონური მეისტრლიგის მე-7 ტურში „ფლორამ" სტუმრად 2:1 დაამარცხა „პაიდე", **ზაქარია ბეგლარიშვილი** კი შესვენებაზე შეცვალეს. „ფლორა" 17 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. სომხეთში ქართველთა „ულისმა" 3:0 გაანადგურა „არარატი". **თენგიზ უგრეხელიძემ, შოთა ჯიქიამ** და **გიორგი კრასოვსკიმ** სასტარტოში ითამაშეს, **ლევან აკობია** კი სათადარიგო იყო. „ულისი" 13 ქულით პირველია, ხოლო **ლევან ბუბუტეიშვილისა** და **დავით ხანიშვილის** „განძასარი" 11 ქულით მეორეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ექსკლუზივი

ნერვიანი ბიბლიოთეკა

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი
15 თებერვლის ნომერში

წინა წერილი იქ შევწყვიტეთ, სადაც ლაპარაკი იყო ფიფაში დამოუკიდებლად გაწევრების შესაძლებლობებზე. ფიფადან მიღებულ პასუხში ჩანდა გაწევრების ორი გზა - ან როგორც სუვერენული რესპუბლიკისა, ან როგორც კოლონიური ქვეყნისა. ბოლოს და ბოლოს, ან ერთი ვიყავით ან მეორე. ახლა ვნახოთ როგორი პასუხი გაეცა ინტერვიუში ამ კითხვას.

— დიახ, მხოლოდ ორი გზა არსებობს ფიფაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განევრების, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველო არ არის დამოუკიდებელი სუვერენული რესპუბლიკა. ჩვენ სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ვიბრძვით, ასე რომ, რჩება მხოლოდ მეორე გზა, საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნის შემდეგ ფიფას ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ (როგორი ბედის ირონიაც უნდა იყოს ამაში), რომ საქართველო არის დაპყრობილი ქვეყანა. აქვე კიდევ ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. როგორც ირკვევა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ მაშინ ხდება დამოუკიდებელი და შეეძლება გახდეს ფიფას წევრი, როდესაც საქართველოს ყველა გუნდი აუცილებლად ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში, ეს კი ჩვენს გუნდებს გზას უხსნის უეფას ტურნირებში. განა ბათუმის „დინამოს", თბილისის „დინამოს", ფოთის „კოლხეთს", სოხუმის „დინამოს", ლანჩხუთის „გურიას", ქუთაისის „ტორპედოს" და სხვა გუნდებს არ ურჩევნიათ, „ბარსელონასთან", „მილანთან", „ბაიერნთან" და „ნაპოლისთან" ითამაშონ, ვიდრე დონეცკში, იაროსლავლში, ტიუმენში, კამიშინში, და კემეროვოში ჩაატარონ კალენდარული შეხვედრები. ჩვენ ვიცით, რომ ფიფაში გაწევრებისკენ ჩვენი გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნება, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ სხვა გზა დღეისთვის არ ჩანს..

— საქართველოს საფეხბურთო დელეგაციამ მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის კონფერენციაზე წაიღო განცხადება. ამ განცხადებაში, რომელიც 9 იანვრის გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა და შემდეგ საქართველოს რადიოთიც გადაიცა, მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ჩვენი პოზიცია საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის არსებობის თაობაზე. რა ბედი ეწია ამ განცხადებას?

— საქართველოს დელეგაციის განცხადებაში მართლაც გარკვევით ეწერა, რომ ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით სსრკ ფეხბურთის ფედერაციის იმ ფორმით არსებობას, რომელიც გამორიცხავს რესპუბლიკის ფედერაციის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას და აქედან გამომდინარე მის განევრებას ფიფაში.

ჩვენი საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე კონფერენციიდან დაბრუნებულმა დელეგატებმა მოგვახსენეს, რომ მათ არ ნაიკითხეს განცხადება კონფერენციაზე და შემოიფარგლნენ ოფიციალურად მისი სამდივნოში ჩაბარებით. როგორც გვითხრეს, ჩვენს დელეგაციას იმედი ჰქონდა, რომ ეს განცხადება სხვა რესპუბლიკების წარმომადგენელთა მხარდაჭერას პოვებდა, მაგრამ ასეთი მხარდაჭერა კონფერენციის წინ გამართულ საუბრებში მათ ვერ დაინახეს. ჩვენმა საორგანიზაციო კომიტეტმა ჩათვალა, რომ საქართველოს დელეგაციამ დავალება ვერ შეასრულა. კონფერენციისწინა შინაურული საუბრები ერთია და ტრიბუნიდან წარმოთქმული ოფიციალური განცხადება - მეორე. ჩვენი აზრით, ამ განცხადების წაკითხვას არ შეიძლებოდა, გავლენა არ მოეხდინა კონფერენციაზე.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს დელეგაციამ სსრკ ფეხბურთის ფედერაციის წესდების მიღებაზე კენჭისყრის დროს თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ ის არ თვლიდა თავს უფლებამოსილად გადაეწყვიტა ის, რაც უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ახლად შექმნილმა ფეხბურთის ფედერაციამ. კერძოდ, შევიდეს თუ არა წევრად სსრკ ფეხბურთის ფედერაციაში...

მე და ბატონმა დავით კვინიკაძემ კავშირი რომ შევკარით, სახლში ჩვენი საუბრის კიდევ ერთხელ გაანალიზებისას აღმოვაჩინე ერთი მეტად საინტერესო მომენტი, დავით კვინიკაძის ნათქვამი: თუ მე პრეზიდენტი ვიქნები, ვიცე-პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცი მეყოლებაო. პირველივე შეხვედრისას დავით კვინიკაძე გვერდზე გავიყვანე და ვკითხე, ნოდარ ახალკაცი რომ ახსენე, ვიცე-პრეზიდენტად მინდაო, გამაგებინე, ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას უჭერს მხარს? დავითმა მიპასუხა თითქმის ყოველდღე ვხვდებით და სულ ამ თემაზე ვსაუბრობთ, ჩვენი მხარდამჭერიაო. მე ნოდარ ახალკაცს ახლოს არ ვიცნობდი, შორიდან გაგებული მქონდა, ტელევიზიის სპორტულ რედაქციაში ხშირად იყო ამ თემაზე ლაპარაკი, რომ ახალკაცი ქედმაღალი, უკარება, სიტყვაძუნწი, დესპოტია და, რაც მთავარია, რუსულად ლაპარაკობს, ქართულად ხმას ვერ ამოაღებინებო. რა თქმა უნდა, მე მანუჩარ მაჩაიძისნაირი პრეზიდენტი მერჩივნა, მაგრამ სხვა გზა არ ჩანდა, სენტიმენტების დრო არ იყო, ნოდარ ახალკაცი თუ ეროვნულ ჩემპიონატს ემხრობოდა, ამ შანსის ხელიდან გაშვება არაფრით შეიძლებოდა. პირდაპირ ვუთხარი დავით კვინიკაძეს, თუ მართლა, როგორც ამბობ, ახალკაცი მხარს უჭერს ეროვნულ ჩემპიონატს, რაღა განსახილველია ჩემი ან შენი კანდიდატურა, ახალკაცი ერთადერთია დღეს საქართველოში, ვინც შეძლებს კახი ასათიანთან შებრძოლებას და, სავარაუდოდ, დამარცხებასაც. ოღონდ, უახლოეს დღეებში შემახვედრე, რომ გავისაუბროთ და დავრწმუნდე, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი გვყავს-მეთქი. ნოდარ ახალკაცთან ჩვენი პირველი ასვლა ბაგებში 16 იანვარს მოხდა. ახალკაცი წვერმოშვებული დაგვხვდა, კვინიკაძემ რომ წარმადგინა, მიაყოლა, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელიო. მე, გამსახურდიას და წერეთელს ვიცნობ ეროვნულ მოძრაობაში, ზურაბ პეტრიაშვილი იქ არ გამიგიაო. ეს გაკენწლა არ შევიმჩნიე, რა დროს ემოციებს აყოლა იყო, საქმე მქონდა გასაკეთებელი, თუმცა ჩემთვის კი გავიფიქრე, მართლაც ძნელად საურთიერთობო კაცი ყოფილა-მეთქი. დაახლოებით ნახევარი საათი ვიყავით ახალკაცთან და ამ დროის განმავლობაში ძირითადად სულ ის ლაპარაკობდა, ფეხბურთსა და სხვადასხვა თემაზე. რომ გამოვდიოდით, მაშინღა გვითხრა, ფედერაციის წესდების პროექტი დამიტოვეთ, ნავიმუშავებო.

ისე წამოვედით, რომ ძირითადი კითხვები და მთავარ თემაზე საუბარი შემდეგი შეხვედრისთვის გადავდე. თუმცა იმაში მაინც დავრწმუნდი, რომ ახალკაცი სათანამშრომლოდ მზად იყო.

ზურაბ პეტრიაშვილი

გამრძელება სამშაბათობით

ომარ თეთრაძე:
ვოლგა დინამო არ არის

ტელეარხ "როსიასთან" ინტერვიუში ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მთავარი მნვრთნელი **ომარ თეთრაძე** გუნდის ქართველი ლეგიონერების თემას შეეხო და მისი ნაუბრიდან სწორედ ამ ფრაგმენტს გთავაზობთ.

"ჩვენს გუნდში ამჟამად არაერთი ქართველი თამაშობს, ამის გამო ბევრი "ვოლგას" გასული საუკუნის 80-იანი წლების თბილისის "დინამოსაც" კი ადარებს. ამ შეხედულებას ვერ გავიზიარებ, რადგან იმის მიუხედავად, რომ ექვსი ქართველი გვყავს, "ვოლგა" მაინც თავის ფეხბურთს თამაშობს და "დინამოსთან" კავშირი არ აქვს. ქართველ ფეხბურთელთა ხასიათსა და მენტალიტეტს კი ძალიან კარგად ვიცნობ და მათთან ურთიერთობაც ამიტომ მიადვილდება", - ამბობს თეთრაძე.

გუნდის ამოცანებზე კი საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი სპეციალისტი ამას ამბობს: *"ზონის წინ მიზნად პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება დავისახეთ და ამოცანა არ შეცვლილა. ძალიან მიხარია, რომ სეზონი ასე კარგად დავიწყეთ, მაგრამ რეალობის შეგრძნება არ უნდა დავკარგოთ".*

ლევან ჯანეზაშვილი

საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ამაგდარის, გორის „ქართლის" სტადიონის ხელმძღვანელის, ბავშვთა საფეხბურთო სკოლისა და „სამაჩაბლოს" ერთ-ერთი დამაარსებლის

ზაქარია (ფაცო) ნასუაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უცხოური ფეხბურთი

● გამოხმაურება

„წადი შენი“, უთხრეს არსენ ვენგერს

გაბრაზებულები და თავდარგყმულები

დამატებითი დეტალები ყოველთვის საინტერესოა: პრემიერლიგის 33-ე ტურის ბოლო მატჩის დამთავრების შემდეგ „ლივერპულის“ მწვრთნელ **კენი დალგლიშს** „არსენალის“ თავკაცს **არსენ ვენგერისთვის** უხეშად უთქვამს. ის, რაც დალგლიშმა ვენგერს მიაძახა, ქართულად შეიძლება ასე ვთარგმნოთ: „წადი შენი“ — ყველაზე მეტად ეს გამოხატავს ლივერპულელთა გმირის სიტყვებს. დანარჩენი კი იგივეა, რაც მიმოხილვაში მოგახსენეთ: საფინალო სასტვენის შემდეგ ვენგერი დალგლიშთან მივიდა და ხელები გაშალა, რითაც გამოხატა, რომ მსაჯს 102-ე წუთზე მისი გუნდის კარში პენალტი არ უნდა დაენიშნა. დალგლიშმა ჰკითხა: „არ იყო პენალტი“? ვენგერმა უპასუხა, რომ არ იყო, რაზეც ლივერპულელი გაბრაზდა და კოლეგისგან გატრიალდა.

შეგახსენებთ, „არსენალმა“ ანგარიში მსაჯის მიერ წამატებულ მე-8 წუთზე გახსნა. ყველას ეგონა, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ თამაში კიდევ სამ წუთს გაგრძელდა და მერსისაიდელთა პენალტით დასრულდა. ასეთი შედეგის გამო „მეთოფეებს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადასწრების და ჩემპიონობის შანსი ერთიორად შეუმცირდათ. ბედის ირონია კი ისაა, რომ მატჩს და კოლეგების კამათს ტრიბუნიდან „იუნაიტედის“ თავკაცი, **ალექს ფერგიუსონი** ადევნებდა თვალყურს.

პრესკონფერენციაზე ვენგერმა თქვა: *„ერთადერთი, რაც დალგლიშს ვუთხარი, ის იყო, რომ პენალტი არ უნდა დაენიშნათ. შეგიძლიათ ვიდეოჩანაწერი ნახოთ და თავად დარწმუნდებით. „ლივერპულს“ პენალტი მე-11 დამატებულ წუთზე დაარტყმევინეს, არადა მხოლოდ 8 წუთი ჰქონდათ დამატებული. საიდან მოვიდა ის 3 წუთი? რაც მთავარია, იმ ეპიზოდში წესი არ დარღვეულა. ებუე აშკარად ბურთზე წავიდა და არა ფეხბურთელზე, ლუკასმა კი ტანი ჩაუდგა და წაიქცა“.*

დალგლიშმა კი ჟურნალისტებთან ლაპარაკში ასე ბრძანა: *„ჯერ ერთი, არ მესმის ასეთი დაძაბული თამაშის შემდეგ მწვრთნელებს შორის შელაპარაკება რატომ არის გასაკვირი ან დაუშვებელი. იმის გამეორება, რაც მოედნის კიდესთან ვენგერს ვუთხარი, არ მინდა. ძალიან არ მინდა ამ ინციდენტზე ლაპარაკმა ჩემი ბიჭების მიღწევა დაჩრდილოს. მათ მე-8 დამატებულ წუთზე გაშვებულ გოლსაც კი არ წაუხარეს თავი და გაათანაბრეს. რაც შეეხება პენალტს, ჩემი აზრით, ამ შეხვედრაში დანიშნული ორი პენალტიდან ერთი უნდა დანიშნულიყო, მეორე კი, არა. იმაზე ფიქრი, კერძოდ რომელი უნდა დანიშნულიყო და რომელი არა, თქვენთვის მომინდვია. „არსენალს“ თამაშის ბოლოს პენალტი რომ დაარტყმევინეს, ძალიან გულდასაწყვეტი გახლდათ, მაგრამ რას იზამ, როდესაც მსაჯი პენალტს ნიშნავს, მერე რაიმეს გაპროტესტებას აზრი არ აქვს“.*

პრემიერლიგაში დღეს და ხვალ მნიშვნელოვანმა შეხვედრებმა მოიყარა თავი. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ნიუკასლში მიდის, ხვალ კი „ჩელსი“ „ბირმინგემს“ მასპინძლობს, ხოლო „არსენალი“ ლონდონშივე, ოღონდ „უაით ჰართ ლეინზე“ „ტოტენჰემს“ სტუმრობს. „ტოტენჰემი“, მოგეხსენებათ, მეოთხე ადგილს უმიზნებს. ერთი სიტყვით, თუ ვენგერის გუნდი ამ შეხვედრაში ქულებს დაკარგავს, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ინგლისში ჩემპიონის ვინაობა გარკვეულია. ვენგერმა თქვა:

„შემდეგი თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. „ლივერპულთან“ ფრის გამო ჩემი ფეხბურთელები ძალიან გულდაწყვეტილები არიან. აქვთ კიდეც მიზეზი. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოვიგებთ თუ არა ჩვენს თამაშებს. მართალია, უკვე ზედიზედ 15 შეხვედრაში არ წაგვიგია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბოლო ტურებში მეტი ქულის მოპოვება გვმართებდა“.

მსაჯმა „არსენალისა“ და „ლივერპულის“ თამაშს ამდენი დრო იმიტომ დაამატა, რომ მისი მსვლელობისას მერსისაიდელებს რამდენჯერმა დასჭირდათ მოედანზე ექიმების შეშვება. ერთი შეხედვით, ყველაზე სერიოზულად ვეტერანი მცველი **ჯეიმი კარაგერი** დაშავდა. ის თანაგუნდელ **ჯონ ფლენაგანს** შეეჯახა თავით. სამედიცინო პერსონალი კარაგერს კარგა ხანს დასტრიალებდა. ის საკაცეზე დაამაგრეს, კისერი დაუფიქსირეს, ჟანგბადის ბალონით ასუნთქებდნენ... თუმცა კარაგერის ფეხზე დაყენებას სტადიონზე ჩატარებული მკურნალობაც ეყო. საფინალო სასტვენის შემდეგ ვეტერანი უკვე იმდენად ყოჩაღად იყო, რომ მოედანზე დაბრუნდა და თანაგუნდელებთან ერთად იზეიმა ბოლო წამს გატანილი პენალტი.

მატჩის შემდეგ 33 წლის ვეტერანმა თქვა: *„არაფერი მახსოვს. როდესაც გონს მოვედგე, თავს უკვე შესანიშნავად ვგრძნობდი. ასეთი რამეები ფეხბურთში ხდება, ჩვენ თავებით შევეჯახეთ ერთმანეთს. მათ პენალტს გასახდელში ვუყურე. ვლოცულობდი, ნეტავ გათანაბრება მოვახერხოთ-მეთქი. ბოლო ორ შეხვედრაში 4 ქულის მოპოვება დიდებული იქნებოდა. ბოლოს ჩვენ გავიტანეთ და მოედანზე გავვარდი, ბიჭებთან ერთად ზეიმი მინდოდა“.*

საოცარი ბალოტელი!

ბალოტელი მთლად ნორმალური არ უნდა იყოს

„მანჩესტერიუნაიტედმა“ „მანჩესტერ სიტის“ შერეკილ იტალიელ თავდამსხმელ **მარიო ბალოტელის** უპატივცემულობაში დასდო ბრალი — ბალოტელის ქცევამ, „უემბლიზე“, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალური შეხვედრის დამთავრების შემდეგ კონფლიქტი გამოიწვია. 20 წლის თავდამსხმელმა „იუნაიტედის“ ვეტერანი 32 წლის **რიო ფერდინანდი** გამოიყვანა წყობიდან. მას **ანდერსონიც** ეძიძგილავებოდა. მიზეზი: ბალოტელიმ დამარცხებული მეტოქის ფანების გასაღიზიანებლად, მათ ტრიბუნასთან დაიწყო ზეიმი. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ სიტიმ“ „იუნაიტედს“ 1:0 მოუგო და ფინალში გავიდა, სადაც „სტოკ სიტის“ შეხვდება.

ფერდინანდმა მატჩის მეორე დღეს „ტვიტერში“ დაწერა: *„როდესაც გოლს გაიტან და მონინაალმდეგის გულშემატკივარს ამ დროს მოუგებ ნიშნს, კიდევ გასაგებია, მაგრამ თამაშის დამთავრების შემდეგ ყველა თავისი გულშემატკივრისკენ უნდა წავიდეს და იქ იზეიმოს“.*

გარდა იმისა, რომ „იუნაიტედის“ ფანები გააღიზიანა, ბალოტელიმ პირადად ფერდინანდსაც მოუშალა ნერვები — თვალს უკრავდა. ფერდინანდი იტალიელს საცემრად გამოუდგა.

„თუ ჩემი გაბრაზებით ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე, ბოდიშს ვიხდი. იმ წუთას ემოცია ვერ მოვთოკე - დაწერა ფერდინანდმა, *რომელსაც იმ დილით მესამე შვილი, გოგონა შეეძინა - მე და ჩემს მეუღლე რებეკას გოგონა, ტია ფერდინანდი შეგვეძინა. მინდა ექიმებს დიდი მადლობა გადავუხადო, ყველაფერმა ასე კარგად რომ ჩაიარა“.*

სასაცილო რამ თქვა „იუნაიტედის“ მეკარე **ედვინ ვან დერ სარმა**: *„მგონი ბალოტელის შეეშალა. მას მოედნის სხვა მხარეს უნდოდა ზეიმი და სხვა მხარეს წავიდა. ან შეიძლება, იტალიაში იქცევიან ასე“.*

მოგეხსენებათ, „სიტის“ ფორვარდი დიდი საზრიანობით არ გამოირჩევა — კადრებმა, სადაც ის ვერაფრით მიმხვდარა, როგორ გაუყაროს მოსასხამში თავი და ხელები, მთელი ინტერნეტსივრცე მოიარა. თუმცა მღელვარების წუთებში ვერც ვან დერ სარი მოიქცა კორექტულად: ოპერატორს ხელი ჰკრა.

ნანი: *„ბალოტელი ჩვენს გულშემატკივარს მაისურზე ამოტვიფრულ „სიტის“ ემბლემას აჩვენებდა. ანდერსონიც ამიტომ მივიდა და იქაურობას გამოარიდა. რიოს გაბრაზება კი სრულიად გასაგებია. მისი საქციელი უპატივცემულობის გამოხატვა იყო და მეტი არაფერი. ასე ფეხბურთელი არ უნდა იქცეოდეს“.*

ფერდინანდსა და ბალოტელის შორის ჯერ „სიტის“ თავკაცი **რობერტო მანჩინი** ჩადგა, შემდეგ კი მისი ასისტენტი, ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **დევიდ პლატი**. ბალოტელის რომ ვეღარ მისწვდა, ფერდინანდმა პლატს დაუწყო ყვირილი: *„გააკონტროლე შენი ფეხბურთელების საქციელი“.*

მოგვიანებით, როდესაც ვნებათაღელვა ჩაცხრა, ფერდინანდი და პლატი სტადიონის უკან, ავტოსადგომზე შეხვდნენ ერთმანეთს, „იუნაიტედის“ მცველმა „სიტის“ მნვრთნელს ბოდიში მოუხადა, თუმცა გაუმეორა, რომ ბალოტელის მკაცრი კონტროლი სჭირდება. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობით და შერიგებით დასრულდა, თუმცა თუ მსაჯი **მაიკ დინი** ინციდენტს პატაკში შეიტანს, ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტს საქმის გარჩევა და ვინმეს დასჯა მოუწევს.

● დაჯილდოება



სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი - გარეთ ბეილი



სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი - ჯეკ უილშირი

ფეხბურთელებმა დაასახელეს ფეხბურთელები

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ პრემიერლიგისა და ქვედა დივიზიონების წლის სიმბოლური ნაკრებები დაასახელა. რა ხდება დაბალ ეშელონებში, ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, პრემიერლიგის თერთმეტეულში კი, მეტწილად, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი - შვიდი კაცი ამ ორი გუნდიდანაა. გარდა ამისა, დარიგდა ინდივიდუალური პრიზებიც. სეზონის საუკეთესო მოთამაშედ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 21 წლის უელსელი გარემარბი **გარეთ ბეილი** დაასახელეს, საუკეთესო ახალგაზრდის ჯილდო კი „მეთოფე“ 19 წლის **ჯეკ უილშირს** ხვდა. შეგახსენებთ, რომ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის გამარჯვებულებს თავად ფეხბურთელები ასახელებენ.

სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, ოთხი მოთამაშე პრემიერლიგის ლიდერმა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გაიყვანა. ამ ოთხეულში არიან ვეტერანი მეკარე **ედვინ ვან დერ სარი**, ცენტრალური მცველი **ნემანია ვიდიჩი**, გარემარბი **ნანი** და ლიგის ბომბარდირთა ლიდერი **დიმიტარ ბერბატოვი**. „მეთოფეებს“ სამი წარმომადგენელი ჰყავთ. მცველი **ბაქარი სანია**, შემტევი ნახევარმცველი **სამირ ნასრი**, რომელიც საუკეთესო ფეხბურთელის წოდების კანდიდატი გახლდათ, და ზემოთ ნახსენები ნახევარმცველი, უილშირი.

თერთმეტ საუკეთესოს შორის სულ ხუთი კლუბის ფეხბურთელები მოხვდნენ. „მანჩესტერ სიტიდან“ ორია: ფორვარდი **კარლოს ტევესი** და ცენტრალური მცველი **ვენსან კომპანი**. „ტოტენჰემის“ ამბავი უკვე მოგახსენეთ, „ჩელსიდან“ კი პატივი **ეშლი კოულს** ერგო.

● ამბები

დიეგოს შესაძლო დაბრუნება

დიეგო ფორლანი

დიეგო ფორლანი „მანჩესტერ იუნაიტედში“ დაბრუნებას არ გამორიცხავს: ურუგვაელმა ვარსკვლავმა მიანიშნა, რომ მადრიდის „ატლეტიკოდან“ წასვლას აპირებს. 31 წლის ფორლანს მადრიდულ კლუბში მწვრთნელ **კიკე სანჩეს ფლორესთან** მოუვიდა უსიამოვნება. ინგლისში ხმა დაირხა, რომ ესპანური კლუბი 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო მოთამაშეს დაახლოებით 9 მილიონ ფუნტად გაყიდის — 9 მილიონი ფუნტი 10,2 მილიონი ევროს ფარგლებშია.

ინგლისელთაგან ფორლანის შეძენა „ტოტენჰემ ჰოთსპურსაც“ უნდა. **ჰარი რედნაპი** იანვარში ცდილობდა კიდეც მადრიდელებთან დალაპარაკებას და მზად იყო 17 მილიონი ფუნტი გადაეხადა, მაგრამ რაოდენ საოცარი უნდა იყოს, დღეს ინიციატივა „იუნაიტედის“ ხელშია. არადა, თითქოს მანჩესტერელებს ფორლანის დაბრუნება არ უნდა უნდოდეთ. ურუგვაელი ამ გუნდში უკვე თამაშობდა და 60 შეხვედრაში 10 გოლზე მეტის გატანა ვერ მოახერხა.

მოგო კინი

„ვესტ ჰემის“ ირლანდიელმა თავდამსხმელმა, 30 წლის **რობი კინმა**, კლუბთან კონტრაქტის პირობა დაარღვია და ქალაქში მოტოციკლით დაიწყო სიარული. „ტოტენჰემისგან“ ნაქირავებმა მოთამაშემ შაბათს, „ასტონ ვილასთან“ 2:1 წაგების შემდეგ „აპტონ პარკი“ სწორედ ამ ტრანსპორტით დატოვა. შეგახსენებთ, რომ „ჩაქუჩების“ გოლი ამ შეხვედრაში სწორედ კინმა შეაგდო.

გაზეთები წერენ, რომ კინისგან მოტოციკლის მართვა გასაოცარია, რადგან 2009 წლის ნოემბერში, როდესაც იტალიელი მეკარე **კარლო კუდიჩინი** მოტოციკლით ავტომობილს შეეჯახა, ის სწორედ „ტოტენჰემში“ თამაშობდა. შაბათს კინს მოტოციკლი ზედ გასახდელის კართან ეყენა. მართალია, მან დამცავი ჟილეტიც ჩაიცვა და ჩაფხუტიც დაიხურა, მაგრამ ხელკეტკრულებაში უწერია, რომ „სახიფათო ტრანსპორტით“ არ უნდა გადაადგილდეს და ამისათვის შესაძლოა კვირაში 60-ათასფუნტიანი ხელფასიდან დაუქვითონ კიდეც.

გეგიდონიც იგინება

დენი გებიდონი

31 წლის უელსელმა **დენი გებიდონმა** „ტვიტერში“ იგინა და მერე გვერდი გააუქმა. ამბობენ, რომ ინტერნეტში ცუდი სიტყვის დაწერისთვის „ვესტ ჰემის“ მცველს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია დასჯის, თუმცა საქმე ჯერ გამოსაკვლევია. კერძოდ, გებიდონმა „ასტონ ვილასთან“ წაგების შემდეგ დაწერა: *„თქვენ ძალიან ბევრნი ხართ და ჩემგან „ტვიტერში“ მეტ განცხადებას ვეღარ ნახავთ“.*

ალბათ, მიხვდით, რომ ფეხბურთელს სწორედ ამ წინადადებაში ჰქონდა გარეული სალანძღავი სიტყვა. ვის და რატომ მიმართა უელსელმა ასე, დასადგენია, მაგრამ გაზეთები წერენ, რომ საჯაროდ გინებისთვის, ცოტა ხნის წინ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ **უეინ რუნი** ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. სხვათა შორის, გებიდონს უფრო ახლო მაგალითიც ჰქონდა ცხვირწინ - ოთხი დღით ადრე, „ტვიტერში“ განის ნაკრების გულშემატკივრებზე დაწერილი „გადაბრუნებული სიტყვის“ გამო, მისი თანაკლუბელი, **კარლტონ კოული** დასაჯეს.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კლასიკოს გამოხმაურება

კლასიკოდან კლასიკოზე

რატომ თამაშობს მოურინიოს გუნდი 10 კაცით უკეთ

4:0 0:5-ის მერე?

შეუძლია თუ არა მადრიდის „რეალს“ ესპანეთის თასის ფინალში „ბარსელონას“ 4:0 დამარცხება? მას მერე, რაც ჩემპიონატში „სამეფო კლუბი“ 0:5 შერცხვა კატალონიურ-გრანდთან, მსგავსის მტკიცება არარეალური მოჩანს, თუმცა ამ კლუბების ისტორიაში ერთხელ სწორედ ასე მოხდა...

მართალია, **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა ახლახან არ წააგო „ბარსელონასთან“ და 10 კაცის ამარა 1:1 ეთამაშა მას, მაგრამ დასამალავი არავისთვისაა - საჩემპიონო დუელი „ბარსამ“ „რეალს“ სერიოზული უპირატესობით მოუგო, ჯერ „კამპ ნოუზე“ შეარცხვინა, შემდეგ კი მადრიდული ფრის წყალობით თითქმის გაინაღდა ჩემპიონობა - დარჩენილ 6 ტურში „რეალმა“ კონკურენტზე 9 ქულით მეტი უნდა დააგროვოს, ამისი კი ესპანეთში აღარავის სჯერა.

ასე რომ, მოურინიოს გუნდს ოთხშაბათს, თასის ფინალში საჩემპიონო მარცხისთვის შური აქვს საძიებელი. შეძლებს კი „რეალი“ ამას? ისტორია გვეუბნება, რომ „ლოს ბლანკოსს“ ამის არცთუ ურიგო შანსი აქვს. კოპა დელ რეის (ანუ სამეფო თასი ჩვენებურად) ფინალში „რეალი“ და „ბარსელონა“ ერთმანეთს ხუთჯერ გადაეყარნენ. 1934 და 1974 წლებში ტიტული მადრიდელებს დარჩათ, 1968, 1983 და 1990 წლებში კი - ბარსელონელებს. ჩვენი ინტერესის საგანი 1974 წლის სეზონია. იმ სეზონში „რეალს“ „ბარსელონამ“ 5:0 მარცხი აგემა, თანაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“! მაშინ გოლები **ხუან მანუელ ასენსიმ** (დუბლი), **იოჰან კრუიფმა, ხუან კარლოსმა** და **უგო სოტილმა** გაიტანეს. ეს გუნდები ერთმანეთს თასის ფინალში გადაეყარნენ და „რეალმაც“ რევანში აიღო. სხვათა შორის, მაშინდელი ლიმიტის გამო უცხოელ ფეხბურთელებზე ამ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღეს კრუიფმა და სოტილმა, რამაც „ბარსა“ გვარიანად დაასუსტა, „რეალმა“ გაილაღა და თასი 4:0 მოგებით მოიპოვა. გოლები 37 წლის წინანდელ ფინალში **სანტილიანამ, ბენიტო რუბინანმა, ფრანსისკო აგილარმა** და **პირიმ** გაიტანეს.

რა თქმა უნდა, ახლა ამის გამეორება გაჭირდება, ასეთი პერსპექტივა შეუძლებელადაც მოსჩანს, მაგრამ ისტორია კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია და თანამედროვე რეალელებს ეს ისტორია ოთხშაბათის ფინალის წინ ფრთებს შეასხამს.

იოზილი სასტარტოში ბრუნდება

გერმანიის ნაკრებისა და „რეალის“ ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** ალბათ დაუბრუნდება მადრიდელთა სასტარტო 11-ეულს, როცა „რეალი“ თასის ფინალში „ბარსელონას“ დაუპირისპირდება. გერმანელი პლეიმეიქერი მოურინიომ ტაქტიკური მოსაზრებით დატოვა სათადარიგოთა სკამზე შაბათის „კლასიკოზე“, თუმცა იოზილმა ბოლო ნახევარი საათი ისე კარგად ითამაშა, რომ მოურინიოს აფიქრებინა, მესუთი მას პირველივე წუთებიდან სჭირდება.

შაბათს იოზილის გარეშე მოთამაშე ნახევარდაცვამ (**პეპე, სამი ხედირა, ჩაბი ალონსო**) წინ ბევრი ვერაფერი შექმნა, მაგრამ „ბარსას“ საყოველთაოდ ცნობილ ნახევარდაცვის ხაზს ბევრი პრობლემა გაუჩინა. განსაკუთრებით პეპე გამოირჩეოდა, რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო მადრიდელთა რიგებში. „დიარიო ასი“ მიიჩნევს, რომ მოურინიომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო - იოზილი პირველივე წუთებიდან ითამაშებს, ამ გადაწყვეტილებას კი **ქარიმ ბენზემა** ემსხვერპლება, ყოფილმა ლიონელმა ერთი-ორჯერ კი იყოჩაღა „კლასიკოზე“, მაგრამ საერთო ჯამში მაინც ვერ გაამართლა მწვრთნელის იმედები. 22 წლის იოზილი გასულ ზაფხულს გადავიდა „რეალში“ და ასე მოკლე დროში შეძლო „სამეფო კლუბის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად ქცევა.

რონალდო? კასილიასი? არა - პეპე!

შესაძლოა, **კრიშტიანო რონალდომ** ძალზე მნიშვნელოვან მომენტში გაიტანა გადამწყვეტი პენალტი. შესაძლოა, **იკერ კასილიასის** თავდაჯერებულობამ და უშეცდომო თამაშმა ბევრი რამ განსაზღვრა, მაგრამ შაბათის „კლასიკოს“ გმირობა უთუოდ სხვას ეკუთვნის. ეს სხვა ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელი მცველი პეპეა, ნახევარდაცვის მონსტრად ქცეული მცველი.

28 წლის პეპეს საფეხბურთო სამყარო ცენტრალურ მცველად იცნობს, თუმცა ადრეულ წლებში, „მარიტიმუსა“ და „პორტუში“ ის ნახევარდაცვის შუაში თამაშობდა. ხშირად გვინახავს ის ამ პოზიციაზე პორტუგალიის ნაკრებშიც. მოკლედ, მოურინიოს ველოსიპედი არ გამოუგონია, თუმცა სწორედ მისმა მიგნებამ „კლასიკოს“ ჩარხი „რეალისკენ“ შეატრიალა.

პეპემ ამ პოზიციაზე ისე ითამაშა, თითქოს, „რეალში“ სულ საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა. მისი აქტიური პრესინგის გამო **ლეო მესი** იძულებული იყო სიღრმეში დაეხია და იქიდან შეეტია მეტოქის კარისთვის. ამასთან, პეპე წინ წასვლასაც კი ასწრებდა, თუკი მისი გუნდი უტევდა. მას დაავალეს ცენტრში, რაც შეიძლება ბევრჯერ მოეპოვებინა დაკარგული ბურთი და პეპემ ჩვეული ტემპერამენტით ამოცანას თავი იოლად გაართვა.

როცა საჭირო იყო, პეპე წესების დარღვევასაც არ თაკილობდა, თუმცა პორტუგალიელის 5 ჯარიმიდან არც ერთი იყო უხეში. პეპეს თამაშმა „ბარსას“ მოედნის ცენტრში ჩვეულად გალაღების საშუალება არ მისცა. **რაულ ალბიოლის** გაძევების შემდეგ პეპემ დროებით უკან დაიხია, დაცვის ცენტრში, მაგრამ მოურინიო მალევე მიხვდა, რომ ეს „რეალს“ დალუპავდა, რადგან მოედნის ცენტრში „ბარსა“ სრული ბატონ-პატრონი გახდა. მოუმ **ალვარო არბელოა** შეუშვა და პეპე ნახევარდაცვაში დააბრუნა.

ახლა მოურინიო ალბათ დილემის წინაშეა, შეუცვალოს თუ არა პოზიცია პეპეს სამუდამოდ, ექსპერიმენტმა ხომ ძალიან გაამართლა. თუკი დარჩენილ სამ „კლასიკოშიც“ პეპე ასეთი შემართებით ითამაშებს, ის მალე მადრიდისტების საყვარელი ფეხბურთელი გახდება.

მორალური გამარჯვება

რა ვუწოდოთ 4-დან პირველ „კლასიკოში“ დასრულებულ მატჩს? მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩის შემდეგ „ბარსას“ ჩემპიონობა ცხადი გახდა, ეს იყო „რეალის“ მორალური გამარჯვება. ჟოზე მოურინიომ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში 10 კაცით ასევე ეფექტურადაა შესაძლებელი, როგორც 11-ით.

პორტუგალიელი ყოველთვის ცდილობს და ძირითადად ახერხებს კიდეც, რომ თავისი გუნდიდან მაქსიმუმი გამოადნოს, მაშინაც კი, როცა მისთვის არახელსაყრელად ვითარდება თამაში. ისე როგორც ეს შაბათს მოხდა, როცა 50-ე წუთზე მსაჯმა რაულ ალბიოლს წითელი ბარათი აუფრიალა.

ეს „კლასიკო“ ორი სრულიად განსხვავებული სტილის ფეხბურთის ნათელი მაგალითი იყო - „ბარსა“ ცდილობდა თამაშის რიტმი ეკონტროლებინა, ბურთი მუდამ ჰქონოდა და პასებით გასულიყო ფონს. „რეალი“ კი მაღალი ტემპისა და მწვავე კონტრშეტევების იმედად იყო. თამაშის წინ სტუმართა მწვრთნელი **პეპ გვარდიოლა** აკი ამბობდა კიდევაც - „რეალი“ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია კონტრშეტევებზე თამაშშიო. ასე რომ, როცა ალბიოლს წითელი აუფრიალეს, პეპს განგაშის ზარი უნდა შემოეკრა. ერთი წლის წინათ მოურინიოს „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგიდან ორი მატჩის ჯამში გამოაგდო „ბარსელონა“. იტალიაში 3:1 მოგების შემდეგ, იტალიელებმა მხოლოდ 0:1 დათმეს, მიუხედავად იმისა, რომ 28-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდნენ - მსაჯმა ტიაგო მოტა გააძევა. იმ თამაშის შემდეგ მოურინიო ამბობდა: *„ჩვენ ბურთი არაფერში გვჭირდებოდა, მთავარი იყო, არ დაგვეთმო პოზიციები. ამიტომაც მშვიდად დავუთმეთ „ბარსას“ ბურთი“.*

მაგრამ შაბათს ცოტა უფრო სხვა სიტუაცია იყო, როცა ალბიოლი გააძევეს, „რეალის“ კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც მესიმ გოლად აქცია. ასე რომ, მოურინიოს ლიდერობა დასაცავი კი არ ჰქონდა, 10 კაცით ნაგებული თამაში უნდა შემოეტრიალებინა - მატჩის დასრულებამდე 40 წუთით ადრე კაცნაკლული „რეალი“ 0:1-ს აგებდა. არადა, ალბიოლის გაგდებამ თამაში დიდად არ შეცვალა. ამის მიზეზი კი მოურინიოს გამართული ტაქტიკაა, რომელიც 10 კაცით თამაშის დროსაც საკმაოდ ეფექტურია. „რეალი“ უცბად გადაეწყო რიცხობრივ უმცირესობაში თამაშზე და მალე „ბარსელონას“ დაცვას „რეალის“ კონტრშეტევებისას გაუჭირდა.

მოურინიო პიონერია ამ სისტემის დანერგვაში, ჯერ კიდევ „პორტუში“ ყოფნისას მან ამას „პრესაო ალტა“ (მაღალი პრესინგი) უწოდა. ამის შემდეგ, სისტემას მუდამ ნარმატებები მოაქვს „განსაკუთრებულისთვის“.

თუ გახსოვთ, ლა ლიგის ერთ-ერთ ტურში იკერ კასილიასი პირველივე წუთზე გააძევეს. მაშინდელი მეტოქე (ესპანიოლი) საოცარ ფორმაში იყო, მაგრამ, საბოლოოდ, გამარჯვება „რეალს“ დარჩა - 1:0. მისთვის მეორე სეზონში „ინტერში“ მოურინიოს გუნდმა ყაზანის „რუბინთან“ ბოლო ნახევარი საათი 10 კაცით ითამაშა, თუმცა მიზანს (ფრე) მიაღწია. მოუმ ერთხელ 9 კაცითაც არ წაგო სერია A-ს მატჩში („სამპდორიას“ წინააღმდეგ). სხვათა შორის, იმ შეხვედრაში „ინტერს“ ორი მცველი გაუძევეს (**ვალტერ სამუელი, ივან კორდობა**) და თან ორივე პირველ ტაიმში.

კიდევ უფრო კარგ შედეგს მიაღწია მოურინიომ „მადონინაზე“, როცა „მილანთან“ თამაშის 29-ე წუთზე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ვესლი სნეიდერი** გაუძევეს - „ინტერმა“ დერბი 2:0 მოიგო. ბოლო წუთებზე ბრაზილიელმა მცველმა **ლუსიომაც** მიიღო წითელი ბარათი, ასე რომ, „ინტერმა“ „მილანს“ 9 კაცით აჯობა. მაშინ მოურინიომ ამაყად განაცხადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ნავაგებდით, თუ მოედანზე 6 ფეხბურთელი დარჩებოდაო.

თუ არ ჩავთვლით მოუს პირველ „კლასიკოს“, როცა **სერხიო რამოსი** გააძევეს, პორტუგალიელი თავკაცი მუდამ კარგად უმკლავდებოდა რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნას და თუ მაინც მარცხდებოდა, მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში.

სხვათა შორის, შაბათის მატჩის წინ მოურინიომ ინინასწარმეტყველა კიდევაც, რომ ფეხბურთელს გაუძევებდნენ, ჩვენ 10 კაცით თამაშს ვხვენდითო - განუცხადა მაშინ მწვრთნელმა რეპორტიორებს. იმავეს იმეორებს პორტუგალიელი ახლაც, თასის ფინალის წინ. გაუძევებენ თუ არა ფეხბურთელს ხვალინდელ „კლასიკოზეც“, ძნელი სათქმელია, მაგრამ მოურინიო ხმამაღლა აცხადებს, რომ ამისთვის მზადაა.

მარსელომ ალვეშს გაუმხილა: ვიაფერისტე

სენსაციურ ცნობას აქვეყნებს კატალონიური გაზეთი „სპორტი“, რომელსაც ინტერვიუ ბრაზილიელმა **დანი ალვეშმა** მისცა. სწორედ ამ ინტერვიუში ალვეშმა განაცხადა, რომ თამაშის შემდეგ მასთან რეალელი თანამემამულე **მარსელო** მივიდა და მოუბოდიშა, რადგან მატჩის მიწურულს ნაქცევა გავაფორმე პენალტი სინამდვილეში არ იყო. შეგახსენებთ, რომ 81-ე წუთზე საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან შეჭრილი მარსელო დანი ალვეშმა შეაჩერა, ბარსელონელები ამტკიცებენ, რომ ეს მან წესების სრული დაცვით შეძლო, თუმცა სხვა აზრის იყო მსაჯი, რომელმაც **ვიქტორ ვალდესის** კარში პენალტი დანიშნა, პენალტი, რომელმაც „ბარსას“ ზედიზედ მე-6 „კლასიკოს“ მოგების შანსი დაუკარგა.

დანი ალვეში ამბობს, რომ მარსელომ თავისი საქციელი სათამაშო სიტუაციითა და გუნდის საჭიროებით ახსნა, „რეალი“ აგებდა და ხსნა არ ჩანდა. ასეა თუ ისე, ახლა სამეფო თასის ფინალის ჯერია, რომელიც ოთხშაბათს ვალენსიაში, „მესტალიას“ სტადიონზე გაიმართება. მოკლედ, „კლასიკო“ დასრულდა, ახალი „კლასიკო“ იწყება.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ესპანეთის. ლა ლიგა. XXXII ტური
ვილიარეალი-სარაგოსა 1:0

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპესი - მარიო, მუსაჩიო, მარჩენა, კატალა - ვანი (71. ვაკასო), ბრუნო, ბ. ვალერო, კასორლა - ნილმარი (71. მარკო რუბენი), როსი (83. ორიოლი).

სარაგოსა (5-4-1): დობლასი - დიოგო, ლანსარო (71. ლაფიტა), იაროშიკი, დ. სილვა, ობრადოვიჩი (59. პარედესი) - ბუტაპჰარი, პონსიო, გაბი, ბერტოლო (55. ანდერი) - უჩე.

გოლი: 1:0 როსი (71-პენ)

გაფრთხილება: კანი, ბ. ვალერო - ლანსარო, გაბი, პონსიო, ობრადოვიჩი, უჩე

გაძევება: უჩე (92)

კუთხური: 4-3; **ჯარიმა:** 11-22; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 10-17 (6-8); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 18 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	32	27	4	1	86-17	85
2. რეალი	32	24	5	3	73-23	77
3. ვალენსია	32	19	6	7	54-35	63
4. ვილიარეალი	32	17	6	9	49-36	57
5. ბილბაო	32	15	3	14	49-46	48
6. ატლეტიკო	32	13	7	12	50-43	46
7. სევილია	32	13	7	12	48-47	46
8. ესპანიოლი	32	14	3	15	40-45	45
9. ლევანტე	32	12	6	14	36-42	42
10. მალიორკა	32	11	6	15	33-45	39
11. სოსიედადი	32	12	2	18	42-55	38
12. დეპორტივო	32	9	11	12	27-40	38
13. სპორტინგი	32	9	11	12	30-37	38
14. ხეტაფე	32	10	7	15	43-51	37
15. რასინგი	32	9	10	13	31-47	37
16. ოსასუნა	32	9	8	15	37-39	35
17. მალაგა	32	9	6	17	42-62	33
18. სარაგოსა	32	8	9	15	31-45	33
19. ერკულესი	32	8	6	18	29-50	30
20. ალმერია	32	5	11	16	32-57	26

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტურის გამოხმაურება

ისევ ის ლევერ... პარდონ, ვიცე-კუზენი!

ბაიერნმა ვან გაალის გარეშე გაილაღა, დორტმუნდი საოცნებო ტიტულს მიუახლოვდა, ფელიქს მაგათი კი ამბობს, რომ სულელი ფეხბურთელები ჰყავს

შაბათს, გერმანული „სქაის“ კომენტატორს აკრძალული სიტყვა წამოსცდა. მან თქვა, ოტმარ ჰიტცფელდი ნაცისტების მწვრთნელიაო. გერმანულად ეს ასე გამოითქმის: Nazi-trainer და მიხვდებით, რომ პირდაპირი თარგმანით ეს სწორედ ნაცისტების მწვრთნელს ნიშნავს. არადა, მარსელ რაიფმა სულ სხვა რამ იგულისხმა. საქმე იმაშია, რომ შვეიცარიის ნაკრებს, რომელსაც სწორედ ჰიტცფელდი წვრთნის, შემოკლებით Nati-ს ეძახიან, მაგრამ „ნაცი“ კი არ გამოითქმის, როგორც სრულ სიტყვაშია (Nationalmanhaft), არამედ შვეიცარიელები „ნათის“ ამბობენ ხოლმე, ზემოთ ხსენებულმა კომენტატორმა კი პირდაპირ „ნაცი“ თქვა. ამაზე გერმანიაში ბევრი იცინეს და ცოტა გაბრაზდნენ კიდეც - ხომ იცით, რამდენად მკაცრადაა აკრძალული იქ ნებისმიერი რამის ხსენება, რაც ადოლფ ჰიტლერს და იმდროინდელ გერმანიას უკავშირდება.

რაც შეეხება მთავარს, ანუ სპორტულ მხარეს: როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი მოვლენები კვირას განვითარდა: ჯერ „ბაიერნმა“ თავისი საყვარელი მეტოქე „ლევერკუზენი“ გაანადგურა, რაშიც, როგორც ჩანს, ლუის ვან გაალს უდიდესი დამსახურება მიუძღვის - მიუხედავად იმისა, რომ კვირაზე მეტია, რეკორდმაისტერის თავკაცი აღარ არის; მერე კი, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ჩემპიონობისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა.

სხვა მხრივ, ფელიქს მაგათისა და კრისტოფ დაუმის სახით, ორი სახელოვანი მწვრთნელი გადარჩენისთვის იბრძვის, კიოლნში კი რელიგიაზე ალაპარაკდნენ. თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის 30-ე ტურის გამოხმაურება Tops & Flops-ის სახით.

Flop
ნაცრისფერი ჰამბურგი: არც იქით, არც აქეთ

მორჩა, რუუდ ვან ნისტელროი „ჰამბურგის“ ფორმას აღარასოდეს მოირგებს. ვეტერანმა ჰოლანდიელმა გოლეადორმა ამ უქმეებზე საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და რაკი გაირკვა, რომ დარჩენილ ტურებში ველარ ისპარეზებდა, თამამად თქვა, ზაფხულში „ჰამბურგიდან“ მივდივარო. მართალია, რუუდის წასვლით HSV-ს სახელფასო ფონდი მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ, მაგრამ ვერც ევროტურნირებზე ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს, რადგან „ჰამბურგი“ მეხუთე ადგილზე მყოფ „მაინცს“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

გაგახსენებთ, რომ „ჰამბურგი“ შარშან მეშვიდე ადგილზე გავიდა და ახლაც იქაა. ჩრდილოელები დროებით მწვრთნელ **მიხაელ იონინგს** თურმე კონტრაქტს უგრძელებენ - ნიჭიერი კაცია, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ვერავის ვერაფერს დააკლებს. „ჰანოვერთან“ ნაჩვენები ფეხბურთიც უინტერესო იყო. მოკლედ, „ჰამბურგი“ ბუნდესლიგაში თავის სიტყვას ველარ ამბობს. თან ვან ნისტელროიც მიდის...

Flop
მაგათი: სულელები არიან!

როცა გუნდს გავარდნის საფრთხე ემუქრება, მწვრთნელმა ფეხბურთელები უნდა დაიცვას - ეს დაუწერელი კანონია, რადგან კრიტიკა და ლანძღვა ამ დროს არაფერს მოგიტანს, ფეხბურთელები უფრო აიჭრებიან, შეიძლება მწვრთნელზე გაბრაზდნენ და უარესებს ჩაიდინენ. „ვოლფსბურგის“ დამრიგებელი ფელიქს მაგათი კი ასე არ ფიქრობს. კითხვაზე, რატომ ვერ ახერხებს მისი გუნდი თამაშის მოგებას, „დესპოტმა ფელიქსმა“ ასე უპასუხა: *„იმიტომ, რომ სულელი ფეხბურთელები მყავს! უმეტესობა მარტო თავის თავზე ფიქრობს. მაგალითად, დიეგოს მონდომება აკლდა და თავდაუჯერებელიც იყო.“*

გაოგნებული ლევერკუზენელები: ერენ დერდიოკი და მიხაელ ბალაკი

XXX ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი. 3-2-3-2)

ტომ შტარკე (ჰოფენჰაიმი, 2) - **აცუტო უჩიდა** (შალკე, 2), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ, 9), **პეტრი პასანენი** (ვერდერი, 2) - **კრისტიან ტრეში** (შტუტგარტი, 1), **მათიას ლემანი** (ზანკტ პაული, 1) - **ანდრე შიურლე** (მაინცი, 3), **მარიო გიოტცე** (ბორუსია დ, 6), **კრისტიან აიგლერი** (ნიურნბერგი, 2) - **მარიო გომესი** (ბაიერნი, 5), **ედუ** (შალკე, 1)

ესეც ასე, „კიკერის“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრათა რაოდენობის მიხედვით, დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი **მატს ჰუმელსი** უკვე ერთპიროვნული ლიდერია - ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი სიმბოლურში მეცხრედ (!) მოხვდა. გაგიკვირდებათ და ტურის სიმბოლურში „ზანკტ პაულისა“ და „შტუტგარტის“ ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ...

ტურის გმირი
მარიო გომესი (ბაიერნი)

...**მარიო გომესი** კი მხოლოდ მეორედ გახდა ტურის საუკეთესო ფეხბურთელი. ამჯერად იმიტომ, რომ „ლევერკუზენთან“ სუფთა ჰეთ-თრიკი შეასრულა. „ბაიერნის“ ფორმით სუფთა ჰეთ-თრიკი მან პირველად გააკეთა, ზოგადად კი, ბუნდესლიგაში, ერთ შეხვედრაში სამი გოლის გატანა მეშვიდედ მოახერხა.

საუკეთესო ფეხბურთელები

29 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	საშ. შეფასება
1. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.57
2. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.64
3. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.64
4. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.65
5. სვენ ბენდერი	ბორუსია (დ)	2.67
6. მანუელ ნოიერი	შალკე	2.72
7. რომან ვაიდენფელერი	ბორუსია (დ)	2.72
8. ოლივერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.79
9. ფილიპ ვოლშაიდი	ნიურნბერგი	2.87
10. ტომ შტარკე	ჰოფენჰაიმი	2.88

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. მარიო გომესი	ბაიერნი	28	22	3	25
2. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	28	20	1	21
3. თომას მიულერი	ბაიერნი	30	10	11	21
4. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	29	6	14	20
5. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	22	5	15	20
6. დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	25	13	7	20
7. ლუკას ბარიოსი	ბორუსია (დ)	28	13	6	19
8. თეოფანის გეკასი	აინტრახტი	30	16	3	19
9. მილოვოე ნოვაკოვიჩი	კიოლნი	24	14	4	18
10. მლადენ პეტრიჩი	ჰამბურგი	21	11	7	18

მაგათმა დიეგო 73-ე წუთზე გაიყვანა და თუ უნდა, რომ გაიგოს, რა ემუქრება მას ფელიქსის ზემოხსენებული სიტყვების შემდეგ, შეუძლია, შალკელებს, **ჯეფერსონ ფარფანსა** და **ჯერმეინ ჯონსს** ჰკითხოს. აკი ვამბობდით, ვოლფსბურგში მაგათი ინიშნება და **დიეგოს** პრობლემები შეექმნება-თქო.

Flop
ჩერჩილი ხარ, დაუმ?

„ჰოფენჰაიმთან“ წაგებული მატჩის შემდეგ, „აინტრახტის“ მწვრთნელ **კრისტოფ დაუმს** ბევრი არაფერი უთქვამს, მაგრამ რაც თქვა, სალადაოდ ისიც საკმარისი აღმოჩნდა. მან უინსტონ ჩერჩილის ცნობილი ფრაზა გააჟღერა: „Never, Never, Never Give Up!“ ნამდვილად კარგად ჟღერს, მაგრამ „აინტრახტს“ ჩერჩილის მეორე ცნობილი ფრაზა უფრო მოუხდებოდა: *„თუ წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევს, ალფრთოვანება არ უნდა დაკარგო, თორემ წარმატებას ვერ მიაღწევ!“* ან ეს ფრაზა: *„თუ ჯოჯოხეთში მიდიხარ, უბრალოდ, გზა განაგრძე!“*

მომდევნო ფრაზა შეუძლია, სახლში, მისაღებ ოთახში გაიკრას: *„მტრები გყავს? ე.ი. ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიე!“* რატომ უნდა გაიკრას? ული **ჰიონესს ჰკითხეთ...**

Flop
„ვიცე-კუზენი“ დაბრუნდა!

ტურის წინ, „ლევერკუზენი“ მართლაც იდეალურ მდგომარეობაში იყო: მეტოქე „ბაიერნს“ ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, დანარჩენები კი ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდნენ; ლუის ვან გაალის გათავისუფლების შემდეგ კი, გუნდს **ანდრის იონკერი** წვრთნიდა. ამასთან, „ლევერკუზენი“ ლიდერ „დორტმუნდთან“ ხუთქულიან დისტანციაზე იყო მიახლოებული და თანაც, „ფარმაცევტებს“ მეორე წრის საუკეთესო გუნდის სახელი ჰქონდათ - სტაბილურის, თავდაჯერებულის და **მიხაელ ბალაკიც** ისეთ ფორმაში იყო შესული, გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** თამაშის წინ თქვა, შეიძლება, ბუნდესგუნდში დავაბრუნოო. მოკლედ, ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ **იუპ ჰაინკესის** გუნდს „ბაიერნთან“ კარგად უნდა ეთამაშა - ისე, როგორც ჩემპიონობის პრეტენზიის მქონე გუნდს შეეფერება.

„დონ იუპი“ ალბათ ვერასდროს ახსნის, რატომ ითამაშეს მისმა შეგირდებმა პირველივე წუთებიდან ასე საზიზღრად, ნერვიულად და აბსოლუტურად უიდეოდ. ჰაინკესმა თქვა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ ვერ გამოავლინა მისმა გუნდმა შესაძლებლობების თუნდაც 30 პროცენტი. განსაკუთრებით სამარცხვინო მიუნხენელთა პირველი ორი გოლი გახლდათ: **რიბერის** კუთხურის შემდეგ, შვაინშტაიგერმა ბურთს მიმართულება თავით შეუცვალა და „ლევერკუზენის“ კაპიტან **როლფესისკენ** გაგზავნა, რომელმაც „დიდსულოვნად“ გაიტანა ავტოგოლი; მეორე გოლის დროს კი, **არტურო ვიდალმა**, მეკარის საჯარიმოში, კუთხურის ხაზიდან ქუსლით (!) უპასა **თომას მიულერს**, რომელმაც **გომესს** გაატანინა.

„ლევერკუზენს“ ტყუილად კი არ ეძახიან ვიცე-კუზენს...

Top
გმირი ნიკო

„მაინცისა“ მიონხენგლადბახის მატჩის დროს, სტუმრებს კუთხური უნდა ჩაეწოდებინათ, როცა „გლადბახის“ მცველ **დანტეს** თვალები გაუფართოვდა და ყბა ჩამოუვარდა - ისღა მოახერხა, რომ მსაჯისთვის ენიშნებინა, ასე თამაში ხომ არ შეიძლება, ეს კაცი მოედნიდან გაიყვანეთო. დანტე არბიტრს **ნიკო ბუნგერტისკენ** ანიშნებდა, ამ უკანასკნელს კი შუბლზე ისეთი „კოპი აჯდა“, იფიქრებდით, ცოტაც და სქელი რქა გამოუვაო.

მიუხედავად ამისა, **ბუნგერტმა** თამაში განაგრძო და ძალიან მაგრადაც იბრძოდა. თან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისთვის უჩვეულო პოზიციაზე იყო: ბუნგერტი მარჯვენა მცველია და ცენტრში მხოლოდ იმიტომ თამაშობდა, რომ მაინცელებს ამ შეხვედრისთვის ცენტრალური უკანახაზელები აღარ ჰყავდათ. ნიკომ ამ ამოცანას თავი კოპითაც ძალიან კარგად გაართვა.

Top
ნიურნბერგი ევროპისკენ

„ნიურნბერგის“ მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** ამბობს, მომდევნო ტურში „მაინცთან“ ძალიან მაგარი თამაში გველის, ორივე გუნდი ახალგაზრდა და დამშეულიაო. ეს შეხვედრა მართლაც ძალიან საინტერესო იქნება, რადგან „მაინცია“ და „ნიურნბერგიც“ ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვიან. ამ უქმეებზე კი, „ნიურნბერგმა“ გადარჩენისთვის მებრძოლ „კაიზერსლაუტერნს“ სტუმრად 2:0 მოუგო და თანაც, ფრანკებმა „ფრიც-ვალტერშტადიონზე“ ისე ითამაშეს, თითქოს „ნიურნბერგი“ გრანდი იყოს. მომავალ უიქ-ენდზე კი, მეხუთე ადგილისთვის გადამწყვეტი მატჩი გველის - „ნიურნბერგისა“ და „მაინცის“ მონაწილეობით. სეზონის წინ ამას ვინმე იფიქრებდა?

Top
ჰომერ სიმპსონის ღიპი

„სიმპსონების“ ერთ-ერთ სერიაში, ჰომერი ექიმთან მივა და სთხოვს სიმსუქნე გამიზომეო. ექიმი ღიპზე ხელს მიარტყამს და წამზომს ჩართავს, რათა გაზომოს დრო, რამდენ ხანს არ დამშვიდდება მისი მუცელი, ჰომერის ღიპი კი არა და არ ჩერდება. დაახლოებით ასეთივე სანახაობა იყო კვირას დორტმუნდის „ბორუსიას“ სტადიონის სამხრეთ ტრიბუნაზეც - ხელიხელგადახვეული ფანები დიდხანს ხტუნაობდნენ.

მატჩის შემდეგ, **კევინ გროსკროიტცმა** თქვა, გერმანიაში ყველაზე მაგარი გულშემატკივრები ჩვენ გვყავსო, **მატს ჰუმელსმა** კი დასძინა: *„ასეთი რამ იშვიათად მინახავს. ეს განუმეორებელი სანახაობაა! ჩვენ მათ მადლობას „ვერცხლის სინით“ გადავუხდით!“*

თუ მომდევნო ტურში „ბორუსია“ მიონხენგლადბახელ სეხნიას დაამარცხებს, ხოლო „ლევერკუზენი“ „ჰოფენჰაიმთან“ ვერ მოიგებს, დორტმუნდელები გერმანიის ჩემპიონობას სამი ტურით ადრე გაინაღდებენ.

Top
დაუჯერებელი ბაიერნი

ფეხბურთი და მონდომება, რომელიც „ბაიერნმა“ ლუის ვან გაალის გაგდების მერე პირველივე მატჩში აჩვენა, იდეალური იყო. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეკორდმაისტერმა ამ სეზონში ასე კარგად პირველად ითამაშა. დროებითმა მწვრთნელმა ანდრის იონკერმა თქვა, ბიჭებმა ამ თამაშში გული და სული ჩააქსოვესო.

„ნუთუ ეს მართლა „ბაიერნი“ იყო? - რიტორიკული კითხვა დასვა მატჩის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერმა და იქვე დასძინა, - *თუ ასეა, მაშინ გულითადი მოკითხვა ლუის ვან გაალს.“*

საინტერესოა, რა დაუშავა ვან გაალმა ასეთი მიუნხენური გრანდის ფეხბურთელებს?

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დორტმუნდის ბორუსია

ნური შაჰინი დორტმუნდელ ფანებს საბოლოოდ დაემშვიდობა?

დორტმუნდის „ბორუსიამ" კვირას, „ფრაიბურგის" დამარცხებით (3:0), გერმანიის ჩემპიონობისკენ სავარაუდოდ ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და ერთადერთი ამბავი, რამაც დორტმუნდელ ქომაგებს ხასიათი წაუხდინა, გუნდის ლიდერის, **ნური შაჰინის** ტრავმაა. 22 წლის თურქი ნახევარმცველი პირველივე ტაიმში დაშავდა, გუშინ კი მას დიაგნოზიც დაუსვეს: შაჰინისთვის ეს სეზონი დამთავრებულია. დორტმუნდელები ჩემპიონობას, სავარაუდოდ, მის გარეშეც მარტივად გაიფორმებენ და გულშემატკივრები დიდად არც ინაღვლებდნენ, რომ არა კიდევ ერთი ამბავი: გასულ უქმეებზე, გერმანიაში გავრცელდა დაუდასტურებელი, მაგრამ ძალიან რეალური ცნობები იმის შესახებ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, ნური „ბორუსიას" დატოვებს და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი გახდება.

რაც შეეხება ტრავმას: „ბორუსიას" ექიმების ცნობით, თურქი ნახევარმცველი ლაზარეთში მინიმუმ ექვს კვირას გაატარებს. შესაბამისად, BVB-ს მთავარი ექიმი **მარკუს ბრაუნი** ამბობს, ამ სეზონში ვერც ერთ შეხვედრაში ვეღარ იასპარეზებსო.

ნური შაჰინი იდეალურ ფორმაშია და მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიცაა. მის ანგარიშზე ექვსი გოლი, რვა საგოლე პასი და „კიკერის" საშუალო შეფასება 2.64 ბალია, რითაც შაჰინი ამ დროისათვის, საუკეთესო ფეხბურთელებს შორის, ასევე ტრავმირებულ თანაგუნდელ **შინჯი კაგავასთან** ერთად, მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

შაჰინი რეალში? დორტმუნდში მხოლოდ გიუნდოგანს ადასტურებენ!

რაც შეეხება ნურის „რეალში" გადასვლის პერსპექტივას – როგორც იცით, „ბილდმა" გამოარკვია, რომ შაჰინს კონტრაქტში (ვადა 2013 წლამდე) უდევს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ამ ზაფხულს „ბორუსიას" დატოვება 6 მილიონ ევროდ შეუძლია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, შაჰინის წასვლა გადაწყვეტილია და ეს „დორტმუნდის" ხელმძღვანელებმაც იციან.

BVB-ს ბოსმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** კვირას „ბილდს" ინტერვიუ მისცა, სადაც შაჰინის წასვლა არ დაადასტურა, სამაგიროდ, აღნიშნა, რომ თუ ნურის „რეალის" დარი გუნდი დაპატიჟებს, დორტმუნდელებს მისი შენარჩუნება გაუჭირდებათ, რაც აღიარებითი ჩვენების პირველი ნიშანია.

„ბარსელონას" ან „რეალის" სერიოზულად დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ ალბათ შანსი არ გვექნება. გვინდოდა, რომ შაჰინთან ახალი კონტრაქტი ახლავე გაგვეფორმებინა, მაგრამ ეს დღემდე ვერ შევძელით," - აცხადებს ვატცკე. როგორც ჩანს, მან შაჰინს არაერთხელ შესთავაზა ახალი ხელშეკრულების გაფორმება და უარი მიიღო.

სამაგიროდ, ვატცკე სიამოვნებით ადასტურებს იმას, რომ „დორტმუნდს" „ნიურნბერგიდან" 20 წლის ნახევარმცველის, **ილქაი გიუნდოგანის** შეძენა უნდა. ეს უკანასკნელი კი სწორედ შაჰინის პოზიციაზე (კრეატიული ცენტრალური ნახევარმცველი) თამაშობს. გიუნდოგანს „ნიურნბერგთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფრანკები მის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს ითხოვენ.

კვირას, „ბორუსიას" ფანებმა „ვესტფალენშტადიონის" ტრიბუნაზე საინტერესო ტრანსფარანტი კი გადმოფინეს (წარწერით: „ნურისთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში"), მაგრამ ლიდერის შენარჩუნების იმედი ფაქტობრივად ტყუილად აქვთ...

გოტფრიდ ლენცი

● კომენტარი

ეფენბერგი: გლადბახი გავარდნას იმსახურებს!

მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **შტეფან ეფენბერგისთვის**, ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში სამი რამ უკვე გადაწყვეტილია: 42 წლის ეფე დარწმუნებულია, რომ ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" გახდება, მიონხენგლადბახის „ბორუსია" მეორე ბუნდესლიგაში აუცილებლად გავარდება, ხოლო „ბაიერნი" კი მესამე ადგილს დაიკავებს.

„დორტმუნდის" ჩემპიონობაში მარტო მე კი არა, ეჭვი აღარავის ეპარება. რაც შეეხება „გლადბახს": მართალია, მათ ჯერ კიდევ აქვთ გადარჩენის შანსი, მაგრამ არა მგონია, რომ ეს მოახერხონ. ჩემი აზრით, მიონხენგლადბახელებმა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება დაიმსახურეს კიდეც. „ბაიერნი" კი მესამე ადგილზე გავა," - აცხადებს ეფენბერგი „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

გოტფრიდ ლენცი

სერია A. XXXIII ტურის მიმოხილვა

ორი მოვლენა, მოულოდნელობა და ჩავარდნა

ტურის სიმბოლური ნაკრები

ანტონიოლი (ჩეზენა) – **სარდო** (კიევი), **საპატა** (უდინეზე), **ბიპვა** (ლაციო), **ქამბროტა** (მილანი) – **ინლერი** (უდინეზე), **ზეედორფი** (მილანი), **ჯოვინკო** (პარმა) – **ერნანდესი** (პალერმო), **სარატე** (ლაციო), **პალასიო** (ჯენოა).

მეოთხეჯერ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში **კლარენს ზეედორფი** და ეს მაშინ, როდესაც ხშირად საუბრობენ მისი „მილანიდან" შესაძლო აბარგების შესახებ. ორი ტურია ჰოლანდიელი უგოლოდ არ ტოვებს მოედანს და ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ გუნდისთვის მეტად საჭირო მოთამაშეა. ზეს ბოლოდროინდელი წარმატებები, წესით, ახალი ხელშეკრულების გაფორმების საწინდარი უნდა გახდეს, მით უმეტეს, ამის საწინააღმდეგო არც თავად ფეხბურთელს აქვს რამე. მეხუთეჯერ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის „უდინეზეს" მცველი **საპატა**, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მიმდინარე სეზონს უმაღლეს დონეზე ატარებს. შეტევის წინა ხაზზე **მაურო სარატეს** ვხედავთ, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, მასთან ერთად კი დუბლის ავტორ **ერნანდესს** „პალერმოდან" და **პალასიოს** „ჯენოადან".

ტურის გმირი

„ლაციოს" მთავარმა მწვრთნელმა **ედუარდო რეიამ** მაურო სარატე სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, მაგრამ პირველივე ტაიმში **ჯუზეპე სკული** დაშავდა და იძულებული გახდა, თამაშში სწორედ არგენტინელი ჩაერთო. „კატანიას" დამარცხებაში მაურომ უდიდესი წვლილი შეიტანა - ორი საგოლე პასი მიითვალა აქტივში და საჯარიმო დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. მოკლედ, სარატე საუკეთესო კუთხით წარმოჩინდა და სავარაუდოდ, მომდევნო პაექრობას პირველივე წუთებიდან დაიწყებს. ნამატჩევს, არგენტინელი ბედნიერი გახლდათ:

„უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით მიზნისკენ. მთავარი სწორედ ეს არის და არა ის, რამდენი გოლი გავიტანე, ან რამდენი საგოლე გადაცემა გავაკეთე. როდესაც რომაული დერბი წავაგეთ, ვთხოვე გულშემატკივრებს, რომ კრიტიკისგან თავი შეეკავებინათ და ბოლომდე გვერდში დაგვდგომოდნენ. ასეც მოიქცნენ და შედეგიც სახეზეა - „რომა" გვარიანად ჩამოვიტოვეთ და კარგი შანსი გვაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ".

ტურის მოულოდნელობა

„ინტერის" წარუმატებლობები თითქოს აღარც გვიკვირს, მაგრამ „პარმასთან" მარცხი მაინც მოულოდნელი გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ემილიაში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ, თვითონ **ლეონარდომაც** კი აღიარა, რომ მისმა გუნდმა სკუდეტოს მოპოვების შანსი საბოლოოდ დაკარგა. ბრაზილიელის თქმით, დრამა იტალიის თასის გათამაშებაზე გადაერთოს - ეს ერთადერთი ტურნირია, რომლის მოგების იმედი „ინტერის" ბანაკში ჯერ კიდევ აქვთ.

ტურის მოვლენა

უფრო სწორად ტურის მოვლენები, რადგან ორ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ერთი, რომ „მილანმა" გაზარდა ქულათა სხვაობა კონკურენტებთან და მეორე, „სამპდორია" დაეშვა გასავარდნ ზონაში.

„მილანმა" „სამპდორიას" სძლია, „ინტერმა" და „ნაპოლიმ" კი წყვილად წააგეს, რამაც ლიდერსა და მის მდევრებს შორის სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა. „როსონერი" მთავარ კონკურენტ „ნაპოლის" უკვე ხუთი ქულით უსწრებს, თანაქალაქელი „ინტერი" კი მთელი რვა ქულით ჩამოიტოვა. მოკლედ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი, უფრო სწორად, სასნაული არ

ტურის გმირი: მაურო სარატე

მოხდა, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს ჩემპიონობას ვეღარავინ შეეცილება.

რაც შეეხება „სამპდორიას", კრიზისმა გუნდი გასავარდნ ზონამდე ჩაიყვანა და ისეთი პირი უჩანს, რომ იქიდან ამოძრომა არ იქნება იოლი საქმე. ჯერ ერთი, გენუელებს გამოცოცხლების არაფერი ეტყობათ და მეორე, კონკურენტები სტაბილურად აგროვებენ ქულებს. მაგალითად, „ჩეზენამ" „ბარი" დაამარცხა, „ლეჩემ" „კალიარის" არ დაანება სამი ქულა, „პარმამ" კი სულაც „ინტერს" გამოუყვანა წირვა. ისეთი დიდი ისტორიის მქონე გუნდი, როგორიც „სამპდორიაა", გასავარდნ ზონაში აღმოჩნდა, რაც ნამდვილად აღსანიშნავი ფაქტია.

ტურის ჩავარდნა

ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში „ნაპოლიმ" საშინაო მარცხი იწვნია და თანაც გუნდთან, რომელიც საუკეთესო ორი ფეხბურთელის გარეშე ესტუმრა ნეაპოლს. დიახ, „უდინეზეს" **ანტონიო დი ნატალეს** და **ალექსის სანჩესის** გარეშე უწევდა ასპარეზობა და მიუხედავად ამისა, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა.

„ნაპოლის" გასული წლის 25 ოქტომბრის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული „სტადიო სან პაოლოზე" და ეს წარმატებული სერია ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში შეწყვიტა. პიროთამდე გავსებული ტრიბუნები ორჯერ დადუმდა, ნამატჩევს კი ნეაპოლელთა მთავარ მწვრთნელს დანა პირს არ უხსნიდა. სამაგიეროდ, **ედინსონ კავანიმ** გააკეთა კომენტარი და შემდეგი განაცხადა:

„ეს ყველაზე გულდასაწყვეტი მარცხია ჩემს საფეხბურთო კარიერაში, მაგრამ ვცდილობ, რომ როგორმე დავივიწყო და მომავალ პაექრობაზე გადავერთო. ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ვივარგეთ, მეტოქემ კი თითზე ჩამოსათვლელი მომენტი შექმნა და იქიდან ორი, გოლით დაასრულა. რას ვიზამთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და დროა, მომდევნო თამაშზე გადავიტანოთ ყურადღება".

ტურის ფრაზა

სილვიო ბერლუსკონი (მილანის პრეზიდენტი): *„გასულ სეზონში, „ინტერს" ყველაფრის მოგების საშუალება მივეცით - ვფიქრობ, რომ დროა საკუთარ თავზეც ვიფიქროთ".*

ციფრები და ფაქტები

- 2005-2006 წლების ჩემპიონატის შემდეგ, „ინტერს" სეზონში 8 შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული;
- კლარენს ზეედორფმა 395-ე შეხვედრა ჩაატარა „მილანის" შემადგენლობაში, ამ მაჩვენებლით ის საუკეთესოა ყველა დროის ლეგიონერებს შორის;
- „პარმას" 22 იანვრის შემდეგ არ ჰქონდა საკუთარ მოედანზე მოგებული, სამი მატჩი წააგო, ორი კი ფრედ ითამაშა;
- 2005 წლის აპრილის შემდეგ, „რომამ" პირველად წააგო ზეზიზედ ორი შეხვედრა საკუთარ მოედანზე;
- **ესეკილ შელოტომ** და **კევინ კონსტანტმა** სადებიუტო გოლები გაიტანეს სერია A-ში;
- „ფიორენტინას" საკუთარ მოედანზე „იუვენტუსი" 1998 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია;
- **რობერტ აკვაფრესკამ** სერია A-ში ჩატარებული მეასე შეხვედრა 35-ე გატანილი გოლით აღნიშნა;

ლაშა წიკლაური

● რომა

მონტელა წასვლაზე არ ფიქრობს

„პალერმოსთან" განცდილი საშინაო მარცხის შემდეგ, იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „რომას" მესვეურებმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს და სეზონის დასრულებისთანავე **ვინჩენცო მონტელას** პოსტის დატოვება მოუწევს. როგორც ცნობილია, რომაელებს საზაფხულოდ დიდი გეგმები აქვთ და რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელის გადაბირებას შეეცდებიან. შესაბამისად, მწვრთნელიც ისეთი უნდა ჰყავდეს გუნდს, რომლის კვალიფიკაციაც ეჭვს არ გამოინევს. თავად მონტელა მშვიდად არის და მიიჩნევს, რომ მის სკამს საფრთხე არ ემუქრება:

„ჯერჯერობით, მხოლოდ სეზონის დარჩენილ შეხვედრებზე ვფიქრობ და არ მაღელვებს ის ფაქტი, თუ რა იწერება პრესაში. დარწმუნებული ვარ, რომ კლუბის მესვეურები სწორად აფასებენ არსებულ ვითარებას, ჩემ მიერ გაწეულ სამუშაოს და კმაყოფილებიც არიან. გუნდი მეტად რთულ მდგომარეობაში ჩავიბარე და მიუხედავად ამისა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ვართ ჩაბმულნი. ამიტომ, პოსტის დატოვებაზე არ ვფიქრობ და მგონია, რომ ახალ ხელშეკრულებას სეზონის დასრულებისთანავე გავაფორმებ".

ვინჩენცო მონტელა

ლაშა წიკლაური

უცხოური ფეხბურთი

● ლიგა 1. XXXI ტური. გამოხმაურება

ტურის უმთავრესი მოვლენა პარკ დე პრენსზე მოხდა

ოცნება, რომელიც ცოცხლობს

ტურის მატჩი

პსჟ-„ლიონის" დაპირისპირება ფრანგულმა გაზეთებმა პსჟ-"მარსელის" მატჩებს გაუთანაბრეს და საერთო ფრანგულ დერბად მონათლეს. თუმცა იყო საეჭვოება, რომ დაპირისპირება ტურის იქამდე ჩატარებული შეხვედრების ჩრდილში მოქცეულიყო. საბედნიეროდ მოლოდინი არ გამართლდა და „პარკ დე პრენსზე" გამართულმა „ომმა" XXXI ტურის უმთავრესი სათქმელი თქვა. ვერ ვიტყვით, რომ გუნდებმა რამე განსაკუთრებული სანახაობა შემოგვთავაზეს. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ის, რაც მინდორზე ხდებოდა, მიმზიდველი არც იყო, მაგრამ იყო საოცრად დაძაბული და ამაში უმთავრესი როლი ბოლომდე შეუვსებელმა, მაგრამ მაინც მოგუგუნე სტადიონმა ითამაშა. გასაკვირი ამაში ალბათ არც არაფერი უნდა იყოს, პარიზში ხომ გულშემატკივრობა ყოველთვის იცოდნენ.

დაძაბულ შეხვედრებს იდეალურ შემთხვევაში უხეშობამდე მისული ხისტი თამაში, შეცდომები (ფეხბურთელთა თუ მსაჯების მხრიდან) ახასიათებს. ასე იყო ყველაფერი ამ ჯერზეც. შედეგად მივიღეთ მშვენიერი პროდუქტი: ხარისხიანი ფეხბურთი. შეხვედრაში უმთავრესი შეცდომა **უგო ლორისმა** დაუშვა, ვინც გამოსვლაზე **გილემ ოაროსთან** ორთაბრძოლა წააგო და შედეგად ცარიელ კართან **ლუდოვიკ ჟიული** და **ზუმანა კამარა** გაჩნდნენ, მათთვის ხელის შეშლა უკვე ვეღარავინ შეძლო. ყოველივე ამან კი შედეგად ის მოიტანა, რომ საჩემპიონო მარათონს ორად ორი გუნდი შერჩა, რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის დაპირისპირებას, იქ უფრო გამწვავდა და ეჭვი გვაქვს, რომელიმე საფეხბურთო ექსპერტმა შედეგები წინასწარ შეუცდომლად განჭვრიტოს. აი, რა თქვა მატჩის დასრულების შემდეგ გამარჯვებულთა თავკაცმა: *„ჩემმა შეგირდებმა დიდებული მატჩი ჩაატარეს. ჩვენ მართლა დავიმსახურეთ ეს გამარჯვება. პარიზის ოცნება, მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობაზე, ისევ ცოცხალია. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, მათი დიდი წყალობაა, რომ ეს შედეგი მივიღეთ".*

ტურის გმირი

„სენტ ეტიენის" ლიდერმა **დიმიტრი პაიემ,** მისი გუნდის მსგავსად, ჩემპიონატი განსაკუთრებული რიხით დაიწყო, რაღაც ეტაპის შემდეგ კი ნელ-ნელა პოზიციები დათმო. „ნანსისთან" შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრების 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი „დიდ ავიაციას დაუბრუნდა" და მეტოქეს ორი გოლი გაუტანა. მასზე დიდი წვლილი გუნდის ნარმატებაში არავის შეუტანია, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ტურის ფეხბურთელად დასახელდა. რახან ლაპარაკი ამ ფეხბურთელზე ჩამოვარდა, გეტყვით, რომ ინგლისური პრესის ცნობით, დიმიტრომ „ჩელსის", „ლივერპულისა" და „სანდერლენდის" ყურადღება მიიპყრო. სავარაუდოა, რომ ფეხბურთელი სეზონის ბოლოს სწორედ ნისლიან ალბიონზე გადაბარგდება.

აქვე ტურის სიმბოლური ნაკრების დასახელების დროც მოვიდა:

კუპე (პსჟ) – **კამარა** (პსჟ), **სავიჩი** (ბორდო), **დუდკა** (ოსერი) – **პაიე** (სტ. ეტიენი), **მარტენი** (სოშო), **რუდე** (ლანსი), **ამალფიტანო** (ლორიანი), **მუნიე** (ნიცა) – **გამეირო** (ლორიანი), **მაიგა** (სოშო)

ტურის გოლი

რენატო სიველიმ „მონაკოს" უბრალო, მაგრამ ლამაზი გოლი გაუტანა. ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს კარის ხაზიდან 15 მეტრში თავი დაუხვედრა და ის შორეულ მაღალ კუთხეში გაახვია. ასეთი დარტყმების აღება, უბრალოდ, შეუძლებელია და პრინციპში, ასე რომ დაარტყა, უნდა გამოგვიდეს კიდეც.

ტურის გუნდი

„ოსერმა" მატჩი მისთვის ჩვეულ მანერაში ჩაატარა. დიდი ძალებით იცავდა თავს და გოლის გატანას კონტრშეტევებზე ცდილობდა. **ჟან ფერნანდესის** გუნდი მეკარე **ოლივიე სორინმა** რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კარიდან 30 მეტრში ერთბაშად ორი ფეხბურთელის მიერ წესების დარღვევა „ტულუზს" ძვირი დაუჯდა. **დარიუშ დუდკამ** მეკარისგან ახლო მარცხენა კუთხეში გაუშვა ბურთი. **მატიო ვალვერდეს** შეცდომა აშკარა იყო, თუმცა ამით ოსერელთა სიხარულს მისხალიც არ მოჰკლებია. ამ გამარჯვებით ბურგუნდიელებმა გასავარდნ ზონას თავი დააღწიეს.

ტურის მოვლენები

„ლილმა" ისევ ვერ მოიგო და ეს უთუოდ უნდა მივათვალოთ ტურის მოვლენებს. **რუდი გარსიას** შეგირდები ბოლო ორ შეხვედრაში ტრადიციულ, მაგრამ წელს, რეალურად, არაფრის მაქნის გუნდებს, „მონაკოსა" და „ბორდოს" დაუპირისპირდნენ და მათთან კინკილა ქულას გამორჩნენ. აშკარაა, თუკი ჯერ კიდევ ცხრილის ლიდერები გონს არ მოვლენ, უკეთეს შემთხვევაში ჩემპიონობას ისინი 2012 წელს თუ იზეიმებენ. გასათვალისწინებელია, რომ „ლილს" ჩემპიონატის გარდა საფრანგეთის თასის 1/2-ფინალში „ნიცასთან" გასვლითი მატჩიც აქვს, რაც კიდევ უფრო ართულებს ჩრდილოელთა მდგომარეობას.

გულის ფანცქალით ველოდით-თქო, რომ დავწეროთ, ტყუილი გამოვა, მაგრამ ეს რომ მოხდებოდა, ყველა ხვდებოდა. დიახ, მოხდა ის, რაც უკვე პირველი წრის შემდეგ უკვე ყველამ იცოდა – „არლი" გავარდა. გუნდმა ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურით ადრე გაინაღდა ლიგა 2-ის საგზური. ფრანგი ჟურნალისტები ჯერ კიდევ ზამთარში ხუმრობდნენ, ლიგიდან გასავარდნი სულ 2 გუნდის სახელის გარკვევაღა გვჭირდებაო.

„ლანსმა" გულშემატკივარს კიდევ ერთხელ გაუცრუა მოლოდინი და იმედი, რომ „არლს" კვალში არ გაჰყვება, უკვე ძალიან ცოტა დარჩა. არადა, **ლასლო ბოლონის** ბიჭები კარგად თამაშობდნენ, ფანები ბოლომდე მხარში ედგნენ, მაგრამ... გუნდმა მომენტების რეალიზაცია ვერ ისწავლა. ფეხბურთში კი ქულა მხოლოდ გატანილ ბურთებს მოაქვს. წარმოიდგინეთ, მარტო **ისაამ ჟემაამ** ხარიხას ორჯერ გაარტყა ბურთი.

თუკი „ლანსმა" გუნდურად დააგროვა უამრავი გაფუჭებული მომენტი, „ლორიანის" ლიდერმა **კევინ გამეირომ** ამისთვის ინდივიდუალურად იზრუნა. მას ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლო „რენის" დასამარება. სამაგიეროდ 51-ე წუთზე გოლი მან საკმაოდ რთული მდგომარეობიდან შეაგდო.

ტურის ფრაზა

„აშკარაა, რომ ის ერთი ქულა, რაც „ბრესტთან" დავიმსახურეთ, არ იყო საუკეთესო, რაც კი შეიძლებოდა შეგვმთხვეოდა, მაგრამ ამის მიუხედავად ისიც აშკარაა, რომ ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ ცოცხალია და იბრძვის," – თქვა „ლანსის" პრეზიდენტმა **ჟერვი მარტელმა**.

ლევან გიგილაშვილი

ქართული სპორტი

● ჭიდაობა. ბაქოს ტურნირი

ისევ ბაქოში ერთიანდებიან

ხვალ ბაქოში მოჭიდავეთა მორიგი სოლიდური შეჯიბრება იწყება - „აზერბაიჯანის ფედერაციის თასი" ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ერთდროულად ტარდება ორივე სტილის მიმდევარ ბიჭებსა და გოგოებში. ტურნირი კომერციულია - ახალგაზრდებში ჩემპიონი 1000 დოლარით დაჯილდოვდება, ვიცე-ჩემპიონი - 600-ით, მესამე პრიზიორები - 300-300-ით. ჭაბუკები, შესაბამისად, 600, 400 და 200-200 დოლარს მიიღებენ. დაჯილდოვდებიან მწვრთნელებიც. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებაა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის მზადების გზაზე. დღეს და ხვალ ჭაბუკი ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ, ტურნირი კი 24 აპრილს დამთავრდება.

ჭაბუკი „კლასიკოსების" ნაკრების თავკაცმა **ვაჟა კრავეიშვილმა** ბაქოში ყველა პირველ-მეორე ნომერი წაიყვანა, თუმცა ზოგან მესამე ნომრებიც დაუმატა. ბევრი საკუთარი ხარჯითაც წავიდა და გუნდში რაოდენობა 25-მდე ავიდა.

კრავეიშვილისგან განსხვავებით, მისი კოლეგები აზერბაიჯანში „გაცხრილული" გუნდებით წავიდნენ. **ვლადიმერ ადეიშვილმა** შემდეგ ფალავნებს უხმო: **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **ამირან შავაძე, თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **ქემალ ხარაბაძე, ფირუზ წულუკიძე, გოგიტა გოგიბერაშვილი** (60), **საჩინო** და **გიორგი დავითაიები** (66), **ზურაბ დათუნაშვილი, უშანგი ჩიტიაშვილი, გოგა აფრიამაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი, დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია, ირაკლი ქაჯაია** (96), **სერგო გოგისვანიძე** (120). სამწუხაროდ, დაშავდნენ საქართველოს ჩემპიონები **რობერტ ქობლიაშვილი** (84) და **შოთა გოგისვანიძე** (120). ამ ნაკრებთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ შეიცვალა მათი მოსამზადებელი გეგმა – ანკარის საერთაშორისო ტურნირს (მაისი) ალტერნატივად ისევ აზერბაიჯანში 5-10 მაისს გასამართი ახალგაზრდების მსოფლიოს თასი გამოუჩნდა. ეს გუნდური შეჯიბრებაა — „გუნდი გუნდზე" პრინციპით, 18-20 მაისს კი ერევანში გამოვლენ. საინტერესოა, რომ ამ ორ ტურნირზე ანკარის შეჯიბრებიდან გამოთავისუფლებული ხარჯებით გაემგზავრებიან.

ხვალ ბაქოს გზას ჭაბუკი „თავისუფლები" გაუდგებიან. **თამაზ ბენდიანიშვილმა** გუნდში **რამაზ ზოიძე, გიორგი გელაშვილი** (42), **რამაზ დარჩიძე, გიორგი ლეჟავა, ლევან მურცხვალაძე** (46), **შოთა ფანცულაია, შალვა ხუციშვილი** (50), **შოთა ფარტენაძე** (54), **რაუფ შაკულ-ოღლი** (58), **რობიზონ ხუროშვილი** (63), **შალვა ჭადაშვილი, ირაკლი გოგობერაშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი** (69), **გიორგი ჩხარტიშვილი, გიორგი მელიქიშვილი** (76), **ბექა როჭიკაშვილი** (85) და **გენო პეტრიაშვილი** (100) შეიყვანა. ტრავმებისგან დაზღვეული არც ეს ნაკრები აღმოჩნდა - ორი დღის წინ ვარჯიშზე დაშავდა საქართველოს ჩემპიონი **ომარ გურჯიძე** და გუნდსაც გამოაკლდა. შესაძლოა, მწვრთნელმა დღეს **ტაიფუნ აბდულაევიც** (42) დაიმატოს.

ყველაზე ბოლოს - 21 აპრილს ბაქოში **ნუგზარ სხირელის** მიერ შერჩეული ახალგაზრდა „თავისუფლების" გუნდი გაემგზავრება ასეთი შემადგენლობით: **ლევან როჭიკაშვილი, ბექა ბუჯიაშვილი** (50), **ლაშა ლომთაძე, ლაშა ტალახაძე** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით ტლაშაძე, დავით გალეგაშვილი** (66), **ბექა პეტრიაშვილი, ალექსი ჯაჭვაძე** (74), **ალექსანდრე ამინაშვილი, ლევან გოგრჭიანი** (84), **თედო ებანოიძე, მამუკა კორძაია** (96), **გიორგი ასლანიშვილი, ომარ გუსოშვილი** (120). ტრავმამ ამ გუნდს წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, ახალგაზრდებში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი, უფროსებში ქვეყნის პრიზიორი **ბექა ლომთაძე** (60) გამოაკლო, მძიმე წონაში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი **ვალერი გზირიშვილი** კი სხირელმა თავისი ნებით ჩაანაცვლა გუსოშვილით - მწვრთნელი გზირიშვილის ჭიდაობით უკმაყოფილო დარჩა ამას წინათ ონში გამართულ **დავით გობეჯიშვილის** სახელობის ტურნირზე.

ირაკლი თავაძე

● თავისუფალი ჭიდაობა. ბერუაშვილის ტურნირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯილდოებს ანზორ მარტყოფლიშვილი

ფავორიტებს არ შეუშინდნენ

წარსულში ცნობილი გორელი ფალავანის **დურმიშხან ბერუაშვილის** ხსოვნის ტურნირს ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის თითქმის ოცდაათწლიანი ტრადიცია აქვს. ადრე თუ ამ შეჯიბრებაზე მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ, ბოლო წლებია სომხეთისა და აზერბაიჯანის ძიუდოს კლუბებიც მონაწილეობენ. ბერუაშვილის წლევანდელ მემორიალზე მონაწილეთათვის ცნობილი იყო, რომ ტურნირის შედეგები გათვალისწინებული იქნებოდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობის დაკომპლექტებისას. ამიტომაც იყო, რომ ყველა გუნდი საუკეთესო შემადგენლობით გავიდა გორის ტატამზე. მიუხედავად მონანილეთა არცთუ მცირე რაოდენობისა (200-მდე ფალავანი) 90 კგ-ში მხოლოდ სამი სპორტსმენი მოგროვდა...

თითქმის ყველა წონაში უშეღავათო პაექრობები გაიმართა და აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჭაბუკთა წლევანდელ პირველობაზე გამარჯვებულთაგან გორში ოთხმა იჭიდავა და მათგან სამი ამჯერად უკვე ვეღარ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა მძიმე წონაშიც, სადაც საქართველოს მოქმედ ჩემპიონს **გიორგი ლაზუაშვილს** (ზესტაფონი) ბრინჯაოს პრიზიორმა **გიგა გელაშვილმა** (გორი) ავჯობა და ჩემპიონობასთან ერთად მთავარი პრიზი, დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის თასიც დაიმსახურა.

შეჯიბრებას ესწრებოდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილი,** აქვე იყვნენ ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **თემურ გიორგაძე** და ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი,** წარსულში ცნობილი ფალავნები და მწვრთნელები - **გურამ პაპიტაშვილი, გია თენაძე, ჯემალ მჭედლიშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ალექსი დავითაშვილი.** ტურნირს გორის ჭიდაობის კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი **ანზორ თენაძე**) უხელმძღვანელა.

კვარცხლბეკი

50 კგ. 1. მიხეილ კირკიტაძე (თბილისი), 2. თამაზ ნოზაძე (ხაშური), 3. გიორგი კაციაშვილი (კასპი) და ზვიად ხუბულური (გორი);

55 კგ. 1. ბაჩანა ბოლქვაძე (ბათუმი), 2. ვანო მამისაშვილი (საგარეჯო), 3. გივი აფაქიძე (თბილისი) და ბექა შავდათუაშვილი (გორი);

60 კგ. 1. ჯუმბერ ჩიხიაშვილი, 2. ლაშა პარასკევაშვილი, 3. შოთა გელაძე (სამივე - თბილისი) და ცოტნე ნიკლაური (დედოფლის წყარო);

66 კგ. 1. აპოლონ ზურაბიანი (თბილისი), 2. გიორგი მუზაშვილი (გორი), 3. დათო ჭიკაიძე და ვანო ჩურჩხელაშვილი (ორივე - ახმეტა);

73 კგ. 1. ავთო დურგლიშვილი (თბილისი), 2. ლერი დადვანი (ბოლნისი), 3. გიორგი ქალდანი (მარნეული) და ლევან ტერმაკოზაშვილი (გორი);

81 კგ. 1. ლაშა ქარისტესიაშვილი (სამაჩაბლო), 2. ნიკა აბულაძე (დუშეთი), 3. ადამ ვარაზაშვილი და ზაალ გაგნიძე (ორივე - თბილისი);

90 კგ. 1. გურამ თუშიშვილი (თბილისი), 2. ბაქარ მაზიაშვილი (გორი), 3. ჯაბა კაპანაძე (ქუთაისი);

+ 90 კგ. 1. გიგა გელაშვილი (გორი), 2. გიორგი ლაზუაშვილი (ზესტაფონი), ზაზა ხუბულური (თბილისი) და დათო გუდნდიშვილი (გორი);

„ტურნირმა გაამართლა, არაერთი დაძაბული შეხვედრა ვნახეთ. ცხადია, შედეგები გარკვეულ კორექტივებს შეიტანს ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის წინ, ყველა მოსამზადებელი ეტაპის გავლის მერე დადგინდება " - გვითხრა ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა გიორგი ვაზაგაშვილმა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატზე (6-19 მაისი) დასასწრები აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ 1 მაისამდე წერილობით მიმართოთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრესსამსახურს (კოსტავას №37 ა) ან გვაცნობოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (sophonikola@hotmail.com)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

მილოცვა

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 90 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოში სამბოსა და ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, ქართული ჭიდაობის დიდ მოამაგეს, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელს სამბოში, სსრკ ორგზის ჩემპიონს, საქართველოსა და სსრკ-ს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენოსან **ქრისტეფორე ნინიაშვილს.**

ჩოგბურთი

საერთაშორისო ფედერაციის პროგრამა უმაღლეს სკოლასაც ეხმაურება

საქართველოს განათლების სამინისტროს და ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ჩოგბურთი თბილისის 10 საჯარო სკოლაში სასწავლო საგნად შევიდა და ფედერაციამ მოზარდებს სპორტული ინვენტარი უფასოდ გადასცა, რომელსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტი, ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის განვითარების ფონდის წარმომადგენელი, მაკედონიელი **გორან შევჩენკოც** ესწრებოდა.

სტუმარმა ამ დღეებში რამდენიმე სემინარი ჩაატარა, მათ შორის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტზე. მეცადინეობას პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტ **ლეილა მესხთან** ერთად.

გორან შევჩენკომ დამსწრეთ აუწყა, რომ 2012 წლიდან მსოფლიოში ბავშვებისთვის ჩოგბურთის ახალი ფორმატი დაინერგება - მეტი გასაქანი მიეცემა წითელ (11X5 მ), ნარინჯისფერ (18X9) და ჩვეულებრივ კორტებს. ჩოგბურთის განვითარების საერთაშორისო პროგრამის მიზანია, საგაისოდ საქართველოში სპორტის ეს სახეობა მზად შეხვდეს გარდაქმნებს. საგულისხმოა ისიც, რომ მოზარდები ახალ კორტებზე რბილი ბურთებით ითამაშებენ, რაც მათთვის უფრო საინტერესო და მოსახერხებელი იქნება.

მარცხნიდან: გორან შევჩენკო, დარეჯან ქობელაშვილი და ლეილა მესხი

- საქართველოში პირველად ვარ და აქაურობით ძალიან მოვიხიბლე, - მითხრა მაკედონიელმა სტუმარმა, - მესიამოვნა ის დიდი ყურადღებაც, რომელიც თქვენთან ჩოგბურთს ექცევა. ახლოს ვიცნობ ახალგაზრდა ქართველ მოთამაშეებს - ეკა გორგოძეს, რევაზ ოსაძეს, გიორგი ციკვაძეს, სანდრო მეტრეველს, ნიკა დოლიძეს, რომლებსაც ევროპის ნაკრებში ვავარჯიშებდი. ამჯერად თბილისში 10-12 წლის ბავშვები ვამეცადინე. შემოდგომით 11-12 წლის მოზარდებს გავაცნობ ჩოგბურთის საიდუმლოებებს ნიკა კიკნაველიძესთან და ვლადიმერ კორძაიასთან ერთად. ზაფხულში ქართველ მწვრთნელებთან ამავე პროგრამით ჩემი კოლეგა პროფესორი პიოტრ რუნიევსკი იმუშავებს.

საერთაშორისო ფედერაციის სასკოლო-საჩოგბურთო პროგრამის მეშვეობით ბავშვები უფასოდ ისწავლიან ჩოგბურთის თამაშს, რაც მთავარია, სპორტით დაკავდებიან. ეს კი პირდაპირ პასუხობს ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივას ჯანსაღი თაობის აღზრდის შესახებ. პროგრამის ეფექტურად დასანერგავად შრომატევადი სამუშაო გასწია საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ, კერძოდ, მისმა ხელმძღვანელებმა - ლეილა მესხმა და ზურაბ ქაცარავამ. დიდად დაგვეხმარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ასევე მნიშვნელოვანია სპორტის სამინისტროს თანადგომა.

- საერთაშორისო ფედერაციის პროგრამა დიდი ხანია მოქმედებს ევროპაში. ალბათ, უკვე შედეგებზეც შეიძლება საუბარი...

- რა თქმა უნდა. უპირველეს მაგალითად ბელგიას დავასახელებ. კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ანენი ამ სისტემის წყალობით დაწინაურდნენ. ასევე, წარმატებას აღწევენ საფრანგეთის, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ჩემს სამშობლოში *სკოლისა და ჩოგბურთის ფედერაციის ურთიერთობას 1999 წელს ჩაეყარა საფუძველი. თავიდან უამრავ წინააღმდეგობას წავაწყდით. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელი ბულგარეთის მაგალითს გაეცნო, საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. ბოლო ათი წლის განმავლობაში შედეგებიც თვალსაჩინოა. თქვენთან საერთაშორისო ფედერაციის პროგრამა უფრო ეფექტურად იმუშავებს, რადგან საქართველოს სკოლებში ჩოგბურთის დანერგვას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქტიურად უჭერენ მხარს განათლებისა და სპორტის სამინისტროები. არანაკლებ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას ცდილობენ ფედერაცია და სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტი. ეს ქართულ ჩოგბურთს დიდ სიკეთეს მოუტანს.*

ლეილა მესხი: *„ჩვენი პროგრამა დანყებით კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილების ნაცვლად ჩოგბურთის სწავლებას ითვალისწინებს. ამჯერად თბილისის 10 სკოლის მხოლოდ პირველმეორეკლასელებს გავწვდით, თუმცა აქ გაჩერებას არ ვაპირებთ. ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, გვინდა ჩოგბურთი შევიტანოთ თბილისის სხვა სკოლებში, ასევე რეგიონებშიც, სადაც საამისო ბაზა არსებობს. წარმატების მისაღწევად ფასდაუდებელია განათლებისა და სპორტის სამინისტროების მხარდაჭერა და თანადგომა. დიდი სამსახური გაგვინია ცნობილი ექსპერტის გორან შევჩენკოს ჩამოსვლამაც. მაკედონიელმა სტუმარმა თავისი მდიდარი გამოცდილება გაგვიზიარა. სკოლებში გამართულმა შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ ჩოგბურთის თამაში უამრავ მოზარდს სურს. ცხადია, ყველა დიდი სპორტსმენი ვერ გახდება, მაგრამ ფედერაციასა და საჩოგბურთო სკოლებს არჩევანის საშუალება ექნებათ. რაც მთავარია, ახალგაზრდები ქუჩას მოსწყდებიან და ჯანმრთელობას გაიკაჟებენ.*

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისთვის სამომავლო სა ზრუნავს წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებლებთან ახლო ურთიერთობა. ამ მიმართულებით უკვე გვაქვს სიახლეებიც. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტთან დღევანდელი შეხვედრაც ამის დასტურია“.

დარეჯან ქობელაშვილი, *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის დეკანი: „ჩვენი მიზანია, სპორტის ეროვნულ ფედერაციებთან მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ. სათანამშრომლოდ ერთ-ერთი პირველი ჩოგბურთის ფედერაციამ გამოგვიწოდა ხელი. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის მაკედონიელი ექსპერტის ლექციას და ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი ურთიერთობისთვის. ფედერაციამ საჩოგბურთო პროგრამის განხორციელება სკოლებში უკვე დაიწყო. ვიმედოვნებთ, რომ მსგავს ნაბიჯებს უმაღლეს სასწავლებლებშიც გადადგამს. ჩვენც მწვრთნელთა მომზადება-გადამზადების მიმართულებით საერთაშორისო ფედერაციის გამოცდილებას აუცილებლად გავითვალისწინებთ.“*

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

ანა ტატიშვილი

ტატიშვილი ასეულს ალაბამაში შეუტევს

გუშინ WTA-ს და ATP-ის განახლებული რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. ქართველთათვის ცვლილებები არ არის მნიშვნელოვანი, ამიტომ მხოლოდ სიით შემოვიფარგლებით. ვიტყვით, რომ **მაკა ჩახნაშვილს** დაერიცხა პომეციას ტურნირის მოგებისთვის 12 ქულა, მაგრამ ეს შეჯიბრება დაბალი კატეგორიისა იყო, ამიტომ ყველაზე გამოცდილი ქართველი ჩოგბურთელი წინ მხოლოდ 6 ადგილით წავიდა. ქალები: 109 (-) **ანა ტატიშვილი** - 634 ქულა; 189 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310; 229 (+6) მაკა ჩახნაშვილი - 241; 288 (-1) **სოფიო შაფათავა** - 182; 305 (-4) **თათია მიქაძე** - 162; 425 (-9) **სოფიო ქვაცაბაია** - 89; 503 (-6) **ეკა გორგოძე** - 64; 628 (-4) **მანანა შაფაქიძე** - 40. ვაჟები: 670 (+8) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 25 ქულა; 825 (+8) **ლადო ჩიხლაძე** - 13. ახალგაზრდულ რეიტინგში ისტრის ტურნირის (საფრანგეთი) ნახევარფინალში გასვლისთვის **ალექსანდრე მეტრეველი** 88-ე ჩოგნობამდე ამაღლდა.

ანა ტატიშვილი ალაბამას შტატის ქალაქ დოტჰენშია, სადაც 50-ათასიან ტურნირში თამაშობს. იქ ჩვენებური, წესით, მე-2 ნომრად იქნება განთესილი. მოგების შემთხვევაში ჩვენი თანამემამულე 70 სარეიტინგო ქულას მიიღებს. მაკა ჩახნაშვილი იტალიურ ჩივიტავეკიაშია (25 ათასი დოლარი), სადაც პირველ წრეში უკრაინელ **ვალენტინა ივახნენკოს** (365) ეთამაშება. ბელგიურ ტესენდელოროში (25 ათასი დოლარი) ითამაშებს სოფიო შაფათავა, მისი მეტოქე სლოვენიელი **ტადეა მაერიჩია** (271). უზბეკურ კარშიში (10 ათასი დოლარი) მე-3 ნომრად არის განთესილი სოფიო ქვაცაბაია. მან პირველი წრე უკვე წარმატებით გაიარა, ყაზახ **დარია ბერეჟნაიას** (1155) მოუგო - 6:3, 6:1.

ნიკოლოზ ნეფარიძე

დებიუტანტი

ლაშა ქრისტესიაშვილი (ძიუდო)

დაიბადა 1995 წლის 6 აპრილს გორის რაიონის სოფელ ერედვში **ვარჯიში დაიწყო** 2005 წელს სოფელ ერედვში, მწვრთნელ **როინ ცოტნიაშვილთან** ამჟამად ვარჯიშობს თბილისში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში, მწვრთნელ **გიორგი რევაზიშვილთან.**

მიღწევები: ძიუდოში შიდა ქართლის ორგზის (2009, 2010) გამარჯვებული; დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტურნირი (გორი, 2011 წ) - I ადგილი; ანზორ მარგველანის სახელობის ტურნირის (ბოლნისი, 2011 წ) - I ადგილი; „თბილისობისადმი“ მიღვნილი ტურნირის (2010 წ) გამარჯვებული; საქართველოს ჭაბუკთა პირველობის (2011 წ) მესამე პრიზიორი. ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჭაბუკთა პირველობის (2011 წ) მესამე პრიზიორი.

მიზანი: ოლიმპიური მედლის მოპოვება, ყველა გამარჯვებას უძღვნის გარდაცვლილი მამის ხსოვნას.

ჰობი: ნადირობა

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

სამბო. ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში

მოჭიდავე ქალთა მორიგი ტიტული

პრაღაში დასრულებულ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს 7 ქართველი ჭიდაობდა. აქედან 6 ბიჭი იყო და 1 გოგო. საბედნიეროდ, შვიდივემ მედალი მოიპოვა, თუმცა მათგან სნორედ იმ ერთადერთი გოგოს მიღწევას გამოვარჩევთ - **შორენა შარაძე** 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს წარმატება იმიტომ გამოვარჩიეთ, რომ ბიჭებისგან წარმატებები არ გვიკვირს, ქალთა ჭიდაობა კი საქართველოში ახლა იდგამს ფეხს. შეგახსენებთ, რომ შარშან ახალგაზრდა სამბისტთა შორის **ნინო ოძელაშვილმა** (70) მსოფლიოს პირველობა მოიგო, ახლა კი ევროპის ჩემპიონიც გვყავს. ამდენად, ოძელაშვილის შემდეგ ქართულ საჭიდაო სახეობებში ახალი ფურცელი შარაძემაც ჩაწერა. იმედია, ეს გოგოები მედლებს ძიუდოშიც მოიპოვებენ, სადაც ეროვნულ ნაკრებში ირიცხებიან.

კვირას ჩვენი გუნდის საერთო მონაგარი 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო გახდა. იმ 2 ოქროდან 1 შარაძის ანგარიშზეა, მეორე კი ახალგაზრდა ბიჭების ტურნირში მოასპარეზე **მიხეილ ნარიმანიძემ** (100) მოიპოვა. ამავე ასაკში **ბადრი ჯანიაშვილის** შეგირდებს კიდევ ორი ოქროს მოხვეჭა შეეძლოთ, მაგრამ **ვახტანგ ჩიდრაშვილიც** (57) და **გიორგი პაპუნაშვილიც** (74) ფინალებში დამარცხდნენ. ბრინჯაოები მთლიანად ჭაბუკთა ნაკრების მონაგარია - პრიზიორები **თორნიკე მუზაშვილი** (56), **მიხეილ მეზურნიშვილი** (70) და **ალექსანდრე მილდიანი** (87) გახდნენ.

ამდენად, ჩემპიონატზე ჩვენი გუნდების საერთო გამოსვლა ასეთია: ახალგაზრდების ნაკრებმა 9 მედალი მოიპოვა, რაც ხარისხის მიხედვით თანაბრად გაანაწილა - სამივე სინჯის 3-3 ჯილდო ირგუნა. ნარიმანიძის გარდა, ჩემპიონები **ლევან ბერბერაშვილი** (48) და **ზვიად კაპანაძე** (68) გახდნენ. ჩიდრაშვილისა და პაპუნაშვილის მსგავსად ვიცე-ჩემპიონობა **გივი ნადარეიშვილმაც** (52) მოიპოვა, ბრინჯაოები კი **ლაშა ზურაბიანს** (82), **გიორგი ნოზაძეს** (90) და **სლავა რეზესიძეს** (+100) ერგოთ. ამ ნაკრებიდან უმედლოდ მხოლოდ ერთი დარჩა - **ივანე გოგიაშვილი** (62), რომელიც მეშვიდეზე გავიდა.

ჭაბუკთა მონაგარი უფრო მნირია - 1 ოქრო და 4 ბრინჯაო. ამ ასაკში ევროპის ჩემპიონი **ბექა ტუღუში** (65) გახდა, მესამე ადგილებზე კი **ვარლამ შალიკაშვილი** (52) და ის სამეული გავიდა, ზევით რომ მოგახსენეთ.

შარაძის წონაში მხოლოდ ხუთი მონაწილე ჭიდაობდა, ჩვენებურმა კი ქვეჯგუფში სლოვენიელ **პოლინა ლამპეს** და ლიტველ **ინესა ვალინჩუტეს** მოუგო, ხოლო ფინალში რუსი **ვიქტორია ბარულინა** დაამარცხა. ექვსი მონაწილე იყო ნარიმანიძესთანაც, ჩვენებურმა კი ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე მოლდოველ **დენის ტაკის**, ბულგარელ **მიროსლავ დებრელიევს** და რუს **ილია ლუკაშუკს** აჯობა. პაპუნაშვილმა სლოვენიელ **ნერმან დედიჩს**, ლიტველ **ანტონ ბარლიტს** და ბელარუს **ტსიმაფეი ემელიანაუს** მოუგო, ფინალში კი რუს **გეორგი ლებედევთან** დამარცხდა. 57-ზიც ექვსი მონაწილე გამოდიოდა, ჩიდრაშვილმა კი რუს **დანიელ პონომარენკოსა** და ბულგარელ **ცვეტან ლაზაროვთან** გამარჯვებების შემდეგ ფინალი ბელარუს **ალექსანდრ ლიასოსთან** დათმო.

ჭაბუკებიდან მილდიანი მომავალ ჩემპიონთან, რუს **რუსტამ შხალახოვთან** დამარცხდა, მუზაშვილმა და მეზურნიშვილმა კი მომავალ ვიცე-ჩემპიონებთან წააგეს, შესაბამისად, სომეხ **ჰოვანეს ალექსანიანთან** და რუს **სულთან ალხაზუროვთან.**

ირაკლი თავაძე

ქრივი

რამაზ ფალიანი (მარჯვნივ) ვარჯიშზე

წლევანდელ მონაგარს ოთხი ბრინჯაო შეემატა

წლეულს 16-26 ივნისს ანკარა (თურქეთი) მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის - **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით. ბიჭებმა სეზონი ბაკურიანის სანვრთნელი შეკრებით დაიწყეს. შემდეგ ერთობლივი ვარჯიშები ჰქონდათ ბულგარელებთან, აზერბაიჯანელებთან და სომხებთან. სამივე ქვეყანაში საერთაშორისო შეჯიბრებებშიც იასპარეზეს. 14-17 აპრილს ერევანში სომხეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გაგიკ ცარუკიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. 16 ქვეყნის წარმომადგენელებთან პაექრობაში ახალქალაქელმა **ალექსანდრე ჩეჩელიანმა** (49 კგ.), ფოთელმა **იაგო კიზირიამ** (81), ქუთაისელმა **ირაკლი გვენეტაძემ** (91) და ახალციხელმა **ვენეტიკ კაზარიანმა** (91) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

- მიზნისკენ დასახული გეგმის მიხედვით მივდივართ, - მითხრა რამაზ ფალიანმა. - ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების გარდა, სამ საერთაშორისო ტურნირში გამოვცადეთ ჩვენი რეზერვი. პლოვდივში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ლევან გულედანმა (91). ბაქოში ყველა გაგვაკვირვა ნიკა იზორიამ (56). ტრავმის გამო ის კარგა ხანს რინგზე არ გამოსულა. დაბრუნება აზერბაიჯანის დედაქალაქში მან ვერცხლის მედლით აღნიშნა. იქვე მესამე ადგილებზე გავიდნენ ჯაბა ხოსიტაშვილი (75) და მიხეილ ბახტიძე (მძიმე წონა), ერევანში კი ოთხი ბრინჯაო მოვიხვეჭეთ. როგორც ხედავთ, ჯილდოების რაოდენობას ტურნირიდან ტურნირამდე ვზრდით. ახლა მთავარია, ხარისხობრივ მაჩვენებელზეც ვიზრუნოთ. შეჯიბრებებზე ხშირი გამოსვლით ბიჭები გამოცდილებას იძენენ და ოსტატობას ხვეწენ. ევროპის ჩემპიონატამდე კიდევ ერთი ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გვაქვს დაგეგმილი ყაზახეთის ნაკრებთან. ალმატიში 28 აპრილს გავემგზავრებით. 9 მაისიდან კი იქვე საერთაშორისო ტურნირში ჩავებმებით. ნაკრების კანდიდატებიდან, ჟვანიას გარდა, ყველა ყოჩაღად არის. აი, კახას კი ისევ აწუხებს ხელის ტრავმა და იგი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. რაც შეეხება ნაკრების საბოლოო შემადგენლობას, მას მაისის ბოლო-ივნისის დასაწყისში დავასახელებთ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

ჰიმნი ერთიანი ქართული სპორტისთვის

ევრობასკეტის საგზური კონკურსში გამარჯვებულს

თბილისის მერის, **გიგი უგულავას** ინიციატივით გამოცხადდა კონკურსი ქართული სპორტის ერთიანი ჰიმნის შესაქმნელად. უფრო კონკრეტულად: კონკურსის მიზანია გამოვლინდეს საუკეთესო ჰიმნი, რომელიც თითოეული ქართველი გულშემატკივრისთვის იოლად დასამახსოვრებელი იქნება და სპორტის ნებისმიერ სახეობაში გამოიყენება. რადგან უახლოესი მასშტაბური ღონისძიება ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატია (31 აგვისტო-18 სექტემბერი), ახლადშექმნილ ჰიმნი ჯერ ლიტვაში საქართველოს ნაკრების მატჩებისას აჟღერდება. ასევე გათვლილია, რომ ამ ჰიმნმა თბილისში გასამართ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე სპორტის ყველა სახეობის გულშემატკივარი გააერთიანოს.

კონკურსი გუშინ სპორტის სამინისტროში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა და ერთ თვეს გასტანს. სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** აღნიშნა:

- ეს ჰიმნი ქართველ გულშემატკივარს დაეხმარება უფრო ორგანიზებულად უქომაგოს ჩვენს ნაკრებებს. კონკურსში გამარჯვებული ლიტვაში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

თბილისის მერმა, გიგი უგულავამ თურქეთის მაგალითი მოიყვანა:

- შარშან თურქეთში გამართულ მსოფლიო საკალათბურთო ჩემპიონატის ერთ მატჩს დავესწარი, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. დარბაზში საოცარი ატმოსფერო სუფევდა, თურქების გულშემატკივრობის თეთრი შურით შემშურდა. ეს გუნდსაც დიდ სტიმულს აძლევს. ვიმედოვნებ, ჩვენს მიერ გამოცხადებული კონკურსის ვშედეგად ფასეულ ჰიმნს მივიღებთ, რასაც გულშემატკივრები პირველივე მასშტაბურ ღონისძიებაზე, ევროპის ჩემპიონატზე გამოიყენებენ.

თბილისის მერს ვერის ბაღის საკალათბურთო არენაზეც ჰკითხეს. მან დაგვაიმედა:

- ეს დარბაზი ერთ-ერთია მათგან, სადაც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით შეჯიბრებები გაიმართება. სარემონტო სამუშაოები მალე დაიწყება და მაღალი დონის არენას მივიღებთ.

ვერის ბაღის დარბაზის მწყობრში ჩადგომა და კალათბურთისთვის დაბრუნება, ფედერაციას უმაღლესი ლიგისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჩემპიონატების მონესრიგებულ დარბაზში გამართვის საშუალებას მისცემს.

- ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვერის ბაღის არენის მწყობრში ჩაგდომა საშუალებას მოგვცემს ფიბა-ევროპაში ახალგაზრდულ ასაკში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მასპინძლობის განაცხადი შევიტანოთ. ვფიქრობ, ამ ღონისძიებას 2012 წელს ვუმასპინძლებთ, - გვითხრა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა.**

გასახარი ამბები იტალიიდან

მანუს 11, სანიკიძის 11, მეტრეველის გადამწყვეტი

იტალიის ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობს **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ", რომელსაც 26 ტურის შემდეგ 20 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. მას მხოლოდ ორი გამარჯვებით უსწრებს ლიდერი „მონტეპასკი". თავის მხრივ, კანტუელები „მილანზე" 2 მოგებით წინ არიან, რომელსაც მომდევნო ტურში 23 აპრილს ესტუმრებიან.

ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსს" 13-13 მოგება-წაგება აქვს და კიდევ ორ გუნდთან მეხუთე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებს.

■ ■ ■

26-ე ტურში „კანტუმ" „ბიელა" 82:77 დაამარცხა. სამი პერიოდის შემდეგ წინ სტუმრები იყვნენ, მაგრამ მარკოიშვილის თანაგუნდელებმა მეოთხე რაუნდში 25:17 მოიგეს და გამარჯვება კანტუში დატოვეს.

მანუჩარმა 15 წუთში 7 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 2-2 მოხსნა-ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა. ორმაგი დუბლი შეასრულა „კანტუს" ავსტრიელმა მეფარემ **ბენჟამინ ორტნერმა** - 22 ქულა, 10 მოხსნა.

ასევე დუბლით გამოირჩა „ბიელას" სლოვენიელი ფორვარდი **გორან იურაკი** - 13 ქულა, 10 მოხსნა.

■ ■ ■

სანიკიძეს კი, დაბლ-დაბლამდე ორი მოხსნა დააკლდა. მან კრემონაში 5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 11 ქულას 8 მოხსნა წაუმატა. საინტერესოა, რომ ვიქტორმა 11-დან 6 ქულა ბოლო მეოთხედში მიითვალა.

ოთხმატჩიანი წაგებათა სერიის შემდეგ ბევრისთვის მოულოდნელი იყო „ვირტუსის" „კრემონასთან" სტუმრად გამარჯვება, თუმცა სასიამოვნო ფაქტს ვერსად გავექცევით - ბოლონიელებმა 95 ქულა ჩააგდეს, მასპინძლები კი 88-ს დააჯერეს.

„კრემონაში" ჩვენი ნაკრების სამმა პოტენციურმა მეტოქემ ითამაშა: **ერლ როულანდმა** (ბულგარეთის ნაკრებში გამოდიოდა) 21 ქულა ჩააგდო, უკრაინელმა **არტურ დროზდოვმა** - 14, ხოლო სლოვენიელმა **მარკო მილიჩმა** - 20.

■ ■ ■

იტალიის მეორე ლიგაში სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა **ნიკა მეტრეველმა.** „რიმინიმ" სტუმრად „რეჯო ემილიასთან" სწორედ ქართველი ფორვარდის გადამწყვეტი ტყორცნის წყალობით მოიგო - 70:69.

მეტრეველმა სულ 8 წუთი ითამაშა და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს: 6 ქულა და თითო მოხსნა-დაფარება ჩაიწერა. მან 2-2 ორქულიანი და საჯარიმო უშეცდომოდ ისროლა.

ამ მოგებით „რიმინიმ" სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე აინაცვლა (17 მოგება, 11 მარცხი). რიმინელები 21 აპრილს „სან სევეროს" უმასპინძლებენ.

გრინი დაშავდა

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში „გრან კანარიამ" „ლაგუნ აროს" უმასპინძლა. ეს მატჩი ორი კვირის წინათ რომ გამართულიყო ერთმანეთის პირისპირ **ნიკა ცქიტიშვილი** და **ტორინ გრინი** წარდგებოდნენ, მაგრამ ამჯერად შეხვედრამ საქართველოს ნაკრების კალათბურთელების გარეშე ჩაიარა. ნიკამ „ლაგუნ აროსთან" კონტრაქტი გაწყვიტა, ხოლო გრინმა ფეხის ცერი მოიტეხა და ექიმების თქმით, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

არადა, „გრან კანარიამ" 79:74 გაიმარჯვა და საპლეიოფო რვაეულში შევიდა.

- სამწუხაროა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გამოგვაკლდა. თუ პლეიოფში გავედით გრინი ვერც იქ დაგვეხმარება, მაგრამ ვერაფერს შევცვლით - ტრავმა სპორტის შემადგენელი ნაწილია, - განაცხადა კანარელთა თავკაცმა **პედრო მარტინესმა.**

ექიმები გადაჭრით ჯერ ვერ ამბობენ რა დრო დასჭირდება ტრავმის მკურნალობას, მაგრამ ერთი არასასიამოვნო მაგალითით ზოგადი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია: დეკემბერში **მანუჩარ მარკოიშვილმაც** ფეხის ცერი მოიტეხა და 6 კვირა გაუცდა.

წესითა და რიგით, საქართველოს ნაკრების შეკრებამდე გრინმა ცერი უნდა მოირჩინოს. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა მისი სხვა ნატურალიზებულით შეცვლის საკითხი დადგეს დღის წესრიგში. თუმცა, ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეროვნულის მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** ლიტვაში შესაძლოა ტორინ გრინთან ერთად **ტაირონ ელისიც** იახლოს. ევრობასკეტზე თითო გუნდს 14 კალათბურთელის წაყვანის უფლება აქვს, კონკრეტული მატჩისთვის კი მწვრთნელმა 12 კაცი უნდა შეარჩიოს.

■ ■ ■

„გრანადასთან" წაგებით (65:94) სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესა **ქუინტონ ჰოსლის** „ხუვენტუდმა".

საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა 26 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

სუპერლიგის ოლ სტარის გამოკითხვა

ვინ მოხვდება ვარსკვლავეთში?

29 აპრილს, ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართება ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მიმდინარე ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშეები.

უშუალოდ „ოლ სტართან" ერთად ჩატარდება კონკურსები სამქულიან სროლებსა და ჩატენვებში. სნაიპერთა კონკურსში მონაწილეობას ის მოთამაშეები მიიღებენ, რომლებიც მიმდინარე სუპერლიგის გათამაშებაში სამქულიანებს ყველაზე კარგად ესვრიან. რაც შეეხება ჩატენვებს, აქ მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

ვარსკვლავთა მატჩის ხუთეულების შესარჩევად ჩატარდება გამოკითხვა. 17-დან 27 აპრილამდე. სუპერლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ნებისმიერ მსურველს შეეძლება მისთვის სასურველი კანდიდატებისთვის ხმის მიცემა. ერთ მხარეს თავს მოიყრიან ის მოთამაშეები, რომელთა გუნდებიც სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში I, IV, V, VII და X ადგილებს დაიკავებენ. ხოლო მეორე მხარეს მოთამაშეები II, III, VI, VII, IX და XI ადგილზე გასული გუნდებიდან. გამოკითხვაში მონაწილე გულშემატკივარი ორივე მხრიდან ხუთ-ხუთ მოთამაშეს ირჩევს და ხმას აძლევს ხუთეულების საკუთარ ვერსიას.

„ოლ სტარის" მონაწილეთა შესარჩევად ესტუმრეთ სუპერლიგის ვებ-გვერდს: http://superleague.ge/allstar/vote

ვინაიდან, თითოეული გუნდის განაცხადში 12 მოთამაშეა, დარჩენილ 7-7 კალათბურთელს მწვრთნელები საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩევენ. „ოლ სტარის" მონაწილე გუნდებს რეგულარული ჩემპიონატის მომგები და მეორე ადგილზე გასულ კლუბთა მწვრთნელები უთავკაცებენ: **ლევან მოსეშვილი** (არმია) და **ნუგზარ ჭეიშვილი** (თსუ).

ლეგიონერი

გამყრელიძე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

გერმანიის ჩემპიონატში **ლაშა გამყრელიძის** „გისენი" მის ყოფილ კლუბ „მიტელდოიჩერს" დაუხვდა და ცხრა ქულის სხვაობით დაამარცხა - 80:71.

ლაშამ 8 წუთში 1 პასი შეასრულა, ერთი ორქულიანი ააცილა და ორი შეცდომა დაუშვა. „გისენის" გამარჯვება **პიკოკის** კისერზეა - 22 ქულა, 15 მოხსნა.

სადღეისოდ ლაშას გუნდი მეთხუთმეტე ადგილზეა (9 მოგება, 24 მარცხი) და თუ ეს პოზიცია შეინარჩუნა, ბუნდესლიგაშიც დარჩება. ლიგიდან მეთექვსმეტე-მეთვრამეტე ადგილზე გასული გუნდები ვარდებიან.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

აჟენი და ბრივი გავარდნას გადარჩნენ

ბურთით დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე ხელმოცარულთა ვინაობა გაირკვა. „ქართული გუნდები", „ბრივი" და „აჟენი", რომლებიც დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ, გავარდნას გადაურჩნენ. პლეი ოფში მოხვედრის შანსს კი ისევ ინარჩუნებს ჩვენებურთა ოთხი გუნდი „კასტრი", „კლერმონი", „მონპელიე" და „ტულონი".

ბექა შეყლაშვილის „აჟენმა" 24-ე ტურში სტუმრად ითამაშა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში, უშუალო კონკურენტ „ლა როშელთან" და 29:19 დაამარცხა. ამ გამარჯვებით აჟენელებმა ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს და **ვასილ კაკოვინისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივსაც" უშველეს.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულ პაექრობაში წარიმართა. მატჩის მიწურულს, როცა „აჟენი" 22:19 იგებდა, „ლა როშელმა" ხუთწუთიანი შტურმი მოაწყო. ჩვენებურის გუნდმა იერიში მოიგერია და მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა, ლელო ფუბეკმა **სილვერ ტიანმა** გაიტანა.

აჟენელებს ახლა 46 ქულა აქვთ და მე-11 ადგილზე არიან. მათთვის დარჩენილ ორ თამაშს სატურნირო მნიშვნელობა აღარ აქვს. შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო.

დავით ხინჩაგიშვილისა და ვასილ კაკოვინის „ბრივმა" სტუმრად წააგო ბასკურ „ბიარიცთან" 52:26. ბრიველებმა „აჟენისა" და „ლა როშელის" დაპირისპირების შედეგი უკვე იცოდნენ, ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თამაშს ოდნავ ზერელედ მოეკიდნენ. „ბიარიცი" კი პირიქით, პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის და ყველაფერი იღონა წარმატების მისაღწევად.

ბასკებმა მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს, რაზეც „ბრივმა" ოთხით უპასუხა. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, კაკოვინს მიკროტრავმა აქვს და არ უთამაშია.

სამწუხაროდ, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შვილიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" შინ მოულოდნელად დამარცხდა „ბაიონთან" - 17:22. მონპელიელებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ. ისინი ამ შემთხვევაში პლეი ოფისკენ მიმავალ გზას საგრძნობლად დაიმოკლებდნენ.

ჩვენებურთა გუნდმა ბასკების წინააღმდეგობა ვერაფრით დასძლია. მატჩის მიწურულს ხანგრძლივი იერიშიც მოაწყვეს, მაგრამ „ბაიონი" გაუვალი კედელივით იდგა. ამ მარცხის შემდეგ „მონპელიე" მესამედან მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. მომდევნო ტურში კი გასვლითი მატჩი აქვს „ბრივთან", რომელიც უკვე უმოტივაციოდაა.

გორგოძემ და ჟღენტმა სრულად ითამაშეს, ჩხაიძე, შველიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

საფრანგეთის ჩემპიონმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „სტად ფრანსესთან" - 20:12. „ვულკანებს" ამ მატჩისთვის რამდენიმე ტრავმამოშუშებული წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდეც გუნდის წარმატება.

„კლერმონი" ამჟამად 67 ქულით მე-4 ადგილზეა და მომდევნო ტურში შინ მიიღებს დივიზიონიდან უკვე გავარდნილ „ლა როშელს". სავარაუდოდ, ჩემპიონებს მეტოქის ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ, რაც მათ პლეი ოფის საგზურს გაუნაღდებს.

ზირაქაშვილი ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველად გავიდა მინდორზე. ის სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო.

„ვულკანებს" ერთი ქულით უსწრებს და მესამე ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი „ბურგუენი" - 33:22. მომდევნო, ბოლოსწინა ტურში კასტრელები უშუალო კონკურენტ „ბიარიცს" უმასპინძლებენ.

ფეიქრიშვილი და გიორგაძე განაცხადში არ იყვნენ.

დავით ქუბრიაშვილის „ტულონმა" შინ გათამაშების ლიდერი „ტულუზი" დაამარცხა 21:9 და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს. ტულონელებს, რომლებსაც 65 ქულა აქვთ და მე-7 ადგილზე არიან, ბოლოსწინა ტურში კიდევ ერთი ძნელი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. მათი მეტოქე ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი „პერპინიანი" იქნება.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

I დივიზიონი

XXIV ტური

ლა როშელი-აჟენი 19:29, სტად ფრანსე-კლერმონი 12:20, პერპინიანი-მეტრო რასინგი 23:16, ბიარიცი-ბრივი 52:26, ბურგუენი-კასტრი 22:33, ტულონი-ტულუზი 21:9, მონპელიე-ბაიონი 17:22

საბურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 73 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 69, 3. კასტრი - 68, 4. კლერმონი - 67, 5. ბიარიცი - 67, 6. მონპელიე - 66, 7. ტულონი - 65, 8. პერპინიანი - 63, 9. ბაიონი - 62, 10. სტად ფრანსე - 49, 11. აჟენი - 46, 12. ბრივი - 42, 13. ლა როშელი - 33, 14. ბურგუენი - 10.

XXV ტური

კასტრი-ბიარიცი, მეტრო რასინგი-აჟენი, ბაიონი-სტად ფრანსე, კლერმონი-ლა როშელი, ტულუზი-ბურგუენის, ტულონი-პერპინიანი, ბრივი-მონპელიე.

მეორე დივიზიონში 28-ე ტურის მატჩში მოულოდნელად წაიფორხილა გათამაშების ლიდერმა, **გურამ კავთიძის** „ლიონმა", რომელიც შინ დამარცხდა მინიმალური სხვაობით „ოიონაქსთან" - 18:19. მიუხედავად ამისა, ლიონელები 93 ქულით მაინც ინარჩუნებენ ლიდერობას და უახლოეს მდევარ **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლს" სამი ქულით უსწრებენ. კავთიძე განაცხადში არ იყო.

„ალპელებმა", თავის მხრივ, შინ მოუგეს „ორიაკს" - 13:10. მენაბდიშვილს არ უთამაშია. **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი" კი შინ დაუზავდა „კოლომიეს" - 20:20. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

II დივიზიონი

XXVIII ტური

ტარბი-კოლომიე 20:20, ბორდო-ნარბონი 41:17, დაქსი-მონ დე მარსანი 12:19, ალბი-ოში 21:22, გრენობლი-ორიაკი 13:10, ექსი-პო 26:19, სენტ ეტიენი-კარკასონი 7:23, ლიონი-ოიონაქსი 18:19

საბურნირო მდგომარეობა

1. ლიონი - 93 ქულა, 2. გრენობლი - 90, 3. ალბი - 83, 4. ბორდო - 78, 5. მონ დე მარსანი - 77, 6. ოში - 70, 7. პო - 69, 8. კარკასონი - 66, 9. ოიონაქსი - 65, 10. ორიაკი - 65, 11. ტარბი - 62, 12. ექსი - 61, 13. ნარბონი - 56, 14. დაქსი - 49, 15. კოლომიე - 49, 16. სენტ ეტიენი - 17.

XXIX ტური

ორიაკი-მონ დე მარსანი, ლიონი-პო, ბორდო-ტარბი, ალბი-კარკასონი, ოიონაქსი-ექსი, გრენობლი-დაქსი, ოში-სენტ ეტიენი, ნარბონი-კოლომიე

უტევს მამუკა გორგოძე

ზე რაგბი

რედსი-ბლუ ბულზი

სამივე ლიდერმა პოზიცია გაიმყარა

ზე რაგბის გათამაშების მე-9 ტური სამივე ჯგუფის ლიდერის გამარჯვებით აღინიშნა. ფავორიტმა ბრისბენის „რედსმა" შინ შარშანდელი ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი" მიიღო და საკამოდ დაძაბულ, საინტერესო ბრძოლაში 39:30 სძლია.

მასპინძლებმა, რომლებმაც პირველი ტაიმი გაჭირვებით მოიგეს - 17:13, მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს, აქედან ორი „წითლების" ფულბეკ **ლუკ მორანის** ანგარიშზეა. პრეტორიელებს ვერც ტრავმამოშუშებული მგეზავის, **მორნი სტეინის** დაბრუნებამ უშველა. „ლურჯმა ხარებმა" მეტოქის ექვს ლელოს მხოლოდ სამით უპასუხეს. აქედან სამი გარემარბმა **ბიორნ ბესონმა** მიითვალა.

B ჯგუფის ლიდერმა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერეზმა" სტუმრად დაამარცხა ჰემილთონის „ჩიფსი" - 16:34. „ჯვაროსნები" შესანიშნავ ფორმაში არიან და ტრავმირებული ლიდერის, მგეზავი **დენ კარტერის** არყოფნა ოდნავაც არ ეტყობათ. მასპინძლებმა მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მეტოქეს მატჩის პირველ ტაიმში გაუწიეს. „კრუსეიდერზმა" ტაიმი ოთხი ქულის სხვაობით მოიგო - 17:13.

შესვენების შემდეგ სტუმართა უპირატესობა ბევრად შთამბეჭდავი გახდა, იმდენად, რომ „ჩიფსმა" მონაგარს მხოლოდ სამი ქულა შესძინა. კრუსეიდერზელებმა მატჩში ოთხი ლელო გაიტანეს, ოთხივე კარტერის დუბლიორმა, **მეთ ბერკვისტმა** გარდასახა, მანვე ორი სჯარიმოც მიითვალა.

C ჯგუფის ლიდერმა კეიპთაუნის „სტორმერზმა" სტუმრად მოუგო იოჰანესბურგის „ლაიონზს" - 33:19. კეიპთაუნელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და 9 წუთში უკვე 13:0-ს იგებდნენ. მასპინძებმა ტაიმის შუანელისკენ თამაშის გათანაბრება შეძლეს, თუმცა ბოლოს მაინც სტუმრებმა იძალეს.

„სტორმერზმა" მეტოქეს სამი ლელო გაუტანა. სტუმართა რიგებში გამორჩეული იყო შეცვლაზე შესული მგეზავი **ლიონელ კრონიე**. მის ანგარიშზე სამი გარდასახვა და სამი საჯარიმოა (15 ქულა).

უაღრესად საინტერესო გამოდგა მატჩი ოქლენდში, სადაც B ჯგუფის მეორეადგილოსანი, ადგილობრივი „ბლუზი", A ჯგუფის მეორეადგილოსან სიდნეის „ვორათაზს" ეთამაშა და 31:17 მოუგო. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ხუთი ლელო გაიტანეს და ხუთივე პირველ ტაიმში. ოქლენდელებმა ტაიმი 31:17 მოიგეს.

შესვენების შემდეგ „ბლუზმა" თამაშის ტემპი დაადგო, ვორათაზელებმა კი - პირიქით, თუმცა მაქსიმუმ რაც მოახერხა, ანგარიშში სხვაობა 14-ქულამდე შეამცირა.

ყველაზე უხვლელოიანი გამოდგა შეხვედრა ბლუმფონტეინში, სადაც „ჩიტაზმა" ველინგთონის „ჰარიკენზს" უმასპინძლა და 47:50 წააგო. აღსნიშნავია, რომ ჩიტაზელთა ცხრა ნომერმა **სერელ პრეტორიუსმა** ჰეთ თრიკი შეასრულა, ორი ლელო კი **რაიან სმითმა** მიითვალა.

სტუმართა გუნდში კი ყველაზე შედეგიანი **დენიელ კირპატრიკი** იყო, რომელმაც ოთხ-ოთხი გარდასახვა და საჯარიმო გაიტანა (20 ქულა). სულ კი ჰარიკენზელთა ანგარიშზე ექვსი ლელოა, აქედან ორი გარემარბმა **ჰოსე გეარმა** მიითვალა. მატჩი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა, მით უფრო, რომ თამაში, შეიძლება ითქვას, ქულა-ქულაში მიდიოდა. შეხვედრის დასასრულამდე ერთი ნუთით ადრე მასპინძლები 47:43-ს იგებდნენ. „ჰარიკენზს" გამარჯვება მეორეხაზელის, **ჯერემი თრაშის** ლელომ მოუტანა.

IX ტური

A ჯგუფი

მელბურნ რებლზი-ჰაილენდერზი 18:40, რედსი-ბლუ ბულზი 39:30, ბრამბიზი-ფორსი 19:27

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 35 ქულა, 2. ვორათაზი - 27, 3. მელბურნ რებლზი - 19, 4. ბრამბიზი - 17, 5. ფორსი - 16.

X ტური

რედსი-ვორათაზი, ფორსი-ბლუ ბულზი

B ჯგუფი

ჩიფსი-კრუსეიდერზი 16:34, ბლუზი-ვორათაზი 31:17

საბურნირო მდგომარეობა

1. კრუსეიდერზი - 35 ქულა, 2. ბლუზი - 34, 3. ჰაილენდერზი - 30, 4. ჰარიკენზი - 18, 5. ჩიფსი - 16.

X ტური

ბლუზი-მელბურნ რებლზი, კრუსეიდერზი-ჰაილენდერზი

C ჯგუფი

ლაიონზი-სტორმერზი 19:33, ჩიტაზი-ჰარკენზი 47:50

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 33 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 29, 3. ბლუ ბულზი - 21, 4. ჩიტაზი - 11, 5. ლაიონზი - 9.

X ტური

ნატალ შარქსი-ჰარიკენზი, ლაიონზი-ჩიფსი

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov.ge

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფავორიტები აგებენ და...

წლევანდელ პლეი ოფში უცნაურობები გრძელდება. თუ პირველ დღეს აღმოსავლეთის ფავორიტები - „მაიამი“ და „ჩიკაგო“ დიდი გაჭირვებით გადაურჩნენ წაგებას, დასავლეთის პირველმა ორმა გუნდმა გუშინ თავი შეირცხვინა: „სან ანტონიომ“ და „ლეიკერსმა“ პირველივე მატჩში დაკარგეს საკუთარი მოედნის უპირატესობა.



კობის შედეგიანობა საკმარისი არ იყო

დასავლეთი

სან ანტონიო-მემფისი 98:101

22:27, 21:18, 31:25, 24:31

ს-ა: პარკერი (20+5 პასი+3 ჩაჭრა), დანკანი (16+13 მოხსნა), ჰილი (15+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯეფერსონი (13+6 მოხსნა), ბონერი (12), ნილი (10+5 პასი), ბლეირი (9+6 მოხსნა), მაკდაესი (3), გრინი.

მ: რენდოლფი (25+14 მოხსნა), მ. გასოლი (24+9 მოხსნა), კონლი (15+10 პასი), მაიო (13), ბატიე (10), ალენი (7), არტური (5), იანგი (2), სმიტი, ჰადადი.

სერია: 0-1

„მემფისი“ არ შეუშინდა დასავლეთის ჩემპიონს და თავიდანვე მოახვია საკუთარი თამაში მეტოქეს. შეიძლება ეს ბევრმა „თავხედობად“ მიიჩნია, მაგრამ ერთადერთი გზა იყო წარმატებისკენ.

ამ მატჩში გადამწყვეტი როლი ითამაშა „მემფისის“ „მაღლების“ კარგმა თამაშმა და თამაშიდან ტყორცნების გამოყენების მაღალმა პროცენტმა. პირველ ტაიმში სტუმრებმა წააგეს ფარქვეშ ბრძოლა (16:22), სამაგიეროდ მეორე ტაიმში მოხსნებში შეფარდება 24:10 იყო მათ სასარგებლოდ. იმავე მეორე ნახევარში „მემფისმა“ ტყორცნების 62 პროცენტი გამოიყენა და პრაქტიკულად ყველა სამქულიანი ჩააგდო.

„გრიზლისს“ ფსიქოლოგიური მომზადების მხრივაც არ ჰქონია პრობლემა. მესამე მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთითა და 50 წამით ადრე **გარი ნილის** სამქულიანით „სან ანტონიო“ 10 ქულით გავიდა წინ, მაგრამ სტუმრების რიგებში პანიკა არ დაწყებულა. „გრიზლისმა“ ფართან მისასვლელი გზები გადაკეტა და თავისუფლად ასროლინა მეტოქეს საშუალო და შორი მანძილებიდან. ამ მხრივ კი იმ დღეს „სპურსის“ სნაიპერები მოიკოჭლებდნენ. ასე რომ, ტაქტიკამ სრულად გაამართლა. საბოლოოდ, უკვე მეოთხე მეოთხედის მეოთხე წუთისთვის სტუმრებმა ანგარიში წაიყვანეს.

საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე „სპურსი“ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა - მანამდე ჩრდილში მყოფმა **მაიკ კონლიმ** ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი შვიდი ქულით დააწინაურა. **გრეგ პოპოვიჩმა** ტაიმ-აუტი აიღო და თავისი შეგირდები აგრესიული ტონით დაარიგა. ამას მოჰყვა „სპურსის“ 13:2 გაქცევა, რომელშიც ზედიზედ ორი სამქულიანით თავი გამოიჩინა **მეტ ბონერმა**.

ბოლო წუთი „სან ანტონიოს“ ოთხქულიანი უპირატესობით დაიწყო და თითქოს „მემფისს“ გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, მაგრამ **მარკ გასოლმა ტონი ალენის** პასის შემდეგ ფარქვეშიდან ჩააგდო, **შეინ ბატიემ** კი **ტონი პარკერის** უშედეგო შეტევის შემდეგ სამქულიანი მოათავსა კალათში და წინ გაიყვანა თავისი გუნდი.

„სპურსს“ თამაშის გადარჩენის ორი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერც **ჰილმა** და ვერც **ჯეფერსონმა** სამქულიანები ვერ ჩააგდეს, ბოლოს კი ალენმა საჯარიმოები გამოიყენა და ტენესურმა კლუბმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიგო პლეი ოფის მატჩი. მანამდე მას 12-დან 12 წაგება ჰქონდა.

„სან ანტონიოს“ სასწრაფოდ სჭირდება **მანუ ჯინობილი**, რომელიც ტრავმის გამო ტოვებდა მატჩს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მემფისი“ მხოლოდ ამ ერთი გამარჯვებით არ დაკმაყოფილდება.

ლეიკერსი-ნიუ ორლეანი 100:109

24:26, 23:29, 25:18, 28:36

ლ: ბრაიანტი (34+5 პასი), არტესტი (16+11 მოხსნა), ბინუმი (13+9 მოხსნა), ოდომი (10), პ. გასოლი (8+6 მოხსნა+6 პასი), ფიშერი (8+5 მოხსნა), ბრაუნი (8), ჯონსონი (3), რეტლიფი, სმიტი, ბარნსი.

ნ-ო: პოლი (33+7 მოხსნა+14 პასი+4 ჩაჭრა), ლენდრი (17+5 მოხსნა), ჯეკი (15+5 პასი), გრეი (12), ბელინელი (10), გრინი (8), არიზა (6+7 მოხსნა), ოკაფორი (4), მბენგა (2), სმიტი (2).

სერია: 0-1

თუ „სან ანტონიოს“ ასე თუ ისე ჰქონდა მატჩის გადარჩენის შანსი, მოქმედმა ჩემპიონმა ასეთი შესაძლებლობაც არ დაიტოვა. არადა, მეოთხე მეოთხედის შუაში **კობი ბრაიანტმა** 34 წამის ინტერვალით შვიდი ქულა აიღო და ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა - 95:97. ისე ჩანდა, რომ ცოტაც და „ლეიკერსი“ საბოლოოდ გატეხდა „ნიუ ორლეანის“ წინააღმდეგობას. მაგრამ პირიქით მოხდა - გააქტიურების ნაცვლად კალიფორნიელებს ჩაეძინათ...

საფინალო სირენამდე დარჩენილ დროში მასპინძლების დაცვა მასხრად აიგდო **კრის პოლმა**. საშუალო და შორი მანძილიდან უშეცდომო სროლით მან 396 წამში 17 ქულა დააგროვა - ზუსტად იმდენი, რამდენიც პირველ სამ მეოთხედში. ამას დაუმატეთ 14 შედეგიანი პასი, 7 მოხსნა და 4 ჩაჭრა! პოლის შემოტევას **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა ვერაფერი დაუპირისპირეს.

„ლეიკერსი“ არ იმსახურებდა გამარჯვებას. მისი თამაში მთლიანად კობი ბრაიანტზე იყო დამოკიდებული, დანარჩენები კი სტატისტიკის როლში მოგვევლინნენ. მასპინძლებს მეტოქეზე ათით მეტი შეცდომა და 18-ით ნაკლები მოხსნა დაუგროვდათ. და ეს იმ დროს, როცა „ლეიკერსის“ „მაღლებმა“ - **ბინუმმა, ოდომმა** და **გასოლმა** ჯამში მოედანზე 95 წუთი გაატარეს.

„ნიუ ორლეანმა“ 109 ქულიდან 63 პოლის მონაწილეობით მოიპოვა. თუ კრისმა ასე გააგრძელა, ჩემპიონებს ძალიან გაუჭირდებათ შემდეგ წრეში გასვლა. პოლის თამაში მატჩის შემდეგ „ლეიკერსის“ დამრიგებელმა ფილ ჯექსონმაც აღნიშნა: *„ქუდს ვიხდი „ჰორნეტსისა“ და პოლის წინაშე. მათ დაიმსახურეს ეს გამარჯვება“.*

რაც შეეხება ბრაიანტს, მან პლეი ოფის მატჩებში 79-ედ დააგროვა 30-ე მეტი ქულა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ **მაიკლ ჯორდანს** ჩამორჩება. გარდა ამისა, კობი პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში მესამე ადგილზე მყოფ **შაკილ ო'ნილს** (5248) მიუახლოვდა. ახლა მათ შორის სხვაობა 196 ქულაა. შორს არც პირველ და მეორე ადგილზე მყოფი ჯორდანი (5987) და **ქარიმ აბდულ-ჯაბარი** (5762) არიან.

მაგრამ თუ „ლეიკერსმა“ ასეთი უშინაარსო თამაში გააგრძელა, მის გულშემატკივარს მხოლოდ კობის რეკორდები არ დააკმაყოფილებს.

...გაჭირვებით იგებენ

გუშინ დარჩენილ ორ შეხვედრაში უფრო მაღალი განთესვის მქონე გუნდებმა მოიგეს, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. დიდი ხანია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პლეი ოფი ასე საინტერესოდ არ დაწყებულა.

ბოსტონი-ნიუ იორკი

აღმოსავლეთი

ბოსტონი-ნიუ იორკი 87:85

24:23, 15:28, 20:13, 28:21

ბ: რ. ალენი (24+6 მოხსნა), პირსი (18), გარნეტი (15+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯ. ო'ნილი (12+4 დაფარება), რონდო (10+9 პასი+9 მოხსნა), ჯ. გრინი (4), გ. დევისი (2+5 მოხსნა), დელ. უესტი (2), კრსტიჩი.

ნ-ი: სტაუდმაიერი (28+11 მოხსნა), ენტონი (15), ბილაპსი (10), ტურიაფი (10+5 მოხსნა+4 დაფარება), დუგლასი (8), ბ. უოკერი (7), ჯეფრიზი (3+9 მოხსნა), შ. უილიამსი (3), ე. კარტერი (2), ფილდსი.

სერია: 1-0

ისევე როგორც წინადღეს „მაიამმი“ და „ჩიკაგომ“, „ბოსტონმაც“ პირველ მატჩში დიდი გაჭირვებით გაამართლა ფავორიტის სტატუსი. „ნიუ იორკმა“ დაამტკიცა, რომ უბრძოლველად არ აპირებს სერიის დათმობას და გუშინ კინაღამ პირველი მატჩი მოიგო სტუმრად. თანაც მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა (**კარმელო ენტონი**) დებიუტშივე მიიღო ორი პერსონალური, მეორე (**რონსი ბილაპსი**) კი მაშინ დაშავდა, როცა მატჩის ბედი ირკვეოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბოსტონს“ ვერ დაეხმარა **შაკილ ო'ნილი**, რამაც საქმე გაუადვილა **ამარე სტაუდმაიერს**. პირველი ნახევარი სწორედ სტუმრებს დარჩათ - ბოსტონში 12-ქულიანი უპირატესობა დიდი ფორაა. „სელტიქსმა“ მატჩის გადარჩენაზე ზრუნვა მეორე ტაიმის სტარტზევე დაიწყო და თავისას მიაღწია. სხვაობა ნელ-ნელა მცირდებოდა და მეოთხე მეოთხედის სტარტზე 7:0 გაქცევის შემდეგ მასპინძლებმა წინ გასვლა მოახერხეს - 66:64. სტაუდმაიერმა ამას ზედიზედ სამი ჩაგდებით უპასუხა და თავის გუნდს ლიდერობა დაუბრუნა. მანვე ეფექტური ჩატენით ანგარიში 82:78 გახადა საფინალო სირენამდე ორწუთ-ნახევრით ადრე. „ბოსტონს“ სასწრაფოდ რაღაც უნდა მოეფიქრებინა. მასპინძლები მარტივად მოიქცნენ: ბურთი **პოლ პირსს** მისცეს, მან ერთი ჩააგდო, შემდეგ ააცილა, მაგრამ შეტევაში **ჯერმეინ ო'ნილმა** მოხსნა და ანგარიში გაათანაბრა.

ბოლო წუთზე თანაბარი ანგარიშისას ბილაპსი ფარქვეშ შესვლისას დაეცა და მუხლი დაიზიანა. გამოცდილი გამთამაშებელი გასახდელში გაიყვანეს. მის ნაცვლად მოედანზე **ტონი დუგლასი** გამოვიდა და მაშინვე სამქულიანი ჩააგდო - 85:82 სტუმრების სასარგებლოდ. სათამაშო რჩებოდა 37 წამი. შემდეგი შეტევისთვის „ბოსტონს“ წამიც არ დასჭირდა: **რაჟონ რონდომ** აუტიდან მეტოქის სამწამიანში ჩააგდო ბურთი და **კევინ გარნეტმა** ჩატენა. იქვე ენტონიმ შეტევაში ჯარიმა მიიღო. „ბოსტონს“ 21 წამი ჰქონდა ბოლო შეტევისთვისა და გამარჯვებისთვის. მაგრამ ამის ნახევარი დრო დახარჯა - პირსმა სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გახდა 87:85. „ნიქსს“ 11 წამში უნდა მოესწრო თამაში გადარჩენა. ბურთი ენტონიმდე მიიტანეს და მან რონდოსა და ალენის აქტიური მეურვეობის გამო სამქულიანი ააცილა.

დასავლეთი

ოკლაჰომა-დენვერი 107:103

24:33, 35:27, 27:22, 21:21

ო: დურანტი (41+9 მოხსნა), უესტბრუკი (31+7 პასი+6 მოხსნა), მეინორი (12), ჰარდენი (5), კუკი (5), პერკინსი (4+5 მოხსნა), იბაკა (3+5 მოხსნა+4 დაფარება), სეფოლოშა (2), ნ. კოლისონი (2), სეფოლოშა (2).

დ: ნენე (22+8 მოხსნა), გალინარი (18), ფელტონი (12+8 პასი), ლოუსონი (10+5 პასი+3 ჩაჭრა), კენ. მარტინი (10+7 მოხსნა+5 პასი), უ. ჩენდლერი (9+8 მოხსნა), სმიტი (9), კ. ანდერსენი (8), ჰარინგტონი (5).

სერია: 1-0

პლეი ოფის წინ სწორედ ამ სერიაში ვარაუდობდნენ ყველაზე დაძაბულ ორთაბრძოლას და პირველმა მატჩმა გაამართლა მოლოდინი. ეს იყო ძალიან სანახაობრივი მატჩი, სადაც ყველაფერი ასევე ბოლო წამებზე გადაწყდა.

სტუმრებმა თამაშის წინ დაკარგეს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე - **არონ აფლალო**. წესით სწორედ მას უნდა ეზრუნა მასპინძელთა გამთამაშებლის, **რასელ უესტბრუკის** შეჩერებაზე. შესაძლოა, სწორედ აფლალოს არყოფნა იყო „დენვერის“ გუშინდელი მარცხის მიზეზი.

პირველ ტაიმში მაყურებელმა ორი განსხვავებული მეოთხედი იხილა: პირველში სტუმრებმა უშეღავათო ბრძოლაში გაიმარჯვეს. დროის ამ მონაკვეთში შესანიშნავად თამაშობდნენ **ტაი ლოუნსონი** და **ნენე ილარიო**. ამ უკანასკნელმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და თამაშიდან 9 ბურთი ჩააგდო (11-დან).

მაგრამ მეორე მეოთხედში ყველაფერი თავდაყირა დადგა. საწყის მეოთხედში მეტოქის 33 ქულას „ოკლაჰომამ“ 35-ით უპასუხა. ამ შემთხვევაში შესანიშნავად გამოიყურებოდნენ „თანდერის“ რეზერვისტები - **ერიკ მეინორი, ჯეიმს ჰარდენი** და **დეშუან კუკი**, ბოლოსკენ კი მათ მთავარი ვარსკვლავები - უესტბრუკი და **კევინ დურანტი** დაეხმარნენ. საბოლოოდ, ამ დუეტის ანგარიშზე 72 ქულა, 15 მოხსნა და 9 შედეგიანი პასი მოდიოდა. „დენვერმა“ უბრალოდ არ იცოდა, როგორ შეეჩერებინა ეს ორი კალათბურთელი. გარდა ამისა, იღბალიც მასპინძელთა სასარგებლოდ იყო...

ეპიზოდი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია, საფინალო სირენამდე წუთითა და 6 წამით ადრე მოხდა, როცა „დენვერი“ ჯერ კიდევ წინ იყო - 101:100. უესტბრუკმა საშუალო მანძილიდან ესროლა, ბურთი კალათში ჩაშვებას არ აპირებდა და მას **პერკინსმა** დაამატა, თუმცა „თანდერის“ ცენტრს აშკარად ბადეში გაებლანდა ხელი. **ჯორჯ კარლი** და მისი დამხმარეები ორი ქულის გაუქმებას ითხოვდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ - „ოკლაჰომა“ ერთი ქულით გავიდა წინ. საპასუხო შეტევაში **კენიონ მარტინმა** ააცილა, იქვე კი უესტბრუკმა დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან ჩაგდო - 104:101. კოლორადელებს ჰქონდათ გადარჩენის შანსი, მაგრამ **რეიმონდ ფელტონის** სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია. ბოლო წამებზე ტაქტიკურ პერსონალურებს აზრი აღარ ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

ახალ ჩემპიონს ვნახავთ

გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ წელს სტენლის თასს ახალი მფლობელი ეყოლება. 0:3-დან სერიის გადარჩენას არათუ წლევანდელი, არამედ შარშანდელი ტრიუმფატორი „ჩიკაგოც“ ვერ შეძლებდა.

ალეგზანდრეთი

რეინჯერსი-ვაშინგტონი 3:2

0:0, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 კრისტენსენი-1 (ვოლსკი-2, მაკეიბი-1), 1:1 ოვეჩკინი-2 (არნოტი-2, მაიკ გრინი-3), 2:1 პროსპალი-1 (მ. სტაალი-1, დუბინსკი-1), 2:2 ნუბლი-1 (ბექსტრიომი-1, ოვეჩკინი-2), 3:2 დუბინსკი-1.

სერია: 1-2

ვაშინგტონში ორი წაგების შემდეგ „რეინჯერსს“ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და ამჯერად ნიუ-იორკელებმა ხარისხიანი თამაშის გარდა დადებითი შედეგიც მიიღეს.

მეორე მატჩისგან განსხვავებით, გუნდებმა უფრო შემტევი ჰოკეი აჩვენეს, რომელშიც ინიციატივა „რეინჯერსის“ ჰოკეისტებს ჰქონდათ.

პირველ გოლს მაყურებელი პერიოდზე მეტხანს ელოდა. მეორე 20-წუთეულის შეექცხე წუთზე **კრისტენსენმა** მახვილი კუთხიდან გაუტანა **ნოვირტს**, რომელსაც პირველ ორ მატჩში მხოლოდ ერთი შაიბა ჰქონდა გაშვებული. სტუმრებმა პერიოდის ბოლო ნამებზე **ოვეჩკინის** გოლით უპასუხეს.

მორიგი შედეგიანი შეტევა „მედისონ სკვერ გარდენში“ მესამე პერიოდში გათამაშდა - **პროსპალმა** შეძლო მახვილი კუთხიდან ნოივირტის გაწბილება; და ამჯერადაც დედაქალაქელებმა მონახეს ძალა ღირსეული პასუხისთვის: ძირითადი დროის დასრულებამდე ხუთი წრით ადრე **ნუბლმა** აღადგინა სტატუს-კვო.

თუმცა სტუმრების ლიდერებმა ბოლომდე ვერ გაიხარეს. „ვაშინგტონის“ პირველ წაგებაში მთავარი დამნაშავე **ბრენდონ დუბინსკი** გახდა, რომელმაც თავის გუნდს გამარჯვება საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე მოუტანა.

დასავლეთი

ნეშვილი-ანაპაიმი 4:3

2:0, 0:2, 2:1

გოლები: 1:0 ერატი-1 (ფრანსონი-2, ჯ. უორდი-1), 2:0 ტუტუ-1 (სმიტსონი-1), 2:1 სელიანე-3 (პერი-3), 2:2 სელიანე-4 (პერი-4), 3:2 ლეგვანდი-1 (რ. სუტერი-2, ერატი-2), 3:3 ბელესკი-1 (ს. კოიუ-3), 4:3 ფიშერი-3 (ს. კოსტიცინი-3, რ. სუტერი-3).

სერია: 2-1

„ნეშვილი“ ერთი თავით მაღლა იდგა „ანაჰაიმზე“. მასპინძლები სამივე პერიოდში დომინირებდნენ მოედანზე და ამასთან, კინალამ ხელიდან გაუშვეს გამარჯვება.

მას შემდეგ, რაც „ნეშვილმა“ პირველ პერიოდში ორი შაიბით ნაიყვანა ანგარიში, მასპინძლებისთვის ყველაფერი შესანიშნავად განვითარდა. შემდეგ წუთებშიც უფრო მათ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, ვიდრე „ანაჰაიმს“ შემცირება.

მაგრამ მეორე პერიოდის ბოლოსკენ სტუმრებმა არათუ შეამცირეს სხვაობა, არამედ ანგარიშიც გაათანაბრეს. „იხვების“ გადარჩენა **ტეემუ სელიანემ** აიღო თავის თავზე - ფენომენურმა ფინელმა ვეტერანმა 30 წამის ინტერვალით შეასრულა დუბლი.

მესამე 20-წუთეულის დასაწყისში გუნდებმა შაიბები გაცვალეს და წავიდა ორმხრივ იერიშებში თამაში. დარჩენილი წუთები ოვერტაიმს ჰგავდა - ყველაფერს ერთი შაიბა გადაწყვეტდა. ადგილობრივი პუბლიკის გასახარად ეს **მაიკ ფიშერმა** გააკეთა.

ჩიკაგო-ვანკუვერი 2:3

1:0, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 კეიტი-1 (ტეუვზი-1), 1:1 ერჰოფი-1 (ჰ. სედინი-3, დ. სედინი-2), 1:2 დ. სედინი-3 (ედლერი-1, ბიეკსა-2), 2:2 შარპი-1 (ტეუვზი-2, პ. კეინი-2), 2:3 სამუელსონი-1 (ჰ. სედინი-4, ერჰოფი-2).

სერია: 0-3

თითქოს „ბლეკჰოქსი“ ცუდად არ თამაშობს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ „ვანკუვერი“ ერთგვარად ძალების დაზოგვით მოქმედებს და ნებისმიერ წუთს შეუძლია მოუმატოს. დაახლოებით ასეთი სცენარი ჰქონდა მესამე მატჩსაც.

შეხვედრის მსვლელობისას გუნდები მონაცვლეობით გავიდნენ წინ და მესამე პერიოდი 2:2-დან დაიწყეს. ამ წუთებში მეტოქეები შეტევაზე არც ფიქრობდნენ და რისკი მინიმუმამდე დაიყვანეს - ერთი შეცდომა მოკლავდა ან დაუბრუნებდა ინტრიგას ამ სერიას.

საბოლოოდ, პირველმა ვარიანტმა იმუშავა. „ჩიკაგოს“ მცველების უხეში შეცდომის შემდეგ **მიკაელ სამუელსონმა** შეაგდო შაიბა **კროუფორდის** კარში და როგორც აღმოჩნდა, ეს გამარჯვების გოლი იყო.

ჩიკაგო ლუონგოს ვერაფერს უხერხებს

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

მშვიდობით, ჩემპიონო!

შეფილდში კრუსიბლის თეატრში სნუკერის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, რომელსაც ამ სახეობის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ.

პირველ წრეში დაძაბული მატჩები არ უნდა ყოფილიყო, გარდა ერთისა, სადაც დიდი სენსაცია მოხდა - პირველობას გამოეთიშა მოქმედი ჩემპიონი **ნილ რობერტსონი**. მისმა შეხვედრამ ნორჩ **ჯად ტრამპთან** მართლაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ტრამპმა რამდენიმე კვირის წინ კარიერაში პირველი სარეიტინგო ტიტული მოიგო და ამით დაიმსახურა საყოველთაო ყურადღება.

მატჩმა გაამართლა მოლოდინი. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი სესია, რომელიც 5:4 ტრამპმა მოიგო, განსაკუთრებულად ხარისხიანი თამაშით არ იყო გამორჩეული. ორივენი ძალიან ნერვიულობდნენ, მიუტევებელ შეცდომებს უშვებდნენ და ხშირად ერთმანეთს უყენებდნენ ბურთებს... უფრო წარმატებული ტრამპი აღმოჩნდა, მაგრამ ისე ჩანდა, რომ ერთ ფრეიმში უპირატესობა ბევრს არაფერს მისცემდა მას. თუმცა საღამოს სესიამ გვიჩვენა, რომ ჯადი აშკარად უკეთეს ფორმაში იყო, ვიდრე ნილ რობერტსონი. ჩემპიონი ყველანაირად ინდომებდა, არაერთხელ გადაარჩინა ფრეიმი, რომელშიც 50-60 ქულას აგებდა... მაგრამ მაინც ჩამორჩა - 7:9. ტრამპს გამარჯვებამდე ერთი მოგება სჭირდებოდა, ავსტრალიელს - სამი.

ამის შემდეგ პირველივე ფრეიმში ტრამპმა 50-ქულიანი უპირატესობა მიიღო, მაგრამ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა ვერ შეძლო. თუმცა მომდევნო პარტიაში ყველაფერი ლოგიკური შედეგით დასრულდა - კრუსიბლის დარბაზი ტრადიციულად არასტუმართმოყვარე აღმოჩნდა ჩემპიონისთვის.

„თამაში მართლაც რთული გამოვიდა. ჩინეთის ღია პირველობის მოგების შემდეგ ჯადი უფრო დამაჯერებელი გახდა. თუ ის ასეთ ტემპში გააგრძელებს, აუცილებლად გავა ნახევარფინალში. არ მგონია, რომ ის წელსვე მოიგებს ჩემპიონატს, მაგრამ ორ-სამ წელიწადში მოახერხებს ტიტულის მოგებას“, - განაცხადა რობერტსონმა.

„სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ ვერ უნდა მოვიგო ჩემპიონატი. არ მესმის, რატომ მიაჩნია რობერტსონს, რომ მზად არ ვარ საჩემპიონო ბატალიებისთვის, - უპასუხა 21 წლის ინგლისელმა ყოფილ ჩემპიონს. - *ყოველი მორიგი მეტოქე მიხვდება, რა რთულია ჩემ წინააღმდეგ თამაში. ახლა ვგრძნობთ, რომ პროგრესის გზაზე ვარ და არ ვაპირებ ფინალამდე წაგებას“.*

■ ■ ■

ჩემპიონატის წინ საბუკმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა“ ჩემპიონობაზე ფსონები გამოაქვეყნა. ბუკმეიკერთა აზრით შეფილდში გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი შემდეგ ხუთ მოთამაშეს აქვს: **ჯონ ჰიგინსს** (კოეფიციენტი 6.0), **მარკ სელბის** (7.0), **რონი ო'სალივანს** (7.0), **დინ ჯუნჰუს** (8.0) და **მარკ უილიამსს** (9.0). სხვათა შორის, ამ ჯგუფში იყო ნილ რობერტსონიც...

■ ■ ■

განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სნუკერის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მოთამაშეს **რონი ო'სალივანს**. ახლა ამ მოთამაშეს კარიერაში კრიზისული პერიოდი უდგას. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს რეიტინგში მეათე ადგილზე დაეშვა და ბოლო ოთხი დიდი ტურნირის პირველი წრე ვერ დაძლია, ო'სალივანმა სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ, საბედნიეროდ, გადაიფიქრა და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ცნობილ სპორტულ ფსიქოლოგს **სტივ პიტერსს** მიაკითხა.

„მას კარგი რეპუტაცია აქვს. დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემს მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლის, მაგრამ რაღაც შანსი არსებობს“, - ამბობს ო'სალივანი. მალე გამოჩნდება, რამდენად უშველა მას ფსიქოლოგთან ვიზიტმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჯად ტრამპი

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ქუინზ პარკი-დერბი	0:0

იტალია

სერია B

ტორინო-რევჯინა	1:1

ესპანეთი

ვილიარეალი-სარაგოსა	1:0

გერმანია

II ბუნდესლიგა

კარლსრუე-აუგსბურგი	0:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ლე მანი-ჰავრი	1:0

პოლანდია

II დივიზიონი

სპარტა-ცვოლე	1:2

პორტუგალია

ნასიონალი-ბრაგა	1:1

დანია

მიდტიულანდი-ოდენსე	1:1

ნორვეგია

ფრედრიკსტადი-რუსენბორგი	2:0

შვედეთი

გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	1:2
ერებრუ-გეფლე	2:3

II დივიზიონი

ჰამარბი-ლანდსკრონა	2:1

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

არაუ-ლოზანა	2:1

საბერძნეთი

II დივიზიონი

პანაიტოლიკოსი-იონიკოსი	4:0
ეთნიკოსი-პანთრაკიკოსი	1:2

თურქეთი

მანიშა-გალათასარაი	2:3

II დივიზიონი

ძარსიაძა-გირეშუნი	0:1

ბელგია

სლავია-სლოვაკეკო	2:0

რუსეთი

ნალჩიკი-ტომი	1:2

II დივიზიონი

ლუჩ ენერგია-ჟემჩუჟინა	0:1
სკა ენერგია-ჩერნომორეცი	1:0
ალანია-სიბირი	1:1
კამაზ-ტორპედო (ვ)	3:0
მორდოვია-ნ. ნოვგოროდი	3:1
გაზპრომი-ენისეი	1:0
ფაკელი-ურალი	0:0
ხიმკი-გაზოვიკი	2:1
ტორპედო (მ)-შინიკი	1:0
ბალტიკა-დინამო (კრ)	0:0

უკრაინა

დინამო-ზორია	2:0

რუმინეთი

უნივერს. (კლ)-უნივერს. (კრ)	3:0
ვასლუი-გაზ მეთანი	3:0

ჰოკეი

შინეთი

ბლუზი-ჰფკ	2:4

ჩოგბურთი

ATP. ბარსელონა

კავჩიჩი-კამკე	6:2, 6:3
ვინოლასი-რ. იდალგო	4:6, 7:6, 7:5
გოლუბევი-ჰანესკუ	3:6, 2:6
გრანოლერსი-ბრანდსი	7:5, 6:7, 6:1
ჰაასე-ჩიპოლა	6:4, 6:3
ბელუჩი-ხირალდო	5:7, 3:6
პაირე-კარენო	6:7, 6:3, 6:2
გარსია ლოპესი-ისტომინი	7:6, 6:3
ანდუხარი-პუიოლი	6:0, 6:1
ფონინი-ვანოცე	6:2, 2:6, 0:6
მონტანიესი-გაბაშვილი	6:2, 6:2
კუევასი-ანდერსონი	5:7, 6:3, 4:6
როჯა ვასელენი-კუზნეცოვი	6:2, 6:4
მონაკო-დიმიტროვი	6:4, 6:1

WTA. ფესი

არნი-მეირი	6:0, 6:0
კერბერი-პერვაკი	1:6, 6:4, 3:6
პალეპი-იაკიმოვა	6:2, 6:0
კუდრიავცევა-ბრატჩიკოვა	2:6, 6:2, 6:3

WTA. შტუტგარტი

პირონკოვა-ბარტოლი	4:6, 1:6
საფაროვა-ბაროისი	1:6, 4:6
ნა ლი-სევასტოვა	6:2, 6:3

TV პროგრამა

19 აპრილი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სარაგოსა.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ფრაიბურგი.
15:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბორდო.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-სევილია.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი- ლივერპული.
22:45 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
00:40 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მაიამი-ფილადელფია. II მატჩი.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-კახა ლაბორალი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
16:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი. I მატჩი.
18:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. დავიდ ფერერი-იურგენ მელცერი.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-ენდი მიურეი.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მაიამი-ფილადელფია. II მატჩი.
05:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დალასი-პორტლენდი. II მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:55 რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-დინამო (LIVE).

EUROSPORT

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

EUROSPORT-2

12:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
15:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

ჩოგბურთი. რეიტინგები

ATP

1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	12 870
2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	9 640
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 550
4(4). ენდი მიურეი (გრიტ)	5 905
5(5). როგინ სილოდერლინგი (შვედ)	5 420
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	4 840
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	3 900
8(9). იურგენ მელცერი (ავსტრია)	2 975
9(10). გაელ მონფილსი (საფ)	2 600
10(11). მარდი ფიში (აშშ)	2 401
11(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 395
12(8). ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	2 370
13(13). ენდი როდიკი (აშშ)	2 270
14(14). მიხაილ იუჟნი (რუს)	2 205
15(15). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	2 090
16(16). ვიტტორ ტროიეკი (სერ)	1 815
17(18). რიშარ გასკე (საფ)	1 745
18(17). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 670
19(20). სემ კუერი (აშშ)	1 520
20(21). ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 500

ATP. ფულადი მონაგარი

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 826 395
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	1 533 033
3. ენდი მიურეი (გრიტ)	1 310 389
4. როჯერ ფედერერი (შვეიც)	1 202 265
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 151 584
6. როგინ სილოდერლინგი (შვედ)	717 080
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	548 858
8. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)	528 633
9. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	508 791
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	467 587
11. ენდი როდიკი (აშშ)	452 327
12. იურგენ მელცერი (ავსტრია)	438 515
13. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)	397 030
14. ვიტტორ ტროიეკი (სერ)	396 907
15. მილოშ რაონიჩი (კან)	394 317
16. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	375 152
17. ტომი როგრეიდო (ესპ)	358 185
18. ბოზ ბრაიანი (აშშ)	356 517
18. მაიკ ბრაიანი (აშშ)	356 517
20. ჟილ სიმონი (საფ)	337 698

ჩოგბურთი. ტურნირების წინ

ნადალი არ ისვენებს

ამ კვირას გრუნტის სეზონს აგრძელებენ მამაკაცები. გარდა ამისა, ფედერაციის თასის შემდეგ განახლდება ქალთა პროფესიული ტურის ტურნირები - WTA-ში ორი შეჯიბრება იმართება.

შტუტგარტის პრიზი

ATP

Open Sabadell Atlantico

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 1 550 000 ევრო

მონაწილეთა შემადგენლობა: რაფაელ ნადალი, ენდი მიურეი, რობინ სიოდერლინგი, დავიდ ფერერი, ტომაშ ბერდიხი, იურგენ მელცერი, გაელ მონფილსი, ნიკოლას ალმაგრო...

მონტე კარლოს მასტერსზე ტრიუმფის შემდეგ **რაფაელ ნადალი** დასვენებას არ აპირებს და ბარსელონაში მიემგზავრება სათამაშოდ.

ეს ტურნირი ბარსელონას სამეფო საჩოგბურთო კლუბის კორტებზე ჩაივლის. სხვათა შორის, ეს არენა 1899 წელს არის აშენებული. სულ კი ბარსელონას ჩემპიონატი აქ ორმოცდამეცხრამეტედ ტარდება, ასე რომ, მას უდიდესი ტრადიციები აქვს.

რაც შეეხება ნადალს, აქ მას ზედიზედ ხუთჯერ აქვს ტიტული მოგებული, ოღონდ შარშან ეს სერია შეწყდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რაფამ გამოტოვა Open Sabadell Atlantico.

ვინ იქნება ბარსელონაში მისი მთავარი კონკურენტი? რა თქმა უნდა, ისინი, ვინც მონაკოში წინააღმდეგობა გაუწიეს მსოფლიოს პირველ ჩოგანს. მაგალითად, **ენდი მიურეი**, რომელმაც წინა კვირას გაიხსენა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია. ბრიტანელი ერთადერთია, ვინც მონტე კარლოში სეტი მოუგო ნადალს. ასევე უნდა ვახსენოთ მონაკოს მასტერსის ფინალისტი **დავიდ ფერერი**, რომელიც გრუნტზე შესანიშნავად გრძნობს თავს. კარგი კვირა ჰქონდა **იურგენ მელცერსაც** - რაც არ უნდა იყოს, მან მასტერსზე თვით **როჯერ ფედერერს** მოუგო. თუმცა ეს საფარი სხვა ჩოგბურთელებსაც აძლევს თავის გამოჩენის შანსს, ძირითადად ესპანელებს. ასე რომ, მათი სათვალავიდან ამოგდება არ იქნებოდა მართებული.

WTA

Porsche Tennis Grand Prix

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 721 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: კაროლინ ვოზნიაცკი, ვერა ზვონარევა, ფრანჩესკა სკიავონე, ვიქტორია აზარენკა, სამანტა სტოსური, ნა ლი, ელენა იანკოვიჩი, მარიონ ბარტოლი...

შტუტგარტის ტურნირმა ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა. წელს ახალ ჩემპიონს ვნახავთ, რადგან შარშან გამარჯვება ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** მოიპოვა, რომელიც საბოლოოდ წავიდა დიდი სპორტიდან. სამაგიეროდ, აქ ვხედავთ შარშანდელ ფინალისტ **სამანტა სტოსურს** და ის შეეცდება სარეიტინგო ქულების დაცვას. სწორედ ამ მიზეზით არ ითამაშა მან ფედერაციის თასზე უკრაინის წინააღმდეგ და ავსტრალიამ ის შეხვედრა წააგო.

ტრადიციულად, სოლიდური ჰონორარის გარდა, გამარჯვებული ჩოგბურთელი პრიზად Porsche 911 Carrera GTS Cabriolet-ს მიიღებს.

რაც შეეხება ფავორიტებს, ასეთი ორია - **კაროლინ ვოზნიაცკი** და **ვიქტორია აზარენკა**, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ მოიგეს ინდიან უელსისა და მაიამის სუპერტურნირები. წინა კვირას ორივეს მოუწია ფედერაციის თასზე თამაშმა, თანაც ჰარდის კორტებზე და საინტერესოა, როგორ გადაეწყობიან გრუნტზე სათამაშოდ.

ასევე არ უნდა გამოვრიცხოთ ფავორიტთა სიიდან **ვერა ზვონარევა**, რომელმაც იმავე ფედერაციის თასზე რუსეთის ნაკრებს ორი ქულა მოუტანა და კარგი ფორმა დაადასტურა.

Grand Prix De SAR

ფესი (მაროკო). გრუნტი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეთა შემადგენლობა: არავან რეზაი, იაროსლავა შვედოვა, ლურდეს დომინგეს ლინო, გრეტა არნი, ანგელიკა კერბერი, ელენა დოკიჩი, სიმონა ჰალეპი, ალიზ კორნე...

მაროკოში სუსტი და არაპროგნოზირებადი შემადგენლობაა შეკრებილი და რთულია რომელიმე ჩოგბურთელისთვის უპირატესობის მინიჭება.

შარშან აქ გამარჯვება **ივეტა ბენეშოვამ** მოიპოვა, რომელმაც ფინალში **სიმონა ჰალეპი** დაამარცხა, თუმცა არც ის იცავს ტიტულს, რადგან გასულ უქმეებზე დიდი ძალები შეალია ფედერაციის თასის ნახევარფინალს - ბელგიის წინააღმდეგ გადამწყვეტი მატჩი მოიგო წყვილებში **ბარბორა ზახვალოვასთან** ერთად და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

ასეთ სიტუაციაში ნომინალურ ფავორიტად **არავან რეზაი** უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მას ბოლო დროს სტაბილურობა არ ჰყოფნის. ამ შემთხვევაში კი შანსი ეძლევათ გრუნტის სპეციალისტებს, მაგალითად, **ლურდეს დომინგეს ლინოს**, რომელიც ბევრით ვერაფრით გამოირჩევა, მაგრამ გრუნტზე დამაჯერებელია ხოლმე.

მოსკოვური ფინალის მოლოდინში



ჩეხეთი ფინალშია

მონაკოს მასტერსის გარდა, გასულ კვირას ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღება ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩებისკენ იყო მიპყრობილი. ამ ეტაპზე გამოეთიშა ტურნირს მოქმედი ჩემპიონი იტალიის ნაკრები, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა - აპენინელები მოსკოვში თავიანთი ორი ლიდერის - **ფრანჩესკა სკიავონესა** და **ფლავია პენეტას** გარეშე ჩავიდნენ. შესაბამისად, იტალიის მეორე შემადგენლობამ ვერაფერი დაუპირისპირა ოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე რუსეთს. მასპინძლებს ორი ქულა **ვერა ზვონარევამ** მოუტანა, კიდევ ერთი - **სვეტლანა კუზნეცოვამ**, რის შემდეგაც დარჩენილ ორ შეხვედრას აზრი დაეკარგა. საბოლოოდ, მასპინძლებმა 5:0 მოიგეს.

რუსეთი ნოემბერში ფინალს ასევე საკუთარ მოედანზე ითამაშებს და მისი მეტოქე ჩეხეთის ნაკრები იქნება. ამ უკანასკნელმა სტუმრად ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა ბელგიის ნაკრები, რომელიც **კიმ კლაისტერსის** გარეშე შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა ნახევარფინალს. მიუხედავად ამისა, ბელგიელებმა ბოლომდე იბრძოლეს.

პეტრა კვიტოვამ ორივე ერთეულთა მატჩი მოიგო, სამაგიეროდ, **ბარბორა ზახვალოვამ** წააგო **იანინა ვიკმაიერთან** და **კირსტენ ფლიპკენსთან**. შესაბამისად, ყველაფერი წყვილთა მატჩს უნდა გადაეწყვიტა. ზახვალოვამ სწორედ აქ გამოასწორა წინა მატჩებში დაშვებული შეცდომები და **ბენეშოვასთან** ერთად მესამე ქულა მოუტანა თავის გუნდს.

ამერიკა ელიზას ჩამოშორდა

ვენუსმა თავისიანები გაამხნევა

ნახევარფინალების გარდა, გაიმართა ფედერაციის თასზე მსოფლიოს ჯგუფში მოსახვედრი მატჩები. ამ შეხვედრების შემდეგ გაირკვა, რომ გაისად ქალთა შორის მთავარი გუნდური ტიტულისთვის მხოლოდ ევროპული გუნდები იბრძოლებენ. ეს პატივი ნილად ხვდათ: ჩეხეთს, რუსეთს, იტალიას, ბელგიას, უკრაინას, გერმანიას, ესპანეთსა და სერბეთს. ასეთი რამ ამ ტურნირის ისტორიაში პირველად მოხდა.

მეორე ჯგუფში კი 2012 წელს აშშ-ს, საფრანგეთის, ავსტრალიის, სლოვაკეთის, ბელარუსის, სლოვენიისა და შვეიცარიის გუნდები ითამაშებენ. მერვე საგზური ივლისის შუაში გათამაშდება - ცნობილი მოვლენების გამო იაპონიისა და არგენტინის შეხვედრა ზაფხულისთვის გადაიტანეს.

ასევე ისტორიაში პირველად ფედერაციის თასის მსოფლიო ჯგუფში ვერ ითამაშებს ამ ტურნირის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, 17-გზის ჩემპიონი ამერიკის ნაკრები. დები **უილიამსების** გარეშე ეს გუნდი არაფერს წარმოადგენს, რაც სტუმრად გერმანიასთან მატჩში დამტკიცდა. ის შეხვედრა ამერიკელებმა 0:5 დათმეს. ვენუს უილიამსი მხოლოდ გასამხნევებლად გაჰყვა გუნდს ევროპაში, მაგრამ მისი კორტსმიღმა მხარდაჭერა საკმარისი არ აღმოჩნდა.

კრის ევერტი აშშ-ის ღიაზე?

სენსაციური ცნობა გაავრცელა ვებგვერდმა Tennis.com-მა. აგვისტოში ამერიკის ღია პირველობაზე თამაშს აპირებს ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **კრის ევერტი**. „დიდი შლემის“ 18-გზის ჩემპიონი რადიონამყვან **მაიკ გრინბერგთან** გაერთიანდება და ამერიკის ღიაზე მიქსტში მოსინჯავს ძალებს.

თუმცა ამისთვის ევერტმა და გრინბერგმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ეროვნულ პლეი ოფში, რომლის გამარჯვებული მოიპოვებს „დიდი სლემის“ ტურნირის მიქსტში უაილდ ქარდით თამაშის უფლებას.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად კრის ევერტი 56 წლისაა. ის და მაიკი პირველ შეხვედრას დღეს ჩაატარებენ.

ფორმულა 1

ლუისი ფერარის არ გამორიცხავს

„მაკლარენის“ პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** არ გამორიცხა ბრიტანულ საჯინიბოსთან კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ „ფერარიში“ გადასვლა. ბრიტანელი პილოტის ხელშეკრულებას 2012 წლის ბოლოს გასდის ვადა.

„ყველაფერი მოსალოდნელია. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს „ფერარის“ ბოლიდის საჭესთან აღმოვჩნდე?!“, - მოჰყავს ჰემილტონის სიტყვები La Stampa-ს.

ამასობაში, მორიგი სარბოლო უქმეების შემდეგ Castrol-ის ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა. წინა კვირისგან განსხვავებით, საუკეთესო ათეულში სერიოზული ცვლილება მოხდა - ჰემილტონმა, რომელიც ბოლო დროს ნელ-ნელა უახლოვდებოდა **ფერნანდო ალონსოს**, შანხაიში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ შეძლო ესპანელის უკან ჩამოტოვება.

გარდა ამისა, ორი პოზიციით დაქვეითდა რალიში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ლოები** (მან არც ისე წარმატებით იასპარეზა იორდანიის რალიზე) - მას არა მარტო ჰემილტონმა, არამედ ალონსომაც გაუსწრო. ახლა პირველ ოთხ პოზიციას რეიტინგში სწორედ ფორმულა 1-ის პილოტები იკავებენ.

თავიანთი პოზიციები გაიუმჯობესეს გასული უქმეების სხვა გმირებმა - **ფელიპე მასამ, სებასტიან ოჟიემ** და **იარი-მატი ლატვალამ**. სულ უფრო უახლოვდება ლიდერებს **მიხაელ შუმახერი** - ჯერჯერობით გერმანელი 26-ე ადგილზეა. გასულ კვირას ძირითადად პოზიციებს ამ კლასიფიკაციაში ამერიკული სერიის მონაწილეები კარგავდნენ.

ახალი რეიტინგის პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

1. ს. ფეტელი (ფორმულა 1)	25 805
2. მ. უებერი (ფორმულა 1)	21 803
3. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1)	20 258
4. ფ. ალონსო (ფორმულა 1)	19 981
5. ს. ლოები (რალი)	19 492
6. უ. პაუერი (IndyCar)	17 966
7. ჯ. ბატონი (ფორმულა 1)	17 239
8. დ. ფრანკიტი (IndyCar)	16 701
9. ჯ. ედვარდსი (NASCAR)	15 907
10. ჯ. ჯონსონი (NASCAR)	15 788

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა